

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მანანა ფრუიძე

**ანტიბიოტიკოტერაპიის ცენტრალური
მექანიზმები და მათი ცვლილებები
პათოლოგიის დროს**

(ექსპერიმენტულ-კლინიკური გამოკვლევა)

14.00.16 – პათოფიზიოლოგია

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო კონსულტანტი:

ვ. მალოლეტნევი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

სარჩემი

შესავალი.....	4
<i>პრობლემის აქტუალობა.....</i>	4
<i>კვლევის მიზანი და ამოცანები.....</i>	12
<i>მიღებული შედეგების მენიერული სიახლე.....</i>	14
<i>მიღებული შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.....</i>	16
<i>დასაცავად გამოტანილი ძირითადი დებულებები.....</i>	17
<i>სადისერტაციო ნაშრომის აკრობაცია.....</i>	18
<i>კუბლიკაციები.....</i>	19
<i>სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.....</i>	19
ლიტერატურის მიმოხილვა.....	20
<i>ტკივილის სახეები.....</i>	20
<i>ტკივილის თეორიები.....</i>	24
<i>ტკივილის პერიფერიული მექანიზმები.....</i>	26
<i>ტკივილის ცენტრალური მექანიზმები.....</i>	30
<i>ტკივილის სპინალური მექანიზმები.....</i>	30
<i>ტკივილის მექანიზმები თავის ტვინის დონეზე.....</i>	39
<i>ანალგეზიის მექანიზმები.....</i>	54
კვლევის მასალა და მეთოდები.....	75
<i>კვლევის ობიექტი.....</i>	75
<i>ზოგადი მეთოდები.....</i>	76
<i>ცალკე გამოკვლევების დიზაინი.....</i>	84

<i>მონაცემების სტატისტიკური დამუშავება</i>	91
მიღებული შედეგები და მათი განხილვა	92
<i>თალამუსის როლი ნოციცივეციის რეგულაციაში</i>	92
<i>მტკივნეული გაღიზიანების აღქმაში მონაწილე ქერქის, გაზალური პირთვეებისა და მეზენცეფალური წარმონაქმნების ინდენტიფიკაცია</i>	117
<i>ნათხემის როლი ნოციცივეტურ პროცესებში</i>	126
<i>ვარმაკოლოგიური ანტინოციცივეციის მექანიზმები</i>	141
<i>ვარმაკოლოგიური ანტინოციცივეციის ევბ-ს მარკერები</i>	160
ზოგადი დასკვნა	166
დასკვნები	168
პრაქტიკული რეკომენდაციები	172
შემოკლებათა ნუსხა	174
ლიტერატურა	175

უესაგალი

პრობლემის აქტუალობა

ყოველწლიურად მზარდი ინტერესი ტკივილის პრობლემისადმი განპირობებულია იმ ადამიანთა კონტინგენტის მატებით, რომლებსაც აღენიშნებათ სხვადასხვა სახის ტკივილის სინდრომი. მკვლევარები ინტენსიურად განაგრძობენ ტკივილისა და ტკივილსაწინააღმდეგო რეაქციების მაკონტროლებელი მიზანმიმართული გზების ძიებას. ასეთი ძიების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ცენტრალური ნეიროქიმიური და ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების დადგენა, რომლებიც აკონტროლებენ ორგანიზმის საპასუხო რეაქციის ინტენსივობას მტკივნეული გაღიზიანების საპასუხოდ.

ნოციცეპტის უკანასკნელი რგოლი ტკივილის შეგრძნებაა. ტკივილის ინფორმაციას აღიქვამს სენსორული ნეირონები, ე.წ. ნოციცეპტორები, რომელთა სიგნალები აღწევს ზურგის ტვინს და იქიდან სპეციფიკური გზებით – თავის ტვინს [Willis W.D. Jr, Westlund K.N., 2001]. თალამუსი ტვინის ის დრმა სტრუქტურაა, რომელიც ამ იმპულსების ძირითადი მიმღებია [Martin R.J., Apkarian A.V. et al., 1990]. თალამუსის ლატერალური სტრუქტურები უზრუნველყოფს ტკივილის სენსორულ-დისკრიმინაციულ ხარისხს (მტკივნეული სტიმულის სომატოტოპიკა, მისი ხანგრძლივობა, ინტენსივობა და სხვ.), მედიალური თალამური უბნები მონაწილეობენ ტკივილის მოტივაციურ-ემოციურ-აფექტურ

ასპექტებში (ახალი სომესტეტური სტიმულების გამოყოფა, ახალი პოტენციურად საშიში სიტუაციის ინფორმაციის სწრაფი გადაცემა) [Лиманский Ю.П., 1986]. ნოციცეპტური იმპულსაცია აღწევს თალამუსის სპეციფიკურ ვენტრალურ ბირთვებს (უკანა მედიალურსა და ლატერალურს – ვპმბ, ვპლბ და წინას და უკანას – ვაბ, ვპბ) და ნაკლებად – არასპეციფიკურ ბირთვებს (ცენტრომედიალურს – ცმბ და რეტიკულურს – რბ) [Kim D., Park D. et al., 2003; Tang J.S., Yuan B. et al., 1995]. ამ ბირთვებში მრავლად არის წარმოდგენილი ნეირონები, რომლებიც მტკივნეულ გაღიზიანებაზე რეაგირებენ [Bordi F., Quartaroli M.J., 2000; Абзианидзе Е.В., Бутхузи С.М. и др., 1990].

თალამუსის სპეციფიკურ ბირთვებში მტკივნეული გაღიზიანების საპასუხოდ აქტიურდებიან ნეირონების 80%, 15% – როგორც მტკივნეულ, ისე უმტკივნეულო გაღიზიანებაზე, ხოლო ნეირონების 5% მტკივნეულ გაღიზიანებას შეკავებით პასუხობს. ზ. საყვარელიძის (1999), ნ. ინწკირველისა და სხვ. (2000) ექსპერიმენტებით დადგენილ იქნა, რომ თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების ნეირონების 40% შეკავებით რეაგირებს მტკივნეულ სტიმულზე, 47,5% ნეირონებისა აქტივირდება როგორც მტკივნეულ, ისე უმტკივნეულო გაღიზიანებაზე და 12,5% პასუხობს მხოლოდ მტკივნეულ გაღიზიანებას [ინწკირველი ნ., ბოკერია თ. და სხვ., 2000].

1969 წელს რეინოლდსმა [Reynolds D., 1969] პირველმა აჩვენა, რომ

ცენტრალურ რუს ნივთიერებას (ზრნ) აქვს ანალგეზიური მოქმედება. შემდგომი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ანალგეზია და ჰიპოანალგეზია აღინიშნება, აგრეთვე, თავის ტვინის მრავალი წარმონაქმნის გაღიზიანებისას [Bekaia G., Sakvarelidze Z. et al., 1997; Абзианидзе Е.В., Бутхузи С.М. и др., 1990]. თავის ტვინის სტრუქტურებში (ნაკერის ბირთვები, ცენტრალური რუსი ნივთიერება, ჰიპოთალამუსი, სენსომოტორული, სუპრასილვიური ხეველი) და თალამუსის არასპეციფიკურ ბირთვებში [Инцкирвели Н.А., Бокерия Т.Б. и др., 2000; საყვარელიძე ზ., 1999] არის ნეირონები, რომელთა აქტივობა მტკივნეული გაღიზიანების საპასუხოდ ითრგუნება. თალამუსის არასპეციფიკური ცენტრომედიალური და რეტიკულური ბირთვების გაღიზიანებით კავდება სამწვერა ნერვის ბირთვის ნეირონების გამოწვეული ნოციციტური აქტივობა, რაც მიგვანიშნებს ამ ბირთვების დადამავალ ანტინოციციტურ მოქმედებაზე [ინწკირველი ნ., ბოკერია თ. და სხვ., 2000; Bekaya G., Sakvarelidze Z., 1999]. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ნეირონები ანტინოციციტურია, და შეიქმნა კონცეფცია თავის ტვინის ენდოგენური ანალგეზიური ანუ ანტინოციციტური სისტემის შესახებ. მალე დადგენილ იქნა, რომ ტკივილისა და გაუტკივარების წარმოქმნის პროცესები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უზრუნველყოფილია და ხორციელდება შერჩევითი და სპეციფიკური ნეიროქიმიური (ოპიატური, კატექოლამინური, სეროტონინური და სხვ. პეპტიდური) და ნეირო-

ფიზიოლოგიური მექანიზმებით [Giordano J., Schultea T., 2004; Bordi F., Quartaroli M.J., 2000; Bekaya G., Sakvarelidze Z., 1999, 1997; Vetrile L.A., Basharova L.A. et al., 1993].

ტკივილის მაკონტროლებელი თალამური ნეიროქიმიური მექანიზმები დღემდე დაზუსტებული არ არის, რამდენადაც ამ სტრუქტურის ანტინოციცეპტური უბნები შედარებით გვიან იქნა იდენტიფიცირებული [საყვარელიძე ზ., 1999; Bekaya G., Sakvarelidze Z. et al., 1997]. თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების ანალგეზიური გავლენა თალამუსისა და თავის ტვინის ქერქის ნოციცეპტურ ნეირონებზე ასევე პრაქტიკულად შესწავლილი არ იყო.

ტკივილისა და ანალგეზიის მექანიზმების შესწავლა სამედიცინო და სოციალური მნიშვნელობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. ჯმთ-ს მონაცემებით [Latthe P., Latthe M. et al., 2006; WHO, 2004] ქრონიკულ დაავადებათა 70%-ში აღინიშნება თანმხლები ტკივილის სინდრომი, ბევრ შემთხვევაში კი თვითონ ტკივილის სინდრომი (ქრონიკული, ანუ პათოლოგიური ტკივილის არსებობით) იწვევს შრომისუნარიანობის მნიშვნელოვან დაქვეითებას ან სრულ დაკარგვას.

დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ მტკივნეული სტატუსის ჩამოყალიბებასა და ტკივილის მოდულაციაში მხოლოდ ნეირონები მონაწილეობენ. მაგრამ ბოლო წლებში დადგინდა, რომ გლიის უჯრედები – ასტროციტები და მიკროგლიოციტები –

მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქრონიკული ტკივილის სტატუსის განვითარებასა და შენარჩუნებაში. კერძოდ, ზურგის ტვინის გლიის უჯრედების აქტივაცია აღინიშნება ქრონიკული ტკივილის პირობებში, როგორცაა: ფორმალინის [Fu K-Y., Light A.R. et al., 1999; Sweitzer S.M., Colburn R.W. et al., 1999; Watkins L.R., Martin D. et al., 1997] ან ანთებითი პროცესის სხვა გამომწვევი ნივთიერებების კანქვეშა ინექცია [Watkins L.R., Milligan E.D. et al., 2001a; Watkins L.R., Milligan E.D. et al., 2001b], ინტრაპერიტონეული ანთება [Watkins L.R., Maier S.F., 2000], პერიფერიული ნერვის ტრავმა [DeLeo J.A., Colburn R.W., 1999], ზურგის ტვინის ფესვების დაზიანება ან გადაკვეთა, კბილის პულპის ელექტრული გაღიზიანება [Hashizume H., Rutkowski M.D. et al., 2000; Hashizume H., DeLeo J.A. et al., 2000; Popovich P.G., Wei P. et al., 1997].

ნივთიერებები, რომლებიც არღვევენ გლიის აქტივაციის პროცესს, ტკივილის სტატუსის გაძლიერებასაც აბლოკირებენ [Sweitzer S.M., Shubert P. et al., 2001; Watkins L.R., Milligan E.D. et al., 2001a; Watkins L.R., Milligan E.D. et al., 2001b; Hashizume H., Rutkowski M.D. et al., 2000; Hashizume H., DeLeo J.A. et al., 2000; Watkins L.R., Martin D. et al., 1997]. ზურგის ტვინის ასტროციტების აქტივაცია ითრგუნება ნეიროპათიური ტკივილის მახლოკირებელი ფარმაკოლოგიური პრეპარატების გამოყენებითაც [Garrison C. J., Dougherty P.M. et al., 1994].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქ-

ტურის ასტროციტების რეაქციის შესწავლა ტკივილის და ანალგეზიის ცენტრალური მექანიზმების დადგენისა და ფარმაკოლოგიური ტკივილ-გამაყუჩებელი პრეპარატების ეფექტურობის შეფასების პერსპექტიული მიმართულებაა.

NMDA რეცეპტორები დიდ როლს თამაშობენ ტკივილის გადაცემაში. ისინი მონაწილეობას იღებენ როგორც “გაცხარების” (ფიზიოლოგიური ფენომენი, რომლის გამო ზურგის ტვინის ნეირონები გაძლიერებული აქტივობით პასუხობენ C-ბოჭკოების განმეორებით აქტივაციას) [Diekenson A., Sullivan A., 1987], ასევე ცენტრალური სენსიტიზაციის პროცესებში (ზოგადი ფენომენი, რომლის დროსაც მცირდება სენსორული ნეირონების აგზნებადობის ზღურბლი და ისინი სპონტანურად განიმუხტებიან პერიფერიული მტკივნეული სტიმულაციის შემდეგ) [Dubner R., Ruda M., 1992].

ტკივილის სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელში NMDA რეცეპტორების ანტაგონისტებით ბკოლირება იძლევა ანტინოციციკლურ ეფექტს.

კეტამინის პერორალური შეყვანის ანტინოციციკლური ეფექტი პირველად გამოვლენილ იქნა ვირთაგვებში [Baumeister A., Advokat C., 1991] და მაკაკა რეზუსებში [France C., Snyder A.M. et al., 1989] კუდის შეკროთმის ტესტის გამოყენებით, თაგვებში ძმარმჯავით გამოწვეული მტკივნეული გაღიზიანებისას [Finck A., Samaniego E. et al., 1988].

ადამიანებში სუბანესთეტიკური დოზებით, პარენტერალურად შეყვანილ კეტამინს ანალგეზიური თვისებები გააჩნია [Arendt-Nielsen I., Petersen-Felix S. et al., 1995; Sadove M., Shulman M. et al., 1971].

იგივე დოზებით კეტამინის ინექცია კუნთებში ეფექტური იყო პოსტოპერაციული ტკივილის დროს [Maurset A., Skoglund L. et al., 1989; Sadove M., Shulman M. et al., 1971], დამწვრობის ტკივილისას [Slogoff S., Allen G. et al., 1974]. ამას გარდა, კლინიკური გამოკვლევებით დადგინდა, რომ პარენტერალურად შეყვანილი კეტამინი ნეიროპათიურ ტკივილსაც ამცირებს [Max M., Byas-Smith M.G. et al., 1995].

თანამედროვე მონაცემები მიუთითებს ფსიქომოციური სფეროს დისფუნქციასა და თავის ტვინში სეროტონინის დონის ცვალებადობას შორის გარკვეული კავშირის არსებობაზე [Steiner M., 2000]. ასეთი დარღვევების კორექცია შესაძლებელია სეროტონინის უკუტაცების სელექტიური მაინჰიბირებელი ანტიდეპრესანტებით [Dimmock P.W., Wyatt K.M. et al., 2000; Fishbain D., 2000; Freeman E., Sondheimer S. et al., 2000; Fredman S.J., Fava W. et al., 2000]. რადგან ქრონიკული ტკივილის სინდრომის მქონე ადამიანებს ასევე აღენიშნებათ ფსიქომოციური სფეროს გამოსატული დისფუნქცია, ანტიდეპრესანტების ტკივილგამაყუჩებელი მოქმედების შესწავლა პერსპექტიულ ამოცანად გვესახება, რომლის გადაწყვეტა მოგვცემს ქრონიკული ტკივილის მკურნალობის ეფექტურ საშუალებას.

ნებისმიერი სპეციალობის ექიმისთვის ცნობილია ტკივილისა და მისი მკურნალობის პრობლემა. სამწუხაროდ, ტკივილის ფუნდამენტური ნეირობიოლოგიური, პათოფიზიოლოგიური და პათოგენეტიკური ასპექტების შესწავლაში გარკვეული პროგრესის მიუხედავად, ტკივილის მკურნალობასთან დაკავშირებული, კლინიკური მედიცინისთვის პრიორიტეტული საკითხები ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დღემდე არ არსებობს ტკივილის ინტენსივობის განმსაზღვრელი საიმედო, ობიექტური და ადეკვატური მეთოდი [Джеймисон Р.Н., 1998; Tollison C.D., 1998]. სავარაუდო მეთოდის დამუშავებისათვის საჭირო ერთიანი თეორიული ბაზაც არ შექმნილა [Price D.D., 2000].

ამ მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტკივილი როგორც სენსორული და ემოციური განცდა არის სუბიექტური აღქმის კატეგორია, ანუ შეგრძნება, რომელსაც აკონტროლებენ: შეგნება, ქცევა და სხვა ფაქტორები, მაგალითად, წინასწარი გამოცდილება და აღზრდა. ამიტომ სხვადასხვა ადამიანი აღიქვამს ტკივილს თავისებურად, და ადამიანების მტკივნეული შეგრძნების გაზომვა ან შედარება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ინდივიდუალური სხვაობების გამო.

ტკივილის შეფასების ყველა არსებული ციფრული სისტემა შეზღუდულია საიმედოობის თვალსაზრისით [Tollison C.D., 1998]. ტკივილის

ინტენსივობის რაოდენობრივ შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ხშირად არის თერაპიული კორექციის ერთადერთი გადამწყვეტი ჩვენება და, ამავე დროს, მისი ადეკვატურობისა და ეფექტურობის ინფორმატიული მაჩვენებელი.

ზემოსხენებული მიზეზების გამო ქრონიკული ტკივილის სინდრომის მქონე პაციენტების მდომარეობის ინფორმატიული მაჩვენებლის დამუშავება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სკრინინგული და დიაგნოსტიკური გამოკვლევებისას, თანამედროვე მეცნიერების აქტუალური პრობლემაა. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი პერსპექტიული გზა არის მუბ-ის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების ანალიზი.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის *მიზანია* ანტინოციცეპციის ცენტრალური ფიზიოლოგიური, ნეიროქიმიური და ფარმაკოლოგიური ასპექტების შესწავლა. ამ მიზნის განხორციელებისათვის დასახულ იქნა შემდეგი კონკრეტული *ამოცანები*:

1. თალამუსის როლის დადგენა ნოციცეპციის რეგულაციაში:

- თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების (ცენტრომედიალური და რეტიკულური) ანტინოციცეპტური გავლენის დადგენა სამწვერა ნერვის ბირთვის, ნაკერის დორსალური ბირთვისა და ჰიპოთალამუსის ნოციცეპტურ ნეირონებზე.

- თალამუსის სპეციფიკური და არასპეციფიკური ბირთვების ანტინოციცეპტური აღმავალი (თავის ტვინის ქერქზე) და დაღმავალი (სამწვერა ნერვისა და ნაკერის ბირთვებზე, ცენტრალურ რუხ ნივთიერებაზე) გავლენის ნეიროქიმიური მექანიზმების დადგენა.
 - თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების (ცენტრომედიალური და რეტიკულური) სტიმულაციით სენსომოტორული ქერქის ნოციცეპტური ნეირონების გამოწვეული აქტივობის შეკავების გზების დადგენა.
2. თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურებში მტკივნეული გაღიზიანების შემდეგ ნეირონების, გლიის უჯრედების რაოდენობისა და გლიის ინდექსის განსაზღვრა.
 3. აგრესიასა და ანტინოციცეპციის პროცესებს შორის ურთიერთობის დადგენა:
 - ცენტრალური რუხი ნივთიერების როლის გარკვევა აგრესიული ქცევის პათოგენეზში.
 - 5-ოქსიტრიპტოფანის ეფექტების შეფასება ბუნებით აგრესიული და ტესტოსტერონის გავლენით გააგრესიულებული ვირთაგვების ქცევაზე.
 4. ფარმაკოლოგიური ნივთიერებების ანალგეზიური მოქმედების მექანიზმების დადგენა:

- ბენზოდიაზეპინების (მიდაზოლამის) ანალგეზიური და ქცევითი ეფექტების გამოვლენა ვირთაგვებში.
 - თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურებში ადგილობრივ სისხლის ნაკადზე კეტამინის (NMDA რეცეპტორების ბლოკატორის) სხვადასხვა დოზების გავლენის დადგენა.
 - ქრონიკული ტკივილის სინდრომის მქონე პაციენტებში სეროტონინის უკუტაცების მაინჰიბირებელი ანტიდეპრესანტებით მკურნალობის ეფექტურობის შეფასება.
5. მკურნალობის პროცესში ქრონიკული ტკივილის დინამიკის ემბ-ის მარკერების დაფიქსირება.

მიღებული შედეგების მცნიერული სიახლე

- დადგენილია, რომ თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების (ცენტრომედიალური და რეტიკულური) ანტინოციცეპტური გავლენა სამწვერა ნერვის ბირთვისა და ნაკერის დორსალური ბირთვის ნეირონებზე, გარდა პირდაპირი გზებისა, ხორციელდება ცენტრალური რუხი ნივთიერების საშუალებით და ეს ზეგავლენა ოპიატური ბუნებისაა.
- დადგენილია, რომ თალამუსის არასპეციფიკური ბირთვები მოქმედებენ ჰიპოთალამუსის სხვადასხვა უბნებზე, გარდა ცნობილი პირდაპირი გზებისა, ცენტრალური რუხი ნივთიერებისა და ნაკერის დორსალური ბირთვის მეშვეობით. ცენტრალური რუხი

ნივთიერების ზეგავლენა ოპიატური ბუნებისაა, ხოლო ნაკერის დორსალური ბირთვის – სეროტონინერგული.

- დამუშავებულია თავის ტვინის ანტინოციცეპტური სტრუქტურების ნეიროქიმიური ურთიერთკავშირების სქემა.
- გლიის ინდექსის გამოთვლით დადგინდა, რომ ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში, ქერქის ფრონტოპარიეტულ ზონასა და სარტყლის ხვეულში, მტკივნეული გაღიზიანებით გამოიწვევა გლიის უჯრედების რეაქცია, რომელიც გამოიხატება მათ გამრავლებაში, ნეირონების რაოდენობა კი არ იცვლება.
- დადგენილია, რომ ცენტრალური რუხი ნივთიერება მონაწილეობას იღებს, ნათხემისა და ჰიპოთალამუსის ბირთვების გააქტივებით გამოწვეული, აგრესიული ქცევის რეგულაციაში.
- დადგენილია კეტამინის (NMDA რეცეპტორის ბლოკატორის) თავის ტვინის სტრუქტურების ადგილობრივ სისხლის ნაკადზე მოქმედების ორფაზიანი ეფექტი. პირველ ფაზაში ვლინდება ადგილობრივი სისხლის ნაკადის მკვეთრი დოზადამოკიდებული დაქვეითება, მეორე ფაზაში კი მისი შემდგომი მატება. ნაჩვენებია კეტამინის ანალგეზიური თვისებები.
- დადგენილია, რომ სეროტონინის უკუტაცების მახლოკირებელი ანტიდეპრესანტების (ქლომიპრამინი) ანალგეზიური ეფექტი რამდენიმე დღით წინ უსწრებს მათ ფსიქოტროპულ ეფექტს, რაც განაპირობებს

ქრონიკული ტკივილის სინდრომის მკურნალობის სქემაში, მათი ჩართვისას, ტკივილის ინტენსივობის მნიშვნელოვან დაქვეითებას.

- აღმოჩენილია ტკივილის დინამიკისათვის დამახასიათებელი ემბ-ის მაჩვენებლების ცვლილებები.

მიღებული შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომი მნიშვნელოვნად აღრმავებს ცოდნას თავის ტვინის ანტინოციცეპტური სისტემის ფიზიოლოგიისა და ნეიროქიმიური მექანიზმების შესახებ. ტკივილის მაკონროლებელი სტრუქტურებისა და მათი ზეგავლენის ელექტროფიზიოლოგიური გზებისა და ნეიროქიმიური (ადრენერგული, დოფამინერგული, სეროტონინერგული, ოპიატური) მექანიზმების დადგენა გვაძლევს ტკივილის კონტროლის მეთოდების (მათ შორის ნეიროფარმაკოლოგიური მეთოდების) დამუშავების საშუალებას.

მტკივნეული გაღიზიანებისას, თავის ტვინის სხვადასხვა უბანში გლიის ინდექსის გამოთვლით ცვლილებების დაფიქსირება, მიუთითებს ტკივილმგრძობიარე სტრუქტურების გამოსავლენად ამ მეთოდის გამოყენების ეფექტურობაზე.

სხვადასხვა ჯგუფის ფარმაკოლოგიური პრეპარატების (ანტიდეპრესანტები, ანესთეტიკები, სედატიური საშუალებები) ანალგეზიური თვისებების წარმოდგენილი დახასიათება გვაძლევს საშუალებას გამო-

ვიყენოთ ისინი არა მხოლოდ პირდაპირი ჩვენებით, არამედ გაუტკივარების მიზნითაც.

ნაშრომში აღმოჩენილი ტკივილის დინამიკისათვის დამახასიათებელი ემბ-ის მაჩვენებლების ცვლილებების გათვალისწინება ტკივილის ობიექტური შეფასების პერსპექტიულ მეთოდად გვევლინება.

დასაცავად გამოტანილი ძირითადი დებულებები

- სამწვერა ნერვის ბირთვის და ნაკერის დორსალური ბირთვის ნეირონებზე თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების ანტინოციცეპტური მოქმედების პირდაპირი გზის გარდა არსებობს მეორე გზაც, რომელიც ოპიატური ბუნებისაა და რეალიზდება ცენტრალური რუხი ნივთიერების საშუალებით.
- თალამუსის არასპეციფიკური ბირთვები ჰიპოთალამუსის სხვადასხვა უბნებს უკავშირდებიან არაპირდაპირი გზითაც, ცენტრალური რუხი ნივთიერების (ოპიატური მექანიზმი) და ნაკერის დორსალური ბირთვის (სეროტონინერგული მექანიზმი) მეშვეობით.
- ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში, ქერქის ფრონტოპარიეტულ ზონასა და სარტყლის ხვეულში მტკივნეული გაღიზიანებისას აღინიშნება გლიის უჯრედების გამრავლება, ნეირონების რაოდენობა კი არ იცვლება.
- ცენტრალური რუხი ნივთიერება აკონტროლებს ნათხემისა და ჰიპოთალამუსის ბირთვების გააქტივებით გამოწვეულ აგრესიულ ქცევას.

- კეტამინის (NMDA რეცეპტორის ბლოკატორი) შეყვანა, თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურებში იწვევს ადგილობრივი სისხლის ნაკადის ორფაზიან ცვლილებას – მკვეთრ ღოზადამოკიდებულ დაქვეითებას, რასაც მოსდევს მისი შემდგომი მატება.
- სეროტონინის უკუტაცების მახლოკირებელი ანტიდეპრესანტის, ქლომიპრამინის, ანალგეზიური ეფექტი რამდენიმე დღით წინ უსწრებს მის ფსიქოტროპულ ეფექტს, რაც, ქრონიკული ტკივილის სინდრომის დროს, იწვევს ტკივილის ინტენსივობის მნიშვნელოვან დაქვეითებას.
- ემზ-ის ბეტა-1 დიაპაზონის სიმძლავრის, აბსოლუტური მნიშვნელობის დაქვეითება და ალფა აქტივობის ზონათაშორისი გრადიენტების გაძლიერება, შეესაბამება ტკივილის ინტენსივობის შემცირებას.

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის მასალები მოხსენებულია საქართველოს ფიზიოლოგთა მეორე ყრილობაზე (თბილისი, 2000, 2-6 ოქტომბერი), საერთაშორისო კონფერენციაზე “სამედიცინო რეაბილიტაცია და რაიტოერაპია” (თბილისი, 2006, 20-24 ივნისი).

ნაშრომი აპრობირებულია ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიის, ტკივილისა და ანალგეზიის ნეიროფიზიოლოგიის, ცხოველთა ქცევისა და ემოციათა

ფიზიოლოგიის ლაბორატორიების გაფართოებულ სხდომაზე (2006, 25 სექტემბერი).

პუბლიკაციები

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 11 სამეცნიერო სტატია.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია 227 ნაბეჭდ გვერდზე (კომპიუტერული აკრეფა) და შედგება შემდეგი თავებისაგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, გამოკვლევის მასალა და მეთოდები, მიღებული შედეგები და მათი განხილვა, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია (452 დასახელება). ნაშრომი ილუსტრირებულია 34 სურათით, 1 სქემით და 5 ცხრილით. ნაშრომი შესრულებულია ქართულ ენაზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ტკივილის შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის რეკომენდაციით, ტკივილი წარმოადგენს არასასიამოვნო შეგრძნებასა და ემოციურ განცდას, რომელიც დაკავშირებულია ცოცხალი ქსოვილის რეალურ ან პოტენციურ დაზიანებასთან [ISAP, 1994a].

ტკივილის სახეები

ტკივილის შეგრძნება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა დამაზიანებელი აგენტი ან ფსიქოგენური ფაქტორი ტკივილის განსხვავებულ შეგრძნებას იწვევს, რაც დამოკიდებულია დროის ფაქტორზე, შეგრძნების ინტენსივობასა და კერის ლოკალიზაციაზე. განასხვავებენ: მწვავე და ქრონიკულ, პირველად და მეორად, მწველ და ყრუ, ზედაპირულ და ღრმა, ფიზიკურ და ფსიქოგენურ ტკივილს [ISAP, 1994b].

ზედაპირული და ღრმა ტკივილი

არსებული კლასიფიკაციის მიხედვით, ფიზიკური ტკივილის ერთ-ერთი სახეა ზედაპირული ტკივილი, რომელიც შეიძლება იყოს ჩხვლეტის ან მწველი შეგრძნების მსგავსი. ზედაპირული ტკივილის ამ ორი შეგრძნების ლოკალიზაცია ადვილია, ანუ შესაძლებელია ორგანიზმზე მტკივნეული გამღიზიანებლის ზემოქმედების ადგილის განსაზღვრა და მისგან სწარფი განრიდება [Henderson LA, Bandler R et al., 2006].

ფიზიკური ტკივილის მეორე სახეა შინაგანი ორგანოებისა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანებით გამოწვეული ტკივილი (ღრმა ტკივილი) [O’neill S, Manniche C, 2006], რომელიც შეიძლება იყოს ყრუ; მისი ლოკალიზაცია გაძნელებულია. ღრმა ტკივილის შეგრძნება დიფუზური ხასიათისაა და შეიძლება პროეცირდებოდეს კანის ზედაპირზეც [Farasyn A., 2006].

ნეიროპათიული ტკივილი

ფიზიკური ტკივილის მესამე სახეა ნეიროპათიული ტკივილი, რომელიც ძლიერი, მწვავე ტკივილის შეგრძნებით ხასიათდება. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს პერიფერიული ნერვის დაზიანებით, მასში პათოლოგიური (მაგალითად, ანთებითი) პროცესის განვითარებით ან მისი კომპრესიით. ნეიროპათიული ტკივილი შეიძლება განვითარდეს ზურგის ტვინის ან თავის ტვინის ღეროვანი და თაღამური სტრუქტურების პათოლოგიითაც [Becerra L, Morris S et al., 2006; Abdi S, Haruo Aet al., 2004].

ზოგიერთ შემთხვევაში ნეიროპათიული ტკივილი წლების განმავლობაში გრძელდება და მისი თავიდან აცილება საკმაოდ რთულია. ამ სახის ტკივილი ზოგჯერ ენდოგენური ანალგეზიური სისტემის პათოლოგიით არის გამოწვეული, რითაც აიხსნება მისი ქრონიკული მიმდინარეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქრონიკული ტკივილი შეიძლება იყოს ფსიქოგენურიც.

პირველადი და მეორადი ტკივილი

ფიზიკური ტკივილის სახეობებში განასხვავებენ პირველად და მეორად ტკივილს. პირველადი ტკივილია – ხანმოკლე, ზუსტად ლოკალიზებული, ძლიერი, მწვავე, რომელიც გაივლის 0,5-1 წამის განმავლობაში, შემდეგ კი მოჰყვება მეორადი ხანგრძლივი ტკივილი – მწველი და ძნელად ასატანი, რომლის ლოკალიზაციის დადგენა ძნელია. მეორადი ტკივილის დროს აღინიშნება ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემაში, ზოგჯერ – ცნობიერებაშიც. აღსანიშნავია, რომ მეორად ტკივილს მიაკუთვნებენ აგრეთვე ყრუ ტკივილის შეგრძნებასაც, რომელიც შინაგან ორგანოებსა და სომატურ სისტემაში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების შედეგად წარმოიქმნება და შეიძლება გაგრძელდეს ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში (მწვავე ტკივილი), ან ხანგრძლივად (ქრონიკული ტკივილი) [Shen FH, Samartzis D, Andersson GB., 2006]. ეს უკანასკნელი შეიძლება გახდეს რეაქტიული დეპრესიის მიზეზი.

ფსიქოგენური ტკივილი

ფსიქოგენური ტკივილი ვითარდება ფსიქოლოგიური ან სოციალური ფაქტორების ზეგავლენით. ფსიქოგენური ტკივილის ბუნება, შეიძლება დაუდგენელი დარჩეს, რადგან პაციენტის ქცევა ხშირად არ შეესაბამება მის მიერ აღწერილ მწვავე ტკივილის შეგრძნებას. ფსიქოგენური ტკივილის შეგრძნების ინტენსივობა ხშირად პაციენტის

გუნება-განწყობილების შესაბამისად იცვლება და ფსიქოტროპული პრეპარატებით მკურნალობის შედეგად მცირდება [Covington EC., 2000].

ტკივილის განცდა ხშირად აღენიშნებათ ფსიქიური აშლილობის მქონე პაციენტებს. ღრმა დეპრესია ხშირად ქრონიკული თავის ტკივილის თანხლებით მიმდინარეობს. თავის მხრივ, ქრონიკულმა ტკივილმა შეიძლება გამოიწვიოს რეაქტიული დეპრესია. ასევე ხშირად აღნიშნავენ ტკივილის შეგრძნებას შიზოფრენიით დაავადებულები [Jakubaschk J, Boker W., 1991].

ფანტომური ტკივილი

აღწერილია ტკივილის კიდევ ერთი სახე, ე.წ. ფანტომური ტკივილი. ზოგიერთ შემთხვევაში ის არის ძლიერი, მწვავე, და აღიქმება არარსებული, მოკვეთილი კიდურის რომელიმე ნაწილში. ასეთ პაციენტებს აქვთ იმის განცდა, რომ თითები, მტევანი თუ სხვა დიდი ხნის წინ მოკვეთილი ორგანო, შეიგრძნობს გარე სამყაროში მომხდარ ცვლილებებს, მაგალითად, საწოლთან დაკავშირებულ უხერხულობას, ცუდად დახურულ საბანს ან სახვევის მოცილებას [Flor H, Nikolajsen L, Staehelin Jensen T., 2006]. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ეს მხოლოდ ილუზიაა, მიუხედავად ამისა მაინც ვერ თრგუნავენ ტკივილის შეგრძნებას. ფანტომური ტკივილის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმი შეიძლება აიხსნას იმით, რომ კიდურის ამპუტაციის შემდეგ ცენტრალური სტრუქტურებისაკენ

ნერვული იმპულსების გატარება გრძელდება. ამიტომ, ტკივილის შეგრძნება მოკვეთილი კიდურის სწორედ იმ ნაწილზე პროეცირდება, საიდანაც ნორმაში სათავეს იღებდა ტკივილის იმპულსაციის გამტარი მგრძნობიარე ნერვული ბოჭკოები [Buschmann D, Opiel F., 1999].

ტკივილის თეორიები

ტკივილის შესახებ არსებული თანამედროვე შეხედულებები სათავეს იღებს XVIII-XIX საუკუნედან, როდესაც ჩამოყალიბდა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორია: ინტენსივობისა და სპეციფიკურობის.

ინტენსივობის თეორიის თანახმად, ტკივილი გამოიწვევა არა მარტო სპეციფიკური ნოციცეპტორების, არამედ პოლიმოდალური და არანოციცეპტური ნეირონების გაღიზიანებითაც [Tsai PF, Tak S, 2003; Greer KR, Hoyt JW., 1990]. ამ კონცეფციით ტკივილის აღმოცენების ძირითადი ფაქტორია სტიმულის მაღალი ინტენსივობა და სენსორულ გაღიზიანებათა სუმაცია (უმტკივნეულო გაღიზიანების ჩათვლით). ეს თეორია დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ხდება აგზნების პროცესების სუმაცია და განსხვავებული მოდალობის იმპულსაციის კონვერგენცია, შესაბამისად, ტკივილის სპეციფიკური პერიფერიული აპარატი არ არის აუცილებელი.

სპეციფიკურობის თეორიის თანახმად [Greer KR, Hoyt JW., 1990] ტკივილი განიხილება, როგორც სპეციფიკური მოდალობა, რომელიც

ჩამოყალიბდება მხოლოდ მტკივნეული გამაღიზიანებლის მოქმედებით [Algom D, Raphaeli N, Cohen-Raz L., 1987; Bishop B., 1980; Casey KL., 1980]. ტკივილის შეგრძნება სპეციფიკური რეცეპტორებით ხდება, რომელთა აგზნებით იმპულსები აღწევს ზურგის ტვინის უკანა რქებს A-დელტა და C ბოჭკოებით. მტკივნეული სიგნალი გადაირთვება ქელატინოზურ სუბსტანციის დონეზე და გვერდითი სპინოთალამური ტრაქტით მიემართება ტკივილის სპეციფიკურ ცენტრებში (თალამუსი და სხვ.), შემდეგ კი თავის ტვინის ქერქისაკენ, სადაც ჩამოყალიბდება ტკივილის შეგრძნება [Price DD, Verne GN., 2002; Zimmerman M., 1975; Kerr TWL., 1975].

სპეციფიკურობის თეორიის კონცეფციის სასარგებლოდ მოწმობს კანში, მყესებში, კუნთებში, პარენქიმატოზულ ორგანოებში, სეროზულ გარსებსა და სხვა უბნებში ლოკალიზებული მაღალზღურბლოვანი რეცეპტორების (ნოციცეპტორების) არსებობა [Silva R S, Conti PC, 2005; Ochoa JL., 2004; Steen KH, Issberner U, Reeh PW., 1995].

ამჟამად ეჭვს არ იწვევს პერიფერიული სპეციალიზირებული ნოციცეპტორების [Lee J, Tommerdahl M, 2005; Kruger L, Perl ER, Sedivec MJ., 1981] და მტკივნეული აფერენტული ბოჭკოების არსებობა [Rabben T., 2003].

დადგენილია, რომ ზოგიერთი ნოციცეპტორები პასუხობენ მხოლოდ მტკივნეულ გაღიზიანებაზე (მაგ., მექანიკური ან თერმული). ეს ნოციცეპტორები უნიმოდალურია. სხვები პასუხობენ როგორც

მტკივნეულ სტიმულებზე, ასევე მექანიკურ და ძლიერ თერმულ გამაღიზიანებაზე. ისინი პოლიმოდალური ნოციცეპტორებია [Byers MR, Narhi MV., 1999; Lawson SN., 1996].

ტკივილის პერიფერიული მექანიზმები

ტკივილის სპეციფიკურობის თეორიის თანახმად მტკივნეულ გამაღიზიანებელთა მიმართ არსებობს სპეციფიკურად მგრძობიარე რეცეპტორები, ნოციცეპტორები, რომლებიც თავისი სტრუქტურით განსხვავდებიან სხვა რეცეპტორებისგან. ასეთი რეცეპტორული აპარატია მცირე დიამეტრის მქონე, მიელინისანი A-დეელტა და უმიელინო C მგრძობიარე ნერვული ბოჭკოების დაბოლოებები [MacIver MB, Tanelian DL., 1993].

გამაღიზიანებლების ზემოქმედებით, თავისუფალი ნერვული დაბოლოებებიდან, აღმავალ (მგრძობიარე) ნერვულ ბოჭკოებში ვრცელდება აგზნება, რომელიც აამოქმედებს ტკივილის ცენტრალურ მექანიზმებს. დადგენილია, რომ თავისუფალ ნერვულ დაბოლოებათა მემბრანაში ხდება დეპოლარიზაცია, ისევე როგორც სხვა ტიპის რეცეპტორებში – რეცეპტორული ანუ ე.წ. გენერატორული პოტენციალი [Krause JE, Chenard BL, Cortright DN., 2005]. იგი აგზნების პოსტსინაფსური პოტენციალის მსგავსია (მისი ამპლიტუდა გამაღიზიანებლის ინტენსივობის მატების შესაბამისად იზრდება). პოსტსინაფსური პოტენციალისგან განსხვავებით, თავისუფალ ნერვულ დაბოლოებაში გენერატორული პოტენციალის ამპლიტუდა არ მცირდება მტკივნეული

გამაღიზიანებლის ხანგრძლივი ზემოქმედებისას. ის ელექტროტონურად ვრცელდება აღმავალი მიმართულებით და პირველივე რანგის შვეიწროებაში იწვევს გავრცელებადი აგზნების პროცესს [Schwarz JR, Reid G, Bostock H., 1995]. იმპულსაცია ვრცელდება ზურგის ტვინის უკანა რქის სასაზღვრო ზონაში განთავსებული ნერონებისაკენ და სინაფსური გადართვის შემდეგ, აღმავალი გზებით მიემართება თავის ტვინის შესაბამისი სტრუქტურებისაკენ.

თავისუფალი ნერვული დაბოლოებანი, უჯრედშორის სივრცეში განთავსებულია სხვა რეცეპტორების მსგავსად. მცირე (1-6 მიკრონი) დიამეტრის მიელინისანი A-დეელტა ბოჭკოები, სხვა მიელინისან ბოჭკოებთან შედარებით, აგზნებას უფრო სწრაფად ატარებენ (საშუალოდ 15-25 მეტრი წამში) [Tamura Y, Hoshiyama M, 2004]. მცირე დიამეტრის (2 მიკრონი) უმიელინო C ბოჭკოები აგზნების იმპულსებს ატარებენ დაბალი სიჩქარით (0.6-2 მეტრი წამში) [Kimura S, Honda M, 2004]. ნერვული იმპულსების სხვადასხვა გატარების სიჩქარით აიხსნება პირველადი და მეორადი ტკივილის შეგრძნების არსებობა. კერძოდ, პირველად ტკივილს განაპირობებს აგზნების გატარება A-დეელტა ბოჭკოებით, ხოლო მეორადს – C ბოჭკოებით. დადასტურებულია, რომ A-დეელტა ან C ბოჭკოების ნოვოკაინით ან ტეტროდოტოქსინით დამუშავების შემთხვევაში გენერატორული პოტენციალის არსებობის მიუხედავად, არ ხდება გავრცელებადი აგზნება [Steffens H, Eek B, 2003].

შესაბამისად, ამ გზით შესაძლებელი უნდა იყოს პირველადი ან მეორადი ტკივილის შერჩევითად დათრგუნვა.

ტკივილის ნერვული მექანიზმების შეცნობისათვის მნიშვნელოვანია ნოციცეპტორების გააქტივების მექანიზმის შესწავლა. ამ საკითხის შესახებ არსებობს რამდენიმე მოსაზრება, რომელთა შორის აღსანიშნავია ქიმიური ჰიპოთეზა. ამ ჰიპოთეზის თანახმად, კანსა და შინაგან ორგანოებში არსებული თავისუფალი ნერვული დაბოლოებები შეიცავს გრანულებს ან ბუმტუკებს, მათში მოთავსებულია ქიმიური ნივთიერება, რომელიც სპეციფიკური ზემოქმედების შემდეგ განთავისუფლდება. იგი მოქმედებს ამავე დაბოლოების მემბრანაში არსებულ რეცეპტორზე და იწვევს მემბრანის დეპოლარიზაციას. ამ ნივთიერების აქტივობას თრგუნავს შესაბამისი ფერმენტი, რომელიც თავისუფალი ნერვული დაბოლოების ზონაში მოქმედებს და გამოიყოფა ქსოვილის დაზიანებისას [Lischetzki G, Rukwied R, 2001].

ასეთი ნივთიერების როლს კანში ასრულებს აცეტილქოლინესტერაზა, ხოლო შინაგან ორგანოებში – ბუთირილქოლინესტერაზა [Sklan EH, Berson A, 2006; Belinskaia DA, Shestakova NN., 2005]. ეს ფერმენტები აცეტილქოლინის ინაქტივატორებია. ვარაუდობენ, რომ ქიმიური რეცეპტორების გამააქტივებელი ნივთიერებებია აგრეთვე კალიუმის იონები, ჰისტამინი, ბრადიკინინი, სომატოსტატინი, ნივთიერება P და პროსტაგლანდინი E [Trebino CE, Stock JL, 2003; Babenko VV, Graven-Nielsen

T, 1999].

ნოციცეპტორების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მტკივნეული გამაღიზიანებლის ხანგრძლივი ზემოქმედებისას არ ხდება მათი ადაპტაცია, პირიქით, აღინიშნება მათი მგრძობელობის მომატება (სენსიტიზაცია) [Lischetzki G, Rukwied R, 2001; Aley KO, Martin A, 2001], რაც განპირობებულია გენერატორული პოტენციალის ზღურბლის შემცირებით.

შესაძლოა, ნოციცეპტორის სენსიტიზაცია დაზიანებული ქსოვილიდან გამოყოფილი ნივთიერებების ზემოქმედებით ხდება, რომლებიც იწვევენ რეცეპტორის გამააქტივებელი სუბსტანციების დამშლელი ფერმენტების ინაქტივაციას და შესაბამისად, თავისუფალ ნერვულ დაბოლოებათა მემბრანის ხანგრძლივ დეპოლარიზაციას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სათანადო აფერენტულ ბოჭკოებში მადალსის-შიროვანი, სტაბილური იმპულსაციის წარმოქმნას.

ასეთი მექანიზმის რეალურ არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ რაც უფრო მაღალია გენერატორული პოტენციალის ამპლიტუდა, მით უფრო მაღალი სიხშირით წარმოიქმნება აფერენტული იმპულსები [Lieberman EA, Mamikonova TA, Minina SV., 1988]. სავარაუდოა, რომ კანის ჰიპერალგეზიის მოვლენას სწორედ ნოციცეპტორების სენსიტიზაციის ფენომენი უდევს საფუძვლად [Mizumura K., 1997].

სხვა ტიპის რეცეპტორებისგან განსხვავებით, ნოციცეპტორების ძირითად თვისებას წარმოადგენს მათი გააქტივებისათვის აუცილებელი

ძლიერი გამაღიზიანებლის ზემოქმედება, ანუ, ნოციციკტორები გენერატორული პოტენციალის მაღალი ზღურბლით გამოირჩევა [Faber ES, Chambers JP, Evans RH., 1998].

ექსპერიმენტით გამოვლინდა ნერვული ბოჭკოები, რომლებშიც აგზნების იმპულსები რეცეპტორების მხოლოდ ძლიერი გაღიზიანებისას წარმოიქმნება, რასაც თან ახლავს ტკივილის შეგრძნება. შემუშავდა დებულება, რომლის თანახმადაც ტკივილის რეცეპტორი მხოლოდ ძლიერ გამაღიზიანებლებზე რეაგირებს [Graven-Nielsen T, Arendt-Nielsen L, Mense S., 2002].

ტკივილის ცენტრალური მექანიზმები

ტკივილის სპინალური მექანიზმები

ზურგის ტვინის ნოციციკტური ნეირონები ლოკალიზებულია უკანა რქის დორსალურ ნაწილში, რომელიც შედგება 5 ფირფიტისაგან. II და III ფირფიტა ქელატინოზურ სუბსტანციას შეადგენს. ნოციციკტორებიდან აღმავალი მგძნობიარე გზა ზურგის ტვინის უკანა რქაში შედის და ზედაპირულად მდებარე I ფირფიტაში – სასაზღვრო ზონაში ბოლოვდება [Pearson AA., 1952]. აქ წარმოიქმნება ამაგზნებელი სინაფსები ე.წ. სარელეო ნეირონებთან, სადაც ნეირომედიატორის როლს ნივთიერება P ასრულებს [Ohno T., 1997; Badalamente MA, Dee R, 1987]. სარელეო ნეირონების აქსონები თავის ტვინისაკენ მიემართება.

ამ აქსონებით იმპულსაციის ნაწილი, სპინოთალამური ტრაქტის შემადგენლობაში, სწრაფად გადაეცემა თალამუსისა და შემდეგ, ქერქულ წარმონაქმნებს [Klop EM, Mouton LJ, 2005]. ეს გზა ტკივილის შეგრძნების იდენტიფიკაციასა და ლოკალიზაციას ემსახურება. ზურგის ტვინის იმპულსაციის შედარებით მცირე ნაწილი სპინორეტიკულო-თალამური ტრაქტით მიემართება თავის ტვინის, კერძოდ, შუა ტვინის, თალამუსის, ჰიპოთალამუსის და შემდეგ, ლიმბური სტრუქტურებისა და ფრონტალური ქერქისაკენ [Nahin RL., 1987]. მაგრამ უკვე ზურგის ტვინის დონეზეც მოქმედებს რთული ნერვული წრეები.

უკანა რქაში ლოკალიზებული ტკივილის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს, რომელთაგან აღსანიშნავია 1965 წელს რ.მელზაკისა და პ.უოლის მიერ მოწოდებული ტკივილის ე.წ. ჭიშკრის კონტროლის თეორია [Melzack R., Wall P., 1991; Мелзак P., 1981].

ეს თეორია ითვალისწინებს ზურგის ტვინში შემავალი იმპულსების პირველივე საფეხურზე დამუშავებას. იგულისხმება ტკივილის შეგრძნების გაძლიერების (ჰიპერალგეზია) და გაუტკივარების ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების ერთობლივი მოქმედება. ტკივილის იმპულსაციის პირველადი დამუშავებისათვის ზურგის ტვინის უკანა რქის დორსალურ ნაწილსა და შესაძლოა, სამწვერა ნერვის ბირთვში მოქმედებს ე.წ. სპინალური ჭიშკარი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში

იხსნება და უზრუნველყოფს ჰიპერალგეზიას, ხოლო სხვა შემთხვევაში იხურება, რაც ანალგეზიას განაპირობებს.

ამ თეორიის თანახმად ტკივილით გამოწვეული ნერვული იმპულსების მოდიფიკაცია ხდება, უკვე ზურგის ტვინის უკანა რქების დონეზე. როცა “ჭიშკრები” ღიაა, ნოციციკპტური ინფორმაცია აღწევს თავის ტვინს და იწვევს სპეციფიკურ ფსიქოფიზიოლოგიურ მდგომარეობას – ტკივილს. თუ “ჭიშკრები” ნაწილობრივ ან მთლიანად დახურულია, ნოციციკპტური აფერენტული ნაკადის გატარება თავის ტვინში შემცირებულია ან შეწყვეტილია.

“ჭიშკრების” ფუნქციური მდგომარეობა ე.ი. აფერენტული ნაკადის გატარება სუპრასპინალურ წარმონაქმნებისაკენ დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მსხვილი და წვრილი ნერვულ ბოჭკოებს შორის აქტივობის თანაფარდობაზე და მეორე მხრივ, მათი ურთიერთობით თავის ტვინის უმაღლესი ცენტრებიდან დაღმავალი ბოჭკოების აქტივობაზე.


ნოციციკპტური ინფორმაციის გატარებას უზრუნველყოფს თავის ტვინში T-უჯრედები, მათ კონტროლს უწევს წვრილი და მსხვილი ბოჭკოები. ნოციციკპტური ნაკადი T-უჯრედებისაკენ რეგულირდება ქელატინოზური ფორმაციის უჯრედებით, პრე- და, შესაძლოა, პოსტსინაფსური შეკავებით. თავის მხრივ, ქელატინოზური ფორმაციის უჯრედები აქტიურდებიან მსხვილი ბოჭკოების კოლატერალებით, ხოლო კავდებიან წვრილი ნოციციკპტური ბოჭკოებით. ნორმალურ

პირობებში მსხვილი ბოჭკოების სისტემის აქტივობა აჭარბებს წვრილი ბოჭკოების აქტივობას, ამიტომ ქელატინოზური სუბსტანციის ნეირონები აკავებენ T-უჯრედებს, კეტავენ “ჭიშკრებს” და აფერენტული იმპულსაცია თავის ტვინს ვერ აღწევს.

წვრილი ბოჭკოების გაღიზიანების პირობებში კავდება ქელატინოზური სუბსტანციის უჯრედები, შესაბამისად, მათი შემაკავებელი გავლენა T-ნეირონებზე ჩერდება, “ჭიშკრები” იხსნება და მტკივნეული ინფორმაცია გაიშვება ფუნქციურ-სტრუქტურულ კომპლექსში, რომელიც მოიცავს ცნს-ის სხვადასხვა დონეს: რეტიკულურ ფორმაციას, თალამუსს, ჰიპოთალამუსს, ლიმბურ წარმონაქმნებსა და დიდი ჰემისფეროების ქერქს [Dickenson AH., 2002; Humphries SA, Johnson MH, Long NR., 1996].

მელზაკისა და უოლის თეორიის თანამედროვე ვარიანტი წარმოდგენილია სურ. 1-ზე.

ტკივილის იმპულსაციის გამტარი აქსონები სინაფსურ კავშირებს ამყარებს როგორც უკანა რქის სასაზღვრო ზონაში განთავსებულ აღმაავალი ნერვული გზების სარელეო ნეირონებთან, ასევე შემაკავებელი ინტერნეირონებით შემაკავებელ სინაფსებს ქმნის ქელატინოზურ სუბსტანციაში განთავსებულ შემაკავებელ ნეირონებთან, რომლებიც აქსოაქსონურ სინაფსებს ქმნის იგივე ტკივილის გამტარი ბოჭკოების პრესინაფსურ დაბოლოებებთან.



სურ. 1. ტვილის ჭიშკრის კონტროლის მექანიზმის სქემა: 1 – მექანორეცეპტორი, 2 – ნოციცეპტორი, 3 – A-დელტა ან C ბოჭკო, 4 – უჯრედის სხეული უკანა ფესვის განგლიაში, 5 – შემაკავებელი ინტერნეირონი, 6 – შემაკავებელი ნეირონი ჟელატინოზურ სუბსტანციაში, 7 – აქსოაქსონური შემაკავებელი სინაფსი, 8 – სასაზღვრო ზონა (აღმავალი გზის სარეღო ნეირონი), 9 – თავის ტვინისაკენ (თალამუსი) აღმავალი გზა.

ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, სარელეო ნეირონებზე პროეცირდება. გარდა ამისა, პრესინაფსური შეკავების განმსაზღვრელი ნეირონები აქსოაქსონურ კავშირებს ამყარებს მექანორეცეპტორებიდან აღმავალი, მსხვილი მიელინის ბოჭკოების იმ ტერმინალებთან, რომლებიც ასევე სარელეო ნეირონებზე პროეცირდება.

შემაკავებელ ნეირონებზე პროეცირდება, აგრეთვე, მექანორეცეპტორებიდან აღმავალი მგრძობიარე ბოჭკოების კოლატერალების დაბოლოებანი, ანუ არამტკივნეული იმპულსაციის გამტარი ნერვული ბოჭკოების ტერმინალები [Davis P., 1993].

ტკივილის ჭიშკრის კონტროლის თეორიის მიხედვით, ზურგის ტვინის უკანა რქის დორსალურ ზონაში იქმნება ისეთი სინაფსური კავშირები, რომლებიც ერთი მხრივ, ტკივილის იმპულსაციას მიაწვდის სარელეო ნეირონებს, ხოლო მეორე მხრივ, იგივე იმპულსაცია, შემაკავებელ ნეირონებზე განთავსებული შემაკავებელი სინაფსების საშუალებით, ამ შემაკავებელი ნეირონების მოქმედებას აკავებს. შედეგად, იხსნება სპინალური “ჭიშკარი” და ხდება მტკივნეული იმპულსაციის გადაცემის გაადვილება – ჰიპერალგეზიის ფენომენის რეალიზაცია.

მსხვილი მიელინის ბოჭკოებით მექანორეცეპტორებიდან მომავალი იმპულსაცია ააქტივებს შემაკავებელ ნეირონებს, რასაც, პრესინაფსური შეკავების მექანიზმით, თან სდევს, როგორც საკუთრივ

ტაქტილური იმპულსაციის, ასევე ტკივილის იმპულსაციის სინაფსური გადაცემის შეფერხება. ასეთ შემთხვევაში, მოცემული თეორიის თანახმად, სპინალური “ჭიშკარი” ტკივილის იმპულსაციისათვის დახურულია, რაც უკვე სპინალურ დონეზე ანალგეზიას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მექანიზმით კარგად აიხსნება აკუპუნქტურის ანალგეზიური ეფექტები [Witt CM, Brinkhaus B, Willich SN., 2006; Man PL, Chen CH., 1972] და კარგად ცნობილი ფაქტი, რომ პერიფერიაზე ტკივილის კერის ირგვლივ ქსოვილის ტაქტილურ გაღიზიანებას ანალგეზიური ეფექტი აქვს [Winnie A., 1989].

ნოციცეპტური ინფორმაციის გამტარი გზები

ნოციცეპტური ინფორმაცია, ნოციცეპტორებიდან, ცნს-ას პირველი აფერენტების სისტემით, A δ და C ბოჭკოებით გადაეცემა [Tamura Y, Hoshiyama M et al., 2004; Shir Y, Seltzer Z., 1990].

წვრილი მიელინიანი A-დედტა ბოჭკოების გააქტივება იწვევს მწვავე ტკივილს [Tamura Y, Hoshiyama M et al., 2004; Price DD., 1996; Kerr TWL., 1978], მაშინ როცა უმიელინო C ბოჭკოების აქტივაცია იწვევს ქრონიკულ ტკივილს [Djouhri L, Koutsikou S et al., 2006; Torebjork HE, LaMotte RH, Robinson CJ., 1984].

ტკივილის ინფორმაცია გადაეცემა ნეო- და პალეოსპინო-თალამური და სპინორეტიკულური ტრაქტებით თალამუსის ბირთვებსა

და რეტიკულურ ფორმაციას [Friehs GM, Schrottner O, Pendl G., 1996; Kevetter GA, Willis WD., 1982; Willis WD. et al., 1977]. ცნობილია, რომ ტკივილი, ტემპერატურის მგრძნობელობასთან ერთად გადაეცემა, ზურგის ტვინის ანტეროლატერალური სვეტის აღმავალი ბოჭკოებით [Trevino DL., 1976; Mayer DJ, Price DD, Becker DP., 1975; Iggo A., 1966]. ნაუტასა და კუიპერსის აზრით [Nauta WJ, Kuypers HG., 1958] კლასიკური აღნიშვნა “სპინოთალამური” არასრულად ასახავს მის შინაარსს, რადგან ბოჭკოების მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს თალამუსამდე. მათი უმრავლესობა მთავრდება ტვინის ღეროში, თალამუსის ქვევით, ძირითადად ტემპენტუმის რეტიკულურ ფორმაციაში, ზოგიერთი ბოჭკოები შედის ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში (ცრნ), შუა ტვინის დონეზე. ეს გზები პირველად აღწერა კლარკმა [Clark et al., 1935], როგორც სპინოანულარული ტრაქტი. თანამედროვე მოსაზრებებით, ცრნ შეიძლება ჩაითვალოს საკვანძო წერტილად გამტარ სისტემაში, რომელიც, შესაძლოა, წარმოადგენს ტკივილის პირველადი ინტეგრაციის დონეს [Hsieh JC, Stahle-Backdahl M, 2006]. ცრნ-დან გზები აღწევენ ჰიპოთალამუსს და აკავშირებს მას ლიმბურ სისტემასთან. სპინოთალამური ტრაქტის მცირე რაოდენობის ბოჭკოები მთავრდებიან თალამუსის ორ უბანში: ვენტრო-ლატერალურ კომპლექსში და ინტრალამინალურ ბირთვებში. მაიმუნებსა და ადამიანში სპინოთალამური ბოჭკოები მთავრდებიან თალამუსის ვენტროპოსტერო-

მედიალურ ბირთვში [Bishop B., 1980]. ეს ტრაქტი რამდენადმე გადაფარავს აღმაგალ სისტემაში პარალელურად მიმავალ მედიალურ მარყუქს, რომელიც გადასცემს ტაქტილურ და ნოციციკტურ ინფორმაციას.

ზოგიერთი ავტორის აზრით [Калюжный ЛВ, 1984] მედიალური მარყუქისა და სპინოთალამური ტრაქტის დაბოლოებათა შორის მდებარე უბანი წარმოადგენს კონვერგენციისა და სომატოსენსორული ქერქის “ჭიშკრის” ადგილს. დასაშვებია აგრეთვე აზრი, რომ აღნიშნული გზის ეს “ნეოსპინოთალამური” კომპონენტი განსაზღვრავს ტკივილის მგრძნობელობის ხარისხს.

ანტეროლატერალური სვეტის სხვა ბოჭკოები მთავრდებიან არასპეციფიკურ ბირთვებში [Bowsher D., 2005; Lim EK, 1968; Albe-Fessard J, 1966; Massio J, Dormont JF., 1966]. მათი ნაწილი გადაჯვარედინდება, მიემართება მეორე მხარეს უკანა კომისურის საშუალებით და მთავრდება შესაბამის კონტრალატერალურ ბირთვებში.

მედიალური სპინოთალამური ბოჭკოები, შესაძლოა, წარმოადგენს უმდაბლესი ხერხემლიანების სპინოდიენცეფალური სისტემის კომპლექსს, და ამიტომ შეიძლება მისი დახასიათება როგორც პალეო-სპინოთალამური ტრაქტი [Fehlings MG, Hurlbert RJ, Tator CH., 1991; Mathewson M., 1985].

ექსპერიმენტული ტკივილის მოდელი

ექსპერიმენტულად ტკივილის შესწავლა დაკავშირებულია სირთულეებთან იმის გამო, რომ სხეულის ზედაპირიდან ძნელია ტკივილის გაღიზიანების “სუფთა სახით” მიღება, რადგან ტკივილის რეცეპტორებს გააჩნიათ გაღიზიანების ყველაზე მაღალი ზღურბლი, და ნებისმიერი ნოციციკპტური გაღიზიანების დროს (მექანიკური, ელექტრული, თერმული და სხვა), ნოციციკპტურთან ერთად ღიზიანდებიან სხვა რეცეპტორებიც [Tominaga M., 2005]. ამის შედეგად აფერენტული იმპულსაციის ნაკადი არის უაღრესად რთული და პოლიმოდალური.

ამჟამად, “წმინდა” ტკივილის აფერენტაციის მისაღებად წარმატებით გამოიყენება კბილის პულპის გაღიზიანება. დადგენილია, რომ კბილის პულპის აფერენტები შეიცავენ მხოლოდ A და C ბოჭკოებს, რომლებიც მხოლოდ ტკივილის აფერენტაციას ატარებენ [Chidiac JJ, Rifai K et al., 2002; Бутхузи СМ, 1980; Anderson KV, Pearl GS., 1975].

ტკივილის მექანიზმები თავის ტვინის დონეზე

სამწვერა ნერვის ბირთვი

მრავალრიცხოვან ელექტროფიზიოლოგიურ და მორფოლოგიურ გამოკვლევათა მიუხედავად, მონაცემები ტრიგემინულ კომპლექსში, კბილის პულპის პირველადი ნოციციკპტური დაბოლოებების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგოა [Lillesaar C, Eriksson C, Fried K., 2001; Yousef

Saad A., 1989; Byers MR, Matthews B., 1981; Nord SG, 1976; Jung RF, King RB., 1972]. კლინიკური მონაცემების [Park SJ, Zhang S et al., 2006; Hamba M, Hisamitsu H, Muro M., 1992] საფუძველზე ჩამოყალიბდა აზრი, რომ ნოციციკპტური ინფორმაცია მიემართება სამწვერა ნერვის ბირთვის კაუდალური ნაწილის გავლით. რიგ შრომებში ეს მოსაზრება უარყოფითია [Hu JW, Sessle BJ., 1989; Fields RW, Taeke RB, Savara BS., 1975].

ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევებით ტრიგემინალური ბირთვის როგორც როსტრალურ, ისე კაუდალური ნაწილებში აღმოაჩინეს უჯრედები, რომლებიც რეაგირებდნენ ნოციციკპტურ გაღიზიანებაზე [Oshima K, Takeda M et al., 2006; Oshima K, Takeda M et al., 2005; Sessle BJ, Hu JW et al., 1986; Nord SG, 1976; Shigenaga Y, Sakai A, Okada K., 1976]. აზერდის და სხვათა გამოკვლევებში [Azerd J, Woda A, Albe-Fessard D., 1982] შესწავლილ იქნა სენსორული ტრიგემინული კომპლექსის ნეირონების აქტივობა ეშვების პულპის სტიმულაციაზე. პულპის პროექციები აღმოჩენილია სამწვერა კომპლექსში, უფრო მეტად მის როსტრალურ ნაწილში. ეს მონაცემები მტკიცდება მორფოლოგიური კვლევის შედეგებით [Ezure H, Goto Net al., 2001; Brown JL, Liu H et al., 1995].

ზოგიერთი ავტორის აზრით, კბილის პულპის აფერენტების წარმომადგენლობას იპსილატერალური ხასიათი აქვს. ანდერსენი და პერლი [Anderson KV, Pearl GS., 1974] სწავლობდნენ კბილის პულპის სხვადასხვა (ზედა და ქვედა) ნერვების აფერენტების პროექციას ტრი-

გემინულ კომპლექსში. შედეგებმა აჩვენეს, რომ კბილის პულპა შეიცავს საკმაო რაოდენობის ბოჭკოებს, რომლებიც პროეცირდებიან იპსილატერალურად, და უმნიშვნელო რაოდენობით – კონტრალატერალურად. შემდგომში, ვესტრუმმა [Westrum LE, Canfield RC, Black RG., 1976] აჩვენა, რომ კატების კბილის პულპის უნილატერალური დაზიანება იწვევს ტრიგემინულ ბირთვში აქსონთა ბილატერალურ ტრანსგანგლიონარულ დეგენერაციას, უფრო ინტენსიურს იპსილატერალურ მხარეს.

სამწვერა ნერვის ბირთვის როსტრალური ნაწილის ნოციციკპტური ნეირონების უმრავლესობას გააჩნია იპსილატერალური შესავალი, რაც მტკიცდება რიგი ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევებით [Dallel R, Raboisson P et al., 1988; Broton JG, Rosenfeld JP., 1986; Nord SG, 1976]. კატის სამწვერა ნერვის ბირთვის, სპინალური ტრაქტის კაუდალური ნაწილის მრავალი ნეირონი ასევე დებულობს აფერენტულ პროექციებს იპსილატერალური კბილის პულპიდან [Chiang CY, Hu B et al., 2002; Tsubokawa T, Katayama Y, Hirayama T., 1987; Nord SG, Young RF., 1975]. ზოგიერთ შრომებში ნაჩვენებია, რომ სამწვერა ნერვის ბირთვში არის აფერენტული ბოჭკოების ბილატერალური წარმომადგენლობა, რაც დასტურდება მორფოლოგიური გამოკვლევებით, რომლებშიც აფერენტული ბოჭკოების ტერმინალური დეგენერაციით, სამწვერა ნერვის ერთმხრივი დაზიანებისას, აღმოჩენილი იქნა ტრიგემინული ბირთვული

კომპლექსის პირდაპირი ბილატერალური პროექციების არსებობა [Nord SG., 1976].

ნეირონების ფუნქციური დაზიანება, რომლებზეც მთავრდება კბილის პულპის აფერენტები, აღწერილია მხოლოდ რამდენიმე ელექტროფიზიოლოგიურ გამოკვლევაში [Sessle BJ, Hu JW et al., 1986; Hu JW, Sessle BJ., 1984; Nord SG, Young RF., 1975]. ეს ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ ტრიგემინულ კომპლექსში ნოციციკლური მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი, და რომ საჭიროა სისტემატური გამოკვლევის ჩატარება კომპლექსის ცალკეული ბირთვების კარტოგრაფიისთვის.

ნაჩვენებია, რომ კატეხინური ტრიგემინული ტრაქტომიის შემდეგ, უკანა ტრიგემინულ დორსორეტიკულურ ბირთვში ლოკალიზებული ნეირონები წყვეტენ კბილის პულპის გაღიზიანებაზე რეაგირებას [Jokota T., 1975]. ამ ბირთვების გაღიზიანება იწვევს მოგრძო ტვინის უკანა ნაწილის ვენტრალური რეტიკულური ბირთვის ნეირონების აქტივობას. რეტიკულური ფორმაციის ნეირონები, რომლებიც განლაგებულია ტრიგემინული n. oralis და n. interpolaris ახლოს, ანტიდრომულად აქტივდებიან იპსი- და კონტრალატერალური ვენტრალური რეტიკულური ბირთვის ელექტრული გაღიზიანებით და რეაგირებენ კბილის პულპის სტიმულაციაზე. ზოგიერთი ავტორის აზრით [Jokota T., 1975], ეს ნეირონები ასრულებენ რელესმაგვარი შუამავლის როლს ტრი-

გემინული ნოციცეპტური შესავლისათვის ვენტრალურ რეტიკულურ ბირთვში.

რეტიკულური ფორმაცია

თანამედროვე მონაცემები მიუთითებენ, რომ მოგრძო ტვინის მედიალური რეტიკულური ფორმაციის გიგანტურუჯრედული ბირთვი არის ნოციცეპტური სისტემის ერთ-ერთ ძირითადი ნაწილი და ღებულობს ჰეტეროსენსორულ კონვერგენტულ შესავალს. კერძოდ, ეს უბანი ღებულობს ზურგის ტვინის ანტეროლატერალური კვადრანტიდან სომატოსენსორულ შესავალს, გააჩნია კავშირი მედიალურ თალამუსთან და აძლევს საწყის რეტიკულოსპინალურ პროექციებს, როგორც როსტრალური ისე კაუდალური მიმართულებით [de Oliveira RC, de Oliveira R et al., 2006; Wei F, Dubner R, Ren K., 1999; Casey KL., 1980].

კეისიმ [Casey KL., 1969] აჩვენა, რომ უნარკოზო კატებში მოგრძო ტვინის მედიალური, რეტიკულური ფორმაციის ნეირონების დიდი რაოდენობა აქტიურდება სხვადასხვა სომატური გაღიზიანებებით; ისინი პასუხობენ ძლიერ მექანიკურ ან ნოციცეპტურ გაღიზიანებაზე.

კატებზე ჩატარებულ ცდებში [Casey KL., 1971], განრიდების რეაქციის გამომუშავებისას, მოგრძო ტვინის რეტიკულურ ფორმაციაში, კანის ნერვების ელექტრულ გაღიზიანებაზე რეგისტრირებულ იქნა ერთეული ნეირონების აქტიურობა, რომლებიც რეაგირებდნენ მხოლოდ ნოციცეპტურ სტიმულაციაზე, და არ პასუხობდნენ სხვა მოდალობის

გალიზიანებაზე. იმავე უბნის გალიზიანება იწვევდა განრიდების რეაქციას. ავტორმა დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნული სტრუქტურები და მათი როსტრალური პროექციები მონაწილეობენ, უფრო მეტად, ტკივილის მოტივაციურ კომპონენტებში, ვიდრე სივრცით-დისკრიმინაციულში [Casey KL., 1971]. შედარებით ნაკლებია ცნობები თავის ტვინის ხიდის ლატერალურ რეტიკულურ ფორმაციაზე. ბარტონმა და თანაავტორებმა [Burton JE, Bloedel JR, Gregory RS., 1971] ანესთეზირებულ ან დეცერებრირებულ კატებზე აჩვენეს, რომ მოგრძო ტვინის კაუდალური ნაწილის ლატერალური რეტიკულური ფორმაციის ნეირონები აიგზნებოდნენ მხოლოდ მაღალხელურბლოვანი ნოციცეპტური გალიზიანებით, და რეცეპციული ველი განლაგებული იყო მხოლოდ სახეზე, მაშინ როცა ტაქტილური გალიზიანების რეცეპციული ველი გაცილებით ფართოა და მოიცავს თავის მთელ კანს. ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული ვირთაგვებზეც [Benjamin RM., 1970]. ძაღლებზე შესწავლილ იქნა მოგრძო ტვინის დორსალური ნაწილების ნეირონთა აქტივობა იპსილატერალური ცთომილი ნერვის გალიზიანებისას, რომელიც ძირითადად შეიცავს C ბოჭკოებს [Davis SF, Derbenev AV et al., 2004; Krahl SE, Senanayake SS, Handforth A., 2001]. ავტორებმა აჩვენეს, რომ ეს ბოჭკოები, ძირითადად, მთავრდებიან სოლიტარული ტრაქტის ბირთვებში. მეორე მხრივ, ცთომილი ნერვის დორსალური მოტორული ბირთვის ნეირონები იძლევიან ეფერენტულ C ბოჭკოებს.

შესაძლებელია, რომ ეს კავშირები შუამავლობენ ცირკულატორულ და რესპირატორულ რეაქციებს, რომლებიც წარმოიქმნებიან მტკივნეული გაღიზიანების დროს.

ზოგიერთი ავტორის აზრით ზურგის ტვინის ანტეროლატერალური კვადრანტის ბოჭკოების კოლატერალები, რომლებიც ატარებენ მტკივნეულ აფერენტაციას, მთავრდებიან ხიდის რეტიკულურ ფორმაციასა და ნაკერის ბირთვებში; ე.ი. ისეთ სტრუქტურებში, რომლებიც მონაწილეობენ ძილისა და ღვიძილის პროცესებში [Pollock MS, Mistlberger RE., 2005; Sanford LD, Tang X et al., 2003; Xi MC, Morales FR, Chase MH., 1999]. ნაკერის ბირთვებს გააჩნიათ აგრეთვე აფერენტული შესავალი ქერქიდან (ძირითადად სენსომოტორული უბნიდან) და ნათხემის ფასტიგიალური ბირთვიდან. ეს ბირთვები ურთიერთკავშირში იმყოფებიან რეტიკულურ ფორმაციასთან [Varga V, Kocsis B, Sharp T., 2003; Mason P, Leung CG., 1996; Morris R., 1987].

მეზენცეფალურ უბანში ტკივილგამტარი გზები დაკავშირებულია რეტიკულურ ფორმაციასთან. აგრეთვე, ანტეროლატერალური კვადრანტის აღმავალი ბოჭკოების კოლატერალები დაკავშირებულია შუა ტვინის ტემენტუმთან, ოთხგორაკის ქვედა და ზემო ბორცვებთან და ცენტრალურ რუხ ნივთიერებასთან [Zhou J, Shore S., 2006; Aitkin LM, Dickhaus H et al., 1976].

ნაკერის დორსალური ბირთვი

მედიალური თალამუსის ნეირონები პასუხობენ მტკივნეულ პერიფერიულ გაღიზიანებაზე, რაც ნაჩვენებია ვირთაგვებში [Vos BP, Benoist JM et al., 2000; Andersen E, Dafny N., 1983], კატებში [Peschanski M., Besson JM., 1984], მაიმუნებში [Krauthamer G, Dallass M., 1978] და ადამიანებში [Blomqvist A, Zhang ET, Craig AD., 2000]. ეს ნეირონები, მტკივნეული სტიმულაციის გარდა პასუხობენ ნღბ-ს პირდაპირ გაღიზიანებაზე, ე.ი. კონვერგენტული ხასიათისაა და გააჩნიათ სეროტონინერგული შესავალი ნღბ-დან [Qiao JT, Dafny N., 1988; Andersen E, Dafny N., 1983; Andersen E, Dafny N., 1983].

როგორც ცნობილია, სეროტონინი ჩართულია ტკივილის მოდულაციაში, რადგანაც მისი დონის რეგულაცია ამცირებს როგორც მორფინულ, ასევე სტიმულაციურ ანალგეზიას. ნღბ წარმოადგენს ტვინის ერთერთ უბანს, რომელიც იწვევს ანალგეზიას. აგრეთვე ცნობილია, რომ ნღბ და სეროტონინი ზემოქმედებენ სამწვერა ნერვის ბირთვის სენსორულ და სომატოსენსორულ შესავლებზე. დადმაგალი სეროტონინერგული ტკივილშემაკავებელი გზებით მოდულირდება ტკივილის ინფორმაცია [Kirifides ML, Simpson KL et al., 2001; Li YQ, Takada M, Mizuno N., 1993].

ნაჩვენებია ორნ-დან პროექციები მედიალურ ბირთვში მაიმუნებსა და ვირთაგვებში პირშუშხას პეროქსიდაზას საშუალებით [Mantyh PW,

1983] და კატეგორიაში ვერცხლით გამოწვეული დეგენერაციის გზით [Hamilton BL., 1973]. მედიალური თალამუსი დებულობს პროექციებს ცრნ-ის ნეირონებიდან, რომლებიც შეიცავენ სეროტონინს [Azmitia EC., 1984].

ამრიგად, არსებობს ელექტროფიზიოლოგიური, ანატომიური და ფარმაკოლოგიური მონაცემები იმის შესახებ, რომ ნღბ-ს შეუძლია პროექცირება მედიალურ თალამუსში და თალამუსის დონეზე ნოცი-ცეპტური ინფორმაციის მოდულაცია, აღწერილ დადგენილ გზებთან ერთად.

თალამუსი

თალამუსის ზოგიერთი სტრუქტურები, მაგ., პარაფასციკულური ბირთვი და ინტრალამინური კომპლექსის ბირთვები გარკვეულ როლს ასრულებენ მტკივნეული შეგრძნებების აღქმაში [Rinaldi PC, Young RF et al., 1991; Zhang LJ, Xu T., 1990; Zhao DC, Xu T, Sun MZ., 1988].

აღწერილია შემთხვევები, როდესაც ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს, სტერეოტაქსული ტექნიკის გამოყენებით, ელექტროლიზურად დაუზიანეს სპეციფიკური კან-კუნთოვანი სენსორული სარელო თალამური ბირთვები – ვენტროპოსტერომედიალური (მპმბ) და ვენტროპოსტეროლატერალური (მპლბ), რის შედეგად პაციენტებს კანის მგრძობელობა შეხებისა და სითბური გაღიზიანების მიმართ დაეკარგათ, აგრეთვე, შეუწყდათ კანის ზედაპირული

ტკივილის შეგრძნება, მაგრამ მხოლოდ პირველადი (და არა მეორადი) ტკივილისა. თალამუსის პარაფასციკულური ბირთვისა და ინტრალამინური ბირთვების დაზიანების შემდეგ, ავადმყოფებმა მხოლოდ ღრმა ტკივილის შეგრძნება დაკარგეს და არა კანის მგრძნობელობა [Hariz MI, Bergenheim AT., 1995; Tasker RR., 1969; Monnier M., 1952]. ეს მონაცემები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ კან-კუნთოვანი მგრძნობელობისა და პირველადი ტკივილის რეალიზაციაში ჩართულია თალამური სპეციფიკური ბირთვები, ხოლო მეორადი ტკივილის შეგრძნების რეალიზაციაში – თალამუსის პარაფასციკულური და ინტრალამინური ბირთვები. ეს მონაცემები აგრეთვე მეტყველებს იმაზე, რომ ტკივილის აღმავალი იმპულსაციის გამტარი, ზურვის ტვინის უკანა რქის სარელო ნეირონების აქსონები უპირატესად ამ თალამური ბირთვების ნეირონებზე პროეცირდება. თალამური ბირთვებიდან აღმავალი ნერვული ბოჭკოები კი ნეოკორტექსის სხვადასხვა უბნების ნეირონებზე ბოლოვდება. ნეოკორტექსში ამ გზით შემოსული იმპულსაციის საშუალებით ხდება ტკივილის კერის ლოკალიზაცია. თალამური ბირთვების ზოგიერთ ნეირონზე, მექანორეცეპტორებიდან ტაქტილური იმპულსაციისა და ტკივილის იმპულსაციის კონვერგენცია უნდა ხდებოდეს, რაც, შესაძლებელია, განაპირობებს ქერქულ საპროექციო უბნებში ზედაპირული ტკივილის კერის ლოკალიზებას.

საინტერესო სურათია აღწერილი თალამუსის დორსომედიალური

ბირთვისა და წინა თალამუსის ბირთვების დაზიანების შემთხვევაში [Spiegel EA, Wycis HT et al., 1964]. დადგინდა, რომ თალამუსის ამ ბირთვების დაზიანების შემდეგ, პაციენტებს შენარჩუნებული ჰქონდათ კანის მგრძობელობა და ტკივილის შეგრძნება, მაგრამ ტკივილის შეგრძნება ასეთ ავადმყოფებს არ აწუხებდათ, ანუ ტკივილის შეგრძნება მოკლებული იყო ემოციურ კომპონენტს. აღსანიშნავია, რომ ასეთივე სურათია აღწერილი ფსიქოლოგიური მდგომარეობის დროსაც. ცნობილია, რომ თალამუსის დორსომედიალური ბირთვის ნეირონების აღმავალი აქსონები პროეცირდება ნეოკორტექსის პრეფრონტალურ ნაწილში, რომელიც განიხილება როგორც ლიმბური სისტემის საპროექციო უბანი, ხოლო წინა თალამუსის ბირთვები უშუალოდ არის ჩართული ემოციების ნერვულ სუბსტრატში – პაპეცის წრეში.

1960 წელს ნახვენები იყო, რომ თალამუსის ნეირონები ხანგრძლივი სტიმულაციისას ნელა აქტიურდებიან შემდეგმოქმედებით, რომელიც გრძელდება 15 სეკუნდი და მეტი [Poggio GF, Mountcastle VB., 1960]. კეისიმ [Casey, 1969] აღმოაჩინა მსგავსი უჯრედები, რომლებიც რეაგირებენ ნოციციკპტურ გაღიზიანებაზე და არიან არა მარტო უკანა ჯგუფში, არამედ ექსტრალემნისკური სისტემის უკანა ბირთვებშიც, თუმცა მან მიუთითა, რომ უნარკოზო მაიმუნებში ეს ნეირონები პასუხობენ აგრეთვე შეხებაზე და მათი პასუხი მტკივნეულ გაღიზიანებაზე უფრო ძლიერია.

კლინიკური გამოკვლევები [Bowsher D., 1999; Schott GD., 1996] და ცხოველებზე ჩატარებული ცდები [Xu MY, Sun MZ et al., 1990] ადასტურებენ თალამუსის ზოგიერთი არასპეციფიკური სტრუქტურების როლს მტკივნეული შეგრძნებების მოდულაციაში. ექსპერიმენტებში [Whittle IR, Jenkinson JL., 1995; Niizuma H, Kwak R et al., 1982] ნაჩვენებია, რომ უნილატერალური დაზიანება ადამიანებში იწვევს მკაფიოდ ლოკალიზებული ტკივილის შეგრძნების შესუსტებას, ხოლო ბილატერალური – დიფუზურ ტკივილს.

დუბკაჩოვის ნაშრომში [Dyubkacheva TA., 1998] ნაჩვენებია კბილის პულპის გაღიზიანებით გამოწვეული, განრიდების რეაქციის მოცილება ცენტრალური მედიალური ბირთვისა და პარაფასციკულური ბირთვის ბილატერალური ან უნილატერალური დაზიანებისას.

ლიმანსკის აზრით [Лиманский ЮП, Лиманская ЛИ., 2001; Лиманский ЮП., 1989] ლატერალური თალამუსის სტრუქტურები უზრუნველყოფენ ტკივილის სენსორულ-დისკრიმინაციული თვისებების ანალიზს (ტკივილის სტიმულის სომატოტოპიკა, მისი ხანგრძლივობა, ინტენსივობა და ა.შ.), მაშინ როცა მედიალური თალამური უბნები მონაწილეობენ ტკივილის მოტივაციურ-აფექტურ გამოვლინებებში (ახალი, პოტენციალურად საშიში სიტუაციის შესახებ ინფორმაციის სწრაფი გადაცემა).

თალამუსის ცენტრალური ლატერალური ბირთვი, შესაძლებელია, ასრულებს გარკვეულ როლს ნოციცეპტიასთან დაკავშირებულ

მექანიზმებში, რადგანაც ის წარმოადგენს ერთადერთ უბანს ინტრაღამინარულ კომპლექსში, რომელიც ღებულობს მრავალ სპინოთალამურ და ტრიგემინო-თალამურ ბოჭკოებს. ლატერალური ბირთვის ნეირონები ასევე პასუხობენ პერიფერიულ მტკივნეულ გაღიზიანებაზე [Price DD, Verne GN., 2002; Radhakrishnan V, Tsoukatos J et al., 1999].

ჰიპოთალამუსი

გამოკვლევებმა, რომლებიც ჩატარდა ტკივილის მექანიზმებში ჰიპოთალამუსის როლის გარკვევისთვის, აჩვენეს, რომ ნოციციკპტური იმპულსაცია ააგზნებს ჰიპოთალამუსის სტრუქტურებს და იწვევს ორგანიზმის ფუნქციების მთელ რიგ ჯაჭვურ ცვლილებებს [Bomholt SF, Harbuz MS et al., 2004; Sinha R, Sharma R et al., 1999; Hsieh JC, Stahle-Backdahl M et al., 1996].

1970-იან წლებში უნარკოზო მაიმუნებზე ჩატარებული ცდებით [Hayward JK, Jennings DP., 1973] ნაჩვენები იყო, რომ ჰიპოთალამუსის სუპრაოპტიკური უბნის ნეირონები აქტიურდებიან, როგორც კანის ნოციციკპტური ელექტრული გაღიზიანებით, ასევე მისი შეწყვეტის შემდეგაც (შემდეგში იგივე მონაცემები მიღებულ იქნა ჰიპოთალამუსის სხვა უბნებისათვის [Lumb BM., 2002]). ეს ავტორები თვლიდნენ, რომ ხანგრძლივი აქტივობა გამოწვეულია ემოციური სტრესით, რომელიც მტკივნეული სტიმულაციისას წარმოიქმნება. ნოციციკპტური გაღიზიანებისას ხდება, ჰიპოთალამუსის პროექტიკური უბნის რიგი ნეირონების

გააქტიურება, თუმცა შრომები, რომლებიც მიუთითებენ ჰიპოთალამუსში ე.წ. “წმინდა” ტკივილის რეცეპტორების არსებობაზე, შედარებით ცოტაა.

დაუნის [Dafny N, Dong WQ et al., 1996] ცდებით, ვირთაგვებზე რეგისტრირდებოდა ლატერალური ჰიპოთალამუსის ნეირონების აქტივობა, კბილის პულპის ელექტრული გაღიზიანებისა და სხეულის სხვა ნაწილების გაღიზიანების საპასუხოდ. პასუხების ლატენტური პერიოდის გამოთვლით გამოითქვა მოსაზრება, რომ კბილის პულპიდან და სახის სხვადასხვა ნაწილებიდან იმპულსები ჰიპოთალამუსს აღწევს სხვადასხვა აღმავალი გზებით.

მედიალური პრეოპტიკური უბნისა და მედიალური სეპტუმის ნეირონები კბილის პულპის ნოციცეპტური გაღიზიანების საპასუხოდ რეაგირებენ აქტივობის ტონური ცვლილებებით, ავლენენ რა როგორც აგზნებად, ისე შემაკავებელ რეაქციებს [Vidal C, Jacob J., 1980].

ცნობილია, რომ ჰიპოთალამუსის ზოგიერთი უბნების გაღიზიანება იწვევს ანალგეზიას [Shiraishi T, Onoe M et al., 1995; Lopez R, Cox VC., 1992; Cunningham PM, Goldsmith GE, Hellon RF., 1986]. ეს მონაცემები დასტურდება ნეიროფიზიოლოგიური გამოკვლევებით, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ ჰიპოთალამუსის გაღიზიანება, იწვევდა სამწვერა ნერვის ბირთვის ნეირონების პასუხების შეკავებას [Bartsch T, Levy MJ et al., 2005; Mokha SS, Goldsmith GE et al., 1997]. ჰიპოთალამუსის მედიალური

პროპტიკური უბნის, ისევე როგორც ცრნ-ის გაღიზიანება, იწვევს ზურგის ტვინის დორსალური რქის პასუხების შეკავებას [Culhane ES, Carstens E., 1988]. თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება რა გზებით ხდება ეს შეკავება და რა ბუნებისაა იგი.

დადგენილია, რომ ჰიპოთალამუსსა და ცრნ-ს შორის არსებობს მჭიდრო რეციპროკული ანატომიური კავშირები [Snowball RK, Semenenko FM, Lumb BM., 2000; Kai Y, Oomura Y, Shimizu N., 1988]. უკანა ჰიპოთალამუსის ბილატერალური დარღვევა, კონტროლთან შედარებით, იწვევდა ტკივილის მგრძობელობის ზღურბლის სარწმუნო დაქვეითებას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ჰიპოთალამუსის ვენტრომედიალური ნაწილი მონაწილეობს ტკივილის მგრძობელობის ზღურბლის რეგულაციაში და ტკივილსაწინააღმდეგო პასუხის გენერაციაში, გამოწვეულს სტრესით, და არა მორფინით [Borszcz GS., 2006].

დიდი ჰემისფეროები

ქერქის სხვადასხვა ნაწილების მოცილების დროს, კლინიკური მონაცემები ტკივილის მოხსნისა ან ტკივილის სინდრომების შემცირების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგოა [LaGraize SC, Labuda CJ et al., 2004; Greenspan JD, Lee RR, Lenz FA., 1999]. ვიკლიცკის ცდებში [Vycklicky L., Keller O. et al., 1972] დამტკიცდა კბილის პულპის აფერენტების ბილატერალური ქერქული წარმომადგენლობა. კატების კბილის პულ-

პის აფერენტების სომატური წარმომადგენლობა შეესაბამება მაიმუნებში აღმოჩენილს [Jinghong C, Guoxi T., 1999].

ვირთაგვებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში [Roos A, Rydenhag B, Andersson S., 1983] ნახვენებია გამოწვეული პოტენციალების განაწილება და ცალკეული ნეირონების განმუხტვები ქერქის ფრონტო-პარიეტული ველების ზედაპირზე და სიღრმეში ზედა და ქვედა ეშვების პულპის ელექტრო სტიმულაციისას, აგრეთვე სახისა და კიდურების კანის გაღიზიანებისას. კორონარულ ხვეულში გამოვლენილია ყველაზე მოკლე ლატენტური პოზიციურ-ნეგატიური გამოწვეულ პოტენციალთა ზონა ზედა და ქვედა ეშვების პულპის ელექტრულ სტიმულაციაზე.

ანალგეზიის მექანიზმები

თავის ტვინის ანტინოციცეპტური მექანიზმები

ტკივილის მექანიზმების სრული გამოვლენისთვის აღნიშნული სტრუქტურების ნეირონული ორგანიზაციის შესწავლის გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ წარმონაქმნების ტკივილის შეგრძნების დადმავალი კონტროლის როლის განსაზღვრას. ამ მიმართულებით უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარეობს ინტენსიური გამოკვლევები. რეინოლდსმა [Reynolds DV., 1969] ერთ-ერთმა პირველმა, ხოლო შემდეგ მაიერმა [Mayer DJ, Wolfle TL. et al., 1971] აღმოაჩინეს, რომ პერიაკვედუქტული რუხი ნივთიერების ელექტრული გაღიზიანება

ვირთაგვებში იწვევს ანაღგეზიას. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული სხვა მკვლევარების მიერ [Kamei J, Aoki T et al., 1992; Tive LA, Barr GA., 1992]. ცენტრალური რუხი ნივთიერების ვენტრო-ლატერალური უბნის გაღიზიანება იწვევდა ტკივილზე გამოწვეული, როგორც სხვადასხვა ქცევითი პასუხების დათრგუნვას, ასევე პირის გაღების ნოციციკპტური რეფლექსისას, რომელიც წარმოიქმნება კბილის პულპის ელექტრულ გაღიზიანებაზე [Sukikara MH, Mota-Ortiz SR et al., 2006; Zanoveli JM, Nogueira RL, Zangrossi H Jr., 2003; Gura EV, Iakhnitsa VA, Limanskii IuP., 1984].

არსებული მონაცემებით ცენტრალური რუხი ნივთიერების (ცრნ) გაღიზიანების ძირითადი შედეგი არის ზურგის ტვინისა და ტრიგემინული ნერვის ბირთვების დონეზე ნოციციკპტური ინფორმაციის შეკავება [Budai D, Harasawa I, Fields HL., 1998; Hayashi H, Sumino R, Sessle BJ., 1984]. ცრნ-ის დაზიანებით ჩატარებული ცდები ასევე მიუთითებს, ცრნ-ის მონაწილეობაზე ტკივილის ინტეგრაციაში. მაგ., ცრნ-ის ვენტრალური და არა დორსალური ნეწილების დანგრევა კატებში იწვევდა განრიდების რეაქციის დარღვევას [Moriyama M, Gomita Y et al., 1991]. ამ ცდებამდე, რამდენიმე წლით ადრე, ლიბმანმა და თანაავტორებმა [Liebman JM, Mayer DJ, Liebeskind JC., 1970] აჩვენეს, რომ ვირთაგვები მეზენცეფალური პერიაკვედუქტული რუხი ნივთიერების ვენტროლატერალური ნაწილის დანგრევით ნორმალურად არ პასუხობდნენ სხვადასხვა ტესტურ სტიმულაციაზე. მათ ერღვეოდათ

პასიური განრიდების რეაქციაც. საკონტროლო ცხოველებს სპონტანური მოტორული აქტიურობა უქვეითდებოდათ მტკივნეული გაღიზიანებიდან 2 წუთის განმავლობაში, მაშინ როცა ცხოველებს ცრნ-ის დაზიანებით არ ეცვლებოდათ. საკონტროლო ვირთაგვებს (მათი ღია ველში მოთავსებისას) აღენიშნებოდათ დეფეკაცია, რომელიც არ ჰქონდათ ცხოველებს ცრნ-ის დაზიანებისას. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ავტორებმა გააკეთეს დასკვნა, რომ ვენტროლატერალური მეზენცეფალური რუხი ნივთიერების მთლიანობა აუცილებელია შიშის ნორმალური გამოვლენისთვის, და რომ ეს უბანი ასრულებს მნიშვნელოვან როლს ემოციური ქცევისა და ტკივილის ინფორმაციის ინტეგრაციაში.

ცრნ-ში გადის გზები ქერქული და დიენცეფალური უბნებიდან ტვინის ღეროსკენ. რეტროგრადული ტრანსპორტით ჩატარებულმა ცდებმა ასევე დაადასტურა, რომ ცრნ ღებულობს მნიშვნელოვან შესავლებს ფრონტალური ქერქიდან, ამიგდალადან და ჰიპოთალამუსიდან [Shane R, Acosta J et al., 2003; Zhang S, Tang JS et al., 1997; Chung SK, Pfaff DW, Cohen RS., 1990].

ნოციცეპტური ინფორმაციის შეკავებაში, შუა ხაზის სტრუქტურების (ცრნ, ნაკერის ბირთვები) გარდა, შეიძლება ჩართული იყოს სხვა სტრუქტურებიც. ნაჩვენებია, რომ ნოციცეპტური აგზნება ტონურად კავდება მრავალი სუპრასპინალური სტრუქტურებით

ანესთეზირებულ ვირთაგვებში [Yien HW, Chan JY et al., 1993], კატებში [Nishikawa Y, Yoshimoto H et al., 1999], მაიმუნებში [Villanueva L, Cliffer KD et al., 1990].

ანესთეზირებულ კატებში ცრნ და ნაკერის ბირთვები ხელს არ უწყობენ ამ ძლიერ დადმავალ შეკავებას, რომელიც მცირდება, ან ქრება რეტიკულური ფორმაციის ლატერალური უბნის ბილატერალური დარღვევით [Hall JG, Diggan AW et al., 1982; Holl JG, Diggan AW et al., 1981]. მეორე მხრივ, როგორც ნაკერის ბირთვების გაღიზიანებისას, რეტიკულური ფორმაციის ლატერალური ნაწილის ელექტრული სტიმულაცია, ასევე აკავებს დორსალური რქის ნეირონების პასუხს უმიელინო აფერენტების გაღიზიანებაზე [Almeida A, Tavares I et al., 1993].

როგორც ნახვენები იყო ცრნ-ის ელექტრული სტიმულაცია იწვევს სპინალური ნეირონების შეკავებას, რომლებიც რეაგირებენ მტკივნეულ გაღიზიანებაზე, და აგრეთვე ტკივილით გამოწვეული რეფლექსებისა და განრიდების რეაქციის დათრგუნვას. ასეთივე ქცევითი და ფიზიოლოგიური ეფექტები გამოიწვევა მოგრძო ტვინის როსტრო-ვენტრალური უბნების ელექტრული სტიმულაციით, რომელიც შუამავლობს შუა ტვინის დადმავალ ანტინოციცეპტურ გავლენას ზურგის ტვინზე [Hernandez N, Vanegas H., 2001].

კრაფტის და თანაავტორების [Craft RM, Morgan MM, Lane DA., 2004] თანახმად, მოგრძო ტვინის ვენტრომედიალური ნაწილის როსტრალურ

უბანში აღწერილია სამი განსხვავებული ტიპის ნეირონები: “on” და “off” ნეირონები, რომლებიც ხასიათდებიან კუდის შეკრთომის რეფლექსის მანიფესტაციის წინ, შესაბამისად მაღალსიხშიროვანი განმუხტვით ან შემაკავებელი პაუზით, და აგრეთვე ნეიტრალური ნეირონები. მორფინის სისტემური შეყვანა ზრდის “off” ნეირონების აქტივობის ზრდას, მაშინ როცა “on” ნეირონების (რომლებიც დაკავშირებულია ნოციცეპტურ სტიმულთან) და ნეიტრალური ნეირონების აქტივობა დათრგუნულია.

სნოუბოლისა და თანაავტორების [Snowball RK, Dampney RA, Lumb BM., 1997] მიერ რეგისტრირდებოდა ნაკერის ბირთვების აქტივობა, რომელიც კავდებოდა პერიფერიული გაღიზიანების საპასუხოდ, ხოლო ცრნ-ის ნეირონები აქტივდებოდნენ ასეთივე გაღიზიანებით.

ზოგიერთი ავტორის აზრით [Reichling D, Basbaum A., 1984], პერი-აკვედუქტული რუხი ნივთიერების ნეირონების ელექტრული აქტივობის უჯრედშიდა რეგისტრაციამ აჩვენა, რომ მტკივნეულ სტიმულაციაზე მორეაგირე ნეირონთა უმრავლესობა ლოკალიზებულია ვენტრო-ლატერალურ და უკანა ცრნ-სა და ნაკერის დორსალურ ბირთვში.

მრავალი გამოკვლევა მიუთითებს ცრნ-ისა და ჰიპოთალამუსის ნეირონებს შორის მჭიდრო ფუნქციურ კავშირზე [Maekawa F, Fujiwara Ket al., 2006; Calizo LH, Flanagan-Cato LM., 2003; Semenenko FM, Lumb BM., 1999]. ნაჩვენებია, რომ უკანა ჰიპოთალამუსის ელექტრული გა-

ღიზიანება იწვევს სპონტანური ნეირონებისა და მტკივნეულ გაღიზიანებაზე შეკავებით მოპასუხე ნეირონების აქტივაციას [Абзианидзе EB и др., 1990].

აღნიშნული ლიტერატურის მონაცემებიდან გამომდინარე, ზოგად მექანიზმად ითვლება ის, რომ ცრნ ან ქერქი ახდენს ტკივილის გატარების მოდულირებას პირველ სეგმენტურ დონეზე, ე.ი. ზურგის ტვინის [Okada K, Murase K, Kawakita K., 1999; Kryzhanovskii GN, Zinkevich VA et al., 1998] ან სამწვერა ნერვის ბირთვის დონეზე [Hayashi H, Sumino R, Sessle BJ., 1984]. უკანასკნელ დროს მიღებულია მონაცემები ტკივილის მოდულაციის წარმოების შესახებ ცნს-ის სხვა უფრო მაღალ დონეებზეც [Klossika I, Flor H et al., 2006; Mylius V, Reis J et al., 2006; Ohara PT, Vit JP, Jasmin L., 2005].

კლინიკურად ნაჩვენებია, რომ თავის ტვინის სხვადასხვა უბნების სტიმულაცია ცრნ-ის [Morgan MM, Gold MS, 1991] და თალამუსის სომატოსენსორული სარელო ბირთვის [Marchand S, Kupers RC et al., 2003] ჩათვლით, ტკივილის მოხსნის ეფექტური საშუალებაა. ნაჩვენები იქნა, რომ მედიალური თალამუსის ელექტრული სტიმულაცია ამსუბუქებს ქრონიკულ ტკივილს [Kupers RC, Gybels JM, Gjedde A., 2000]. ლაბორატორიულ ცხოველებზე წარმოებულმა ცდებმა აჩვენეს, მტკივნეული გაღიზიანებით გამოწვეული ავერსიული რეაქციების რედუქცია, მედიალური თალამუსის ელექტრული სტიმულაციის დროს

[Kupers RC, Gybels JM., 1993].

ანტინოციცეპციის ნეიროქიმია

ცნობილია, რომ სხვადასხვა სენსომოტორულ სისტემებში აფერენტული იმპულსაცია, ტვინის უმაღლესი განყოფილებებისაკენ გავრცელებისას, იცვლება ქერქისა და რიგი ქერქვეშა სტრუქტურებით [Shin HC, Park HJ, Chapin JK., 1994; Shin HC, Chapin JK., 1990]. ნოციცეპტური აფერენტაციის ცენტრიფუგალური მოდულაციის ანალოგიური მექანიზმის არსებობის დადგენა მნიშვნელოვანია ტკივილისა და ანალგეზიის ცენტრალური მექანიზმების შესწავლისთვის. რიგ ელექტროფიზიოლოგიურ გამოკვლევებში დამტკიცებულია ანალგეზიის ენდოგენური “ოპიატური” სისტემის ჩართვა, ნარკოტიკული ნივთიერებების მოქმედებით და აგრეთვე სტიმულაციითა და აკუპუნქტურით [Staud R, Price DD., 2006; Plummer JL., 2000; Chavkin C, Bloom FE., 1986]. ამასთან ერთად, რიგი უახლესი მონაცემები იძლევა საფუძველს იმ მოსაზრებისთვის, რომ ანალგეზიის “ოპიატური” სისტემა არ წარმოადგენს ერთადერთ სისტემას, რომელსაც შეუძლია ნოციცეპტური აფერენტაციისა და მასთან დაკავშირებული ტკივილის გამოვლენის სენსორულ-დისკრიმინალური და ემოციურ-აფექტური რეაქციების კონტროლი და მოდულაცია.

ენდოგენური ოპიატები (ოპიოიდები)

XIX საუკუნის 60-იან წლებში თავის ტვინში გამოავლინეს ნერვული წრეები, რომელთა გააქტივებით ხდება გაუტკივარება. აღმოჩნდა, რომ ამ წრეების ამოქმედება შეუძლია, ნეირომოდულატორების ჯგუფის ენდოგენურ ოპიატებს. გამოირკვა, რომ ასეთი ეფექტი აქვს ეგზოგენურ (ორგანიზმში შეყვანილ) ოპიატებსაც. მაგალითად, მორფინს [Pryor SC, Zhu W et al., 2005], რომელიც ნეირონის მემბრანაში განთავსებულ სპეციფიკურ რეცეპტორულ ცილაზე მოქმედებით ანალგეზიის ეფექტს იწვევს [Cheney BV., 1988]. თავის ტვინის ნეირონებზე, მორფინის უშუალო ზემოქმედების ეფექტი, ყველაზე კარგად, შუა ტვინის ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში ვლინდება. 1974 წელს თავის ტვინში აღმოაჩინეს მორფინის მიმართ მგრძნობიარე სპეციფიკური რეცეპტორები. არსებობს ოპიატური რეცეპტორების რამდენიმე ტიპი. დღეისათვის დადასტურებულია მიუ (μ) რეცეპტორების არსებობა, რომლებიც ჩართულია ტკივილისა და გაუტკივარების განმსაზღვრელ ნერვულ წრეებში [Lishmanov IuB, Maslov LN, Solenkova NV., 2006; Arttamangkul S, Torrecilla M., 2006]. მათი ბლოკირება შესაძლებელია ნალოქსონით. დადგენილია, აგრეთვე, დელტა (δ) რეცეპტორების არსებობა ლიმბურ სისტემაში, რომლებიც სავარაუდოდ, გუნება-განწყობილების რეგულაციაში მონაწილეობს [Zhang X, Bao L, Guan JS., 2006; Fristad I, Berggreen E, Haug SR., 2006]. კაპა (κ) რეცეპტორები

აღმოჩენილია ნეოკორტექსში და, სავარაუდოდ, განაპირობებს ოპიატებით აღძრულ სედატიურ ეფექტს [Yamada H, Shimoyama N et al., 2006; Harris JA, Chang PC, Drake CT., 2004]. აღმოჩენილია, აგრეთვე, ჰიპოკამპში კაპპა და სიგმა (σ) [Church J., 1991], ხოლო ტვინის ფუძეზე განთავსებულ სტრუქტურებში (მათ შორის ჰიპოთალამუსში, ეფსილონ (ϵ) რეცეპტორები) [Giordano AL, Nock B, Cicero TJ., 1990].

უკანასკნელ წლებში დადგენილ იქნა ოპიატების პოსტსინაფსურ ნეირონებზე შემაკავებელი გავლენა [Chizhnikov I, Yudin Y, 2005]. კაპპა ოპიატური რეცეპტორები ლოკალიზებულია არა მარტო პოსტსინაფსურ მემბრანებზე, არამედ პრესინაფსურ დაბოლოებებზეც, რაც ოპიოიდების რეტროგრადულ შემაკავებელ ფუნქციაზე მიუთითებს [Nomura Y, Hayashi S., 1992]. დინორფინ β -ს მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ოპიოიდები განთავისუფლდება არა მარტო პრესინაფსური დაბოლოებიდან, არამედ ნეირონის სხვა ნაწილებიდანაც [Loewen JJ, Peters RI, Terrian DM., 1992]. შემაკავებელი ფუნქციის მქონე სხვა ნეიროტრანსმიტერებთან (მაგალითად, გამა-ამინოერბოს მჟავა) შედარებით, მათი მოქმედება, ნეირონთაშორის სივრცეში დიფუზიით გავრცელების გამო, საგრძნობლად ნელი კინეტიკით ხასიათდება [Ingram S, Wilding TJ et al., 1997]. მაგალითად, თუ გამა-ამინოერბოს მჟავას მოქმედება სეკუნდის ფარგლებში გრძელდება, დინორფინ β -ს ეფექტი წუთებით იზომება. რადგან ნეირონიდან განთავისუფლების შემდეგ ოპიოიდები დიფუზიით

რამდენიმე მილიმეტრზე ვრცელდება, მათი მოქმედება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი, პრესინაფსური, პოსტინაფსური ან მეზობლად მდებარე ნეირონით [Mollereau C, Roumy M, Zajac JM., 2005; Ingram SL., 2000]. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ოპიოიდები მათდამი მგრძნობიარე რეცეპტორებთან მაღალი აფინურობით ხასიათდება [Cardillo G, Gentilucci L et al., 2003], გასაგები გახდება დიდ ფართობზე მათი ნეირომოდულატორული გავლენის მექანიზმი.

ცხოველთა ანალგეზია შესაძლებელია ისეთი სტრესული მანიპულაციებით, როგორცაა თათის ელექტროსტიმულაცია და ცენტრიფუგალური როტაცია, ცივ წყალში ცურვა და ჰიპერტონული ხსნარის ინტრაპერიტონული ინექცია [Fuchs PN, Melzack R., 1997; Ossenkopp KP, Bettin MA, Kavaliers M., 1989]. ყველა ამ შემთხვევაში ანალგეზია რეალიზდება ოპიატური მექანიზმის მონაწილეობის გარეშე, რომლის მოცილება შეუძლებელია, ან ნაწილობრივ არის შესაძლებელი ოპიატური ანტაგონისტებით.

ტვინის დეროვანი სტრუქტურების სტიმულაციით გამოწვეული ანალგეზიის მექანიზმების შესწავლაში, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ნარკოზული ანალგეტიკების მოქმედების ზესეგმენტური დონეებისა და ცნს-ში ენდოგენური ოპიატური ლიგანდების აღმოჩენა. მაგალითად, სხვადასხვა ცენტრალურ სტრუქტურებში მორფინის მიკროინექციის საშუალებით აღმოჩენილ იქნა, რომ ბოცვერებში

მორფინის მინიმალური დოზის (1 მკლ) ბილატერალური შეყვანა პერიაკვედუქტული რუხი ნივთიერების მიდამოში უკანა კიდურის მტკივნეულ გაღიზიანებაზე (სხივური სითბო) იწვევდა კარგად გამოხატულ ანალგეზიას [Tsou K, Jang CS, 1964]. ეს ანალგეზია მორფინის ერთჯერადი შეყვანის შემთხვევაში გრძელდებოდა 1-3 საათის განმავლობაში [Krzanowska EK, Bodnar RJ., 1999]. მორფინის სისტემური შეყვანით გამოწვეული ანალგეზია განიცდიდა რევერსიას ნაღორფინით, რომელიც შეყავდათ ლოკალურად პერივენტრიკულურ და პერიაკვედუქტულ უბნებში [Fournier T, Besserve P et al., 1988].

ორი მთავარი აღმოჩენა გახდა შემდგომი კვლევის საგანი – ოპიატური რეცეპტორების აღწერა და ბუნებრივი ნივთიერების იდენტიფიკაცია, რომლებიც უკავშირდებიან ამ რეცეპტორებს – ენკეფალინები და ენდორფინები [McCarthy L, Wetzel M et al., 2001; Suaudeau C, Costentin J., 2000; Chen JJ, Dymshitz J, Vasko MR., 1997; Cesselin F., 1991; Doi M, Tanaka M et al., 1988].

ოპიატური რეცეპტორების ყველაზე მაღალი შემცველობა აღმოჩენილია ცრნ-ში, ჰიპოთალამუსში, ნუშისებრ ბირთვში, შავ სუბსტანციაში და ზურგის ტვინის ზოგიერთ უბნებში [Gutstein HB, Mansour A et al., 1998; Desjardins GC, Brawer JR, Beaudet A., 1990; Havemann U, Turski L, Kuschinsky K., 1982].

ენკეფალინების რეგიონალური განაწილება თავის ტვინში,

კორელაციაშია ოპიატური რეცეპტორების განაწილებასთან [Nieto MM, Guen SL et al., 2005], რაც მიუთითებს ამ სტრუქტურების მოქმედებაში მათ მნიშვნელოვან როლზე, როგორც ბუნებრივი ლიგანდებისა. ამის სასარგებლოდ მეტყველებს მონაცემები ოპიოიდური პეპტიდების ლოკალური შეყვანის შესახებ ტვინის სტრუქტურებში, რომლებიც შეიცავენ ბევრ ოპიატურ რეცეპტორებს. მაგალითად, ნაჩვენები იქნა, რომ მეტ- და ლეი-ენკეფალინების შეყვანა ვირთავების ტვინის პარაკუჭებში იწვევდა ძლიერ ანალგეზიას, რომელიც იხსნებოდა ნალოქსონით [Zubrzycka M, Fichna J, Janecka A., 2002]. ეს ანალგეზია ემსგავსებოდა მორფინით გამოწვეულს, რამაც მისცა ავტორებს საფუძველი დასკვნისათვის, რომ ენკეფალინები ასრულებენ პერივენტრიკულური სტრუქტურების ოპიატური რეცეპტორების ბუნებრივი ლიგანდების როლს. აღნიშნული სტრუქტურები კი მონაწილეობენ ტკივილის რეაქციების შეკავებაში.

ენკეფალინების შემდეგ აღმოაჩინეს სხვა ოპიატური ტიპის პეპტიდები, უფრო დიდი მოლეკულური წონით – ენდორფინები [Cox BM, Goldstein A, Li CH., 1976; Guillemin R, Ling N, Burgus R., 1976]. მათი განაწილება ცხოველთა ტვინში შეესაბამებოდა ოპიატური რეცეპტორებით მდიდარ უბნებს [Ableitner A, Schulz R., 1992; Cesselin F., 1991]. ასევე დამტკიცებულ იქნა ამ პეპტიდების მონაწილეობა სხვადასხვა წარმოშობის ანალგეზიაში [Tseng LF., 2001; Pavlovic ZW, Cooper ML,

Bodnar RJ., 1996].

ენკეფალინებისა და ენდორფინების, როგორც ოპიატური რეცეპტორების ბუნებრივი ლიგანდების ფიზიოლოგიური როლი დამტკიცდა მრავალრიცხოვანი ცდებით, რომლებშიც ანალგეზია მიიღებოდა მათი ტვინის პარკუჭებსა და პერიაკვედუქტულ რუხ ნივთიერებაში შეყვანით [Roerig SC, Hoffman RG et al., 1991; Tseng LL, Suh HH., 1989; Rosenfeld JP, Keresztes-Nagy P., 1980]. ნაჩვენებია, რომ ენდორფინები და ენკეფალინები გამოიყოფა ცერებროსპინალურ სითხეში ცრნ-ის ელექტროსტიმულაციით [Bach FW, Yaksh TL., 1995], სტრესორული ანალგეზიით [Owens PC, Chan EC et al., 1998; Baker DG, West SA et al., 1997; Kalin NH, Carnes M et al., 1985] და აკუპუნქტურით [Ma C, Tan L et al., 1995] გამოწვეული ანალგეზიის დროს.

ზემოაღწერილი ცდების შემდეგ სხვადასხვა ცენტრალურ სტრუქტურებში, მორფინის მიკროინექციით ჩატარებულმა უახლესმა გამოკვლევებმა, აჩვენეს ტვინის დეროს გარკვეული მედიალური სტრუქტურების გადამწყვეტი მნიშვნელობა ოპიატური აგონისტების ანალგეზიურ ეფექტში. რიგ შრომებში ნაჩვენებია პარალელიზმი ნაკერის დორსალური ბირთვის გაღიზიანებით და მორფინის შეყვანით გამოწვეულ ანალგეზიას შორის [Romandini S, Pich EM et al., 1986]. პერიაკვედუქტურ სტრუქტურებში მორფინის მიკროინექცია იწვევდა ძლიერ ანალგეზიურ ეფექტს [Manning BH, Franklin KB., 1998]. მორფინის

სუბანალგეზიური დოზა და ნაკერის დორზალური ბირთვის სუბანალგეზიური ელექტრული გაღიზიანება სინერგისტულად მოქმედებს და იწვევს გამოსატულ ანალგეზიას [Alaei H, Pourshanazari AA, Rafati A., 2002].

მორფინის მიკროინექციით [Manning BH, Franklin KB., 1998], ისევე როგორც ცრნ-ის ელექტროსტიმულაციით [de Luca MC, Brandao ML et al., 2003] გამოწვეული ანალგეზია და ზურგის ტვინისა და სამწვერა ნერვის ბირთვის ნოციციტური ნეირონების აქტივობის შეკავება [Okada K, Murase K, Kawakita K., 1999; Abzianidze EV, Butkhuzi SM et al., 1990], გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ორივე შემთხვევაში მოქმედებს ერთი და იგივე მექანიზმი.

რადგან ცენტრალური რუხი ნივთიერების გაღიზიანების ანალგეზიური ეფექტი ნალოქსონის გავლენით ითრგუნება, ამიტომ აღნიშნული ელექტრული გაღიზიანება ოპიოიდური ანალგეზიის ენდოგენურ მექანიზმებს ააქტივებს [Ichitani Y, Iwasaki T., 1986]. აღსანიშნავია, რომ ტკივილის ასიმბოლით დაავადებულ ავადმყოფებს, ნალოქსონის შეყვანის შემდეგ, ტკივილის შეგრძნების უნარი აღუდგებათ [Ramanhandran VS., 1998], რაც მიუთითებს ენდოგენური ოპიატების გათავისუფლების მექანიზმის ზედმეტად გააქტივებაზე. შესაბამისად, ტკივილის ასიმბოლია გამოწვეულია ცენტრალური, და არა პერიფერიული მექანიზმების პათოლოგიით.

დადგენილია, რომ გაუტკივარების ეფექტი აღიძვრება მოგრძო

ტვინის როსტროვენტრალური მიდამოს, კერძოდ კი n.raphe-ს გაღიზიანებითაც [Saade NE, Atweh SF et al., 1999]. საგარაუდოა, რომ ცენტრალური რუხი ნივთიერება და მოგრძო ტვინის როსტროვენტრალური მიდამო ანალგეზიის განმსაზღვრელი ნერვული წრის ორ კომპონენტს, ანუ ანალგეზიის ფუნქციური სისტემის ორ რგოლს წარმოადგენს. ამ სტრუქტურების გააქტივებისას ხდება ზურგის ტვინის უკანა რქის იმ სარელო ნეირონების შეკავება [Okada K, Murase K, Kawakita K., 1999; Zhuo M, Gebhart GF., 1997], საიდანაც ტკივილის იმპულსების გამტარი ცენტრისკენული (აღმავალი) სპინოთალამური ტრაქტი იწყება.


ნოციცეპტური და ანალგეზიური სისტემების ცენტრალური მექანიზმების შესახებ არსებულ შეხედულებებისგან, ექსპერიმენტული შედეგებით ყველაზე უკეთ დასაბუთებულია რ.ბასბაუმისა და პ.ფილდსის 1978 წელს მოწოდებული და შემდგომში დახვეწილი თეორია (სურ. 2), რომლის თანახმად, გარეშე გამღიზიანებელთა ზემოქმედებისას გამონთავისუფლებელი ოპიოიდები ან ეგზოგენური ოპიატები ცენტრალური რუხი ნივთიერების ოპიატური რეცეპტორების გააქტივებას იწვევს [Levine JD, Fields HL, Basbaum AI., 1993; Basbaum AI, Fields HL., 1978; Fields HL, Basbaum AI., 1978].

ამ შეხედულების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში ნალოქსონის ინექცია თრგუნავს ოპიატების ანალგეზიურ ეფექტს, ხოლო მორფინის ინექცია ამ უბანში

ლოკალიზებულ ნეირონებს ააქტივებს. შეიძლება, ამ ეფექტის რეალიზაციას საფუძვლად უდევს μ რეცეპტორების გააქტივება [Smith DJ, Robertson B et al., 1992]. μ რეცეპტორები განლაგებულია შემაკავებელი ფუნქციის მქონე ინტერნეირონებზე. მათ გააქტივებას მოყვება მათი საპროექციო ნეირონების შეკავება. ოპიატების მიმართ მგრძობიარე ნეირონების შემაკავებელი ფუნქციიდან გამომდინარე, ოპიატების ზემოქმედებით მოცემული ინტერნეირონების შეკავებას, თან სდევს საპროექციო ნეირონების გააქტივება [Stein C., 2003; Cesselin F., 1991].

ეს საპროექციო ნეირონები თავის აქსონებს აგზავნის მოგრძო ტვინის როსტროვენტრალურ მიდამოში, უპირატესად n. raphe magnus-ში. ნაჩვენებია, რომ ამ აქსონების აგზავნისას ტერმინალებიდან ამაგზნებელი პეპტიდი – ნეიროტენზინი განთავისუფლდება [Li AH, Yeh TH et al., 2001; Urban MO, Smith DJ., 1993].

მოცემული შეხედულების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ n. raphe magnus-ში ნეიროტენზინის მიკროინექცია ანალგეზიის ეფექტს იწვევს [Dubuc I, Remande S, Costentin J., 1999; Dubuc I, Sarret P et al., 1999]. ამ ბირთვის აქსონები, ზურგის ტვინის დორსოლატერალური სვეტების შემადგენლობაში, შუამდებარე ნეირონებზე ერთი ან ორი გადართვის შემდეგ, ზურგის ტვინის რუხი ნივთიერების უკანა რქაში ლოკალიზებულ სპინალური ჭიშკრის მექანიზმში ჩართულ ინტერნეირონებზე პროეცირდება [Sorkin LS, McAdoo DJ, Willis WD., 1993].



სურ. 2. ოპიატებით გამოწვეული ანალგეზიის მექანიზმის სქემატური გამოსახულება ბასბაუმისა და ფილდსის მიხედვით: 1 – ოპიატები აკავებს შემაკავებელ ნეირონებს, შემაკავებელ გავლენებს მოკლებული ძირითადი ნეირონები ააქტივებს n. raphe-ს ნეირონებს; 2 – შუა ტვინის ცენტრალური რუხი ნივთიერების ძირითადი ნეირონი; 3 – ამაგზნებელი სინაფსი (ნეიროტენზინი); 4 – მოგრძო ტვინი (n. raphe magnus); 5 – თავის ტვინისაკენ აღმავალი გზის სარელეო ნეირონი; 6 – ზურგის ტვინის დორსოლატერალური სექტი; 7 – ზურგის ტვინის უკანა რქა; 8 – სეროტონინი, ნივთიერება P; 9 – ოპიატური რეცეპტორი აქსონზე; 10 – ინტერნეირონები პოსტ- და/ან პრესინაფსური შეკავების მექანიზმით თრგუნავს ტკივილის იმპულსაციის სინაფსურ გადაცემას; 11 – უჯრედის სხეული უკანა რქების განგლიაში; 12. A-დელტა ან C ბოჭკო; 13 – ნოციციტოპტორი.

ამ უკანასკნელთა გააქტივება კი, პრესინაფსური ან პოსტ-სინაფსური შეკავების მექანიზმით, პერიფერიიდან A-დელტა და C ბოჭკოებით მისული იმპულსაციის სარელეო ნეირონებზე სინაფსური გადაცემის შერჩევით ბლოკირებას იწვევს [Lu Y, Sweitzer SM et al., 2004]. ამის შედეგად, ხდება ტკივილის იმპულსაციის ცენტრისკენული გადაცემის ბლოკადა ანუ სპინალური “ჭიშკრის” დახურვა და გაუტკივარება. N. raphe-ში ლოკალიზებულია სეროტონინერგული ნეირონები [Allen GV, Cechetto DF., 1994], ე.ი. ცენტრალური დადმავალი გაუტკივარება სეროტონინერგული მოქმედებით ხდება. ანალგეზიის ასეთი მექანიზმების რეალურ არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დორსო-ლატერალური სვეტების დაზიანების შემდეგ, ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში მორფინის ინექცია ანალგეზიის ეფექტს აღარ იწვევს. ამ მექანიზმში სეროტონინის როლს ადასტურებს მორფინით გამოწვეული ანალგეზიის პარაქლორფენილაზიანით ბლოკირება [Van Der Kooy D, Fibiger HC, Phillips AG., 1978]. სავარაუდოა, რომ დადმავალი ბოჭკოები სეროტონინთან ერთად ნივთიერება P-საც ათავისუფლებს [Li YQ, Wang ZM et al., 1999].

სეროტონინი

ცნობილია, რომ ნაკერის დორსალურ ბირთვში მრავლად არის სეროტონინის შემცველი ნეირონები [Tao R, Ma Z et al., 2006; Tao R,

Auerbach SB., 2005]. სეროტონინის ინჰიბიტორი β-ქლორფენილალანი აბლოკირებს ანალგეზიას, გამოწვეულს ნაკერის ბირთვებიდან და არ მოქმედებს ანალგეზიაზე, რომელიც მიიღება სხვა უბნების გალიზიანებით [Taber RI, Latranyi MB., 1981]. LSD-ს შეყვანა, რომელიც წარმოადგენს სეროტონინის ბლოკატორს, თრგუნავს ნაკერის ბირთვების მეზენცეფალური ნაწილის ნეირონების სპონტანურ აქტიურობას [Larson AA., 1984]. ნაკერის დორსალური ბირთვის გალიზიანება არ იწვევს ზურგის ტვინის V შრის ნეირონების პასუხების შეკავებას მტკივნეულ გალიზიანებაზე. ამიტომ დასაშვებია, რომ შეკავება დაკავშირებულია სეროტონინერგულ მექანიზმებთან [Tseng LL, Tang R., 1989].

ნაკერის ბირთვების დარღვევა იმ ზონაში, რომელთა სტიმულაცია იწვევს მკვეთრ ანტინოციცეპტურ ეფექტს, ასუსტებს მორფინის ანალგეტიკურ ეფექტს [Sounvoravong S, Nakashima MN et al., 2004; Gao K, Chen DO et al., 1998], რაც მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ეფექტი უმთავრესად განპირობებულია სეგმენტურ დონეზე ტკივილის გადაცემის დაღმავალი შეკავებით.

ოპიოიდურ სისტემასთან ერთად, სტიმულაციური ანალგეზიის რეალიზაციაში მონაწილეობს სხვა ნეირომედიატორული სისტემები: ადრენერგული, გაემ-ერგული, ქოლინერგული [Jasmin L, Rabkin SD, et al., 2003; Ghelardini C, Galeotti N, Bartolini A., 1997; Nance PW, Sawynok J., 1987].

ზოგიერთ ნაშრომში ნაჩვენებია იყო ცრნ-დან ნაკერის დიდ ბირთვზე ამაგზნებელი კავშირის მნიშვნელობა ნოციცეპტური რეაქციის დადამავალი შეკავების გენერაციაში [Paul D, Phillips AG., 1986]. ვირთაგვების ცრნ-ში მორფინისა და გლუტამატის მიკროინექციით ან მისი პირდაპირი ელექტრული გალიზიანებით გამოწვეულ ანალგეზიას თან ახლდა ნაკერის დიდი ბირთვის აგზნება [Maione S, Oliva P et al., 2000]. ამ ბირთვის ელექტრული დაზიანების ან ნალოქსონის ვენაში შეყვანის შემდეგ, არც ცრნ-ის ელექტრული სტიმულაცია და არც მორფინის ვენაში ინექცია არ იწვევდა ანალგეზიას [Sounvoravong S, Nakashima MN et al., 2004]. მოგვიანებით ნეიროტენზინის მიკროინექციით ცრნ-ში დადასტურდა ცრნ-ნღბ-ის ამაგზნებელი კავშირის მნიშვნელობა ანალგეზიაში, რომელიც მოისპო ნღბ-ს დაზიანების შემდეგ, მაგრამ არა ნალოქსონის შეყვანის შემდეგ [Urban MO, Smith DJ., 1993]. ავტორებმა დაასკვნეს, რომ ანალგეზიას, გამოწვეულს ნეიროტენზინის ინექციით ცრნ-ში, გააჩნია არაოპიატური ბუნება.

ნორადრენალინი

ნაჩვენებია, რომ ნღბ-ის ელექტრული დაზიანების შემდეგ მორფინის ანალგეზიური ეფექტი შესუსტდა [Mohrland JS, Gebhart GF., 1980]. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ნორეპინეფრინის დონე [Ordway GA, Stockmeier CA et al., 1997]. გამოითქვა მოსაზრება, ტკივილის

დადმავალ მოდულაციასა და ოპიატურ ანალგეზიაში სხვა მედიკორული, კერძოდ, კატექოლამინერგული მექანიზმების მონაწილეობაზე, რაზეც მიუთითებს მონაცემები მიღებული ნაზ-ის სეროტონინერგული ნეირონების ნეიროტოქსიური დაზიანების შემდეგ, რომელიც მიიღწეოდა ცხოველთათვის 5,7 დიჰიდროოქსიტრიპტამინის შეყვანით [Le Maitre E, Vilpoux C et al., 2005]. ამ დროს ადგილი ჰქონდა ზურგის ტვინის უკანა რქებში სეროტონინის დონის 50%-ით დაქვეითებას, მიუხედავად ამისა, მორფინის ანალგეზიის მნიშვნელოვანი ცვლილება არ აღინიშნებოდა.

კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტი

გამოყენებული ცხოველების დახასიათება

ანტინოციციკლის ცენტრალური ელექტროფიზიოლოგიური და ნეიროქიმიური მექანიზმების შესწავლა წარმოებდა კატებზე; ფარმაკოლოგიური ნივთიერებების ანალგეზიური ეფექტების გამოსავლენად, ექსპერიმენტები ჩატარდა უჯიშო მამრ თეთრ ვირთაგვებზე მასით 250-300 გ. სულ გამოყენებული იყო 42 კატა და 332 ვირთაგვა.

გამოკვლევული კონტინგენტის დახასიათება

ქლომიპრამინის ანალგეზიური ეფექტის დასადგენად კვლევა ჩატარდა ქრონიკული ტკივილის სინდრომის მქონე ქალებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 59 ქალმა, მათგან 44 შედიოდა ექსპერიმენტულ, ხოლო 15 – საკონტროლო ჯგუფში. პაციენტთა ასაკი მერყეობდა 20-დან 60 წლამდე.

პაციენტების გამოკვლევის სქემაში შედიოდა საერთო, ნევროლოგიური გასინჯვა და ლაბორატორული გამოკვლევები (საჭიროებისამებრ, რენტგენოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და სხვ.). ყველა პაციენტს დინამიკაში ჩაუტარდა ელექტროენცეფალოგრაფიული გამოკვლევა. ჩვენებებით ტარდებოდა თერაპევტის, ქირურგის, ენდოკრინოლოგის და სხვა სპეციალისტთა დამატებითი კონსულტაციები.

ყველა პაციენტი კონსულტირებული იყო გინეკოლოგის მიერ. რეპროდუქტიული ასაკის ქალებს პრეპარატი ენიშნებოდათ მენსტრუალური ციკლის ფაზების გათვალისწინებით, აღგოდისმენორეა იყო კვლევიდან გათიშვის კრიტერიუმი. პაციენტების განაწილება ასაკის და ნოზოლოგიების მიხედვით მითითებულია ცხრილ 1 და 2-ში.

ზოგადი მეთოდები

ელექტროფიზიოლოგიური ანალიზი

ცდები ჩატარდა ქლორაზოლის (40-50 მგ/კგ ინტრავენურად) მსუბუქი ნარკოზის ქვეშ მყოფ კურარიზებულ კატებზე, წონით 2,5-3,5 კგ. სტერეოტაქსიკურ ხელსაწყოში ფიქსირებული ცხოველები იმყოფებოდნენ მართვითი სუნთქვის პირობებში. კონტროლდებოდა მათი არტერიული წნევა და ტემპერატურა. წინასწარი მანიპულაციები კეთდებოდა სტერილურ პირობებში, ეთერის ღრმა ნარკოზის ქვეშ. ტკივილის გამოწვევის მიზნით გამაღიზიანებელი ელექტროდები იმპლანტირებული იყო კბილის პულპაში. გამოყოფილი თვალბუდის ქვედა ნერვის სხვადასხვა ძალით გაღიზიანება საშუალებას გვაძლევდა გამოგვეწვია “მტკივნეული” (ზეზღურბლოვანი გაღიზიანება) და “უმტკივნეულო” (ზღურბლოვანი გაღიზიანება) რეაქციები. გამომყვანი და გამაღიზიანებელი მიკრო- და მაკროელექტროდები ინერგებოდა სენტაგოტაის ატლასის სტერეოტაქსიკური კოორდინატებით [Szentagotai J., 1958].

ქრონიკული ტკივილის სინდრომის მქონე პაციენტების განაწილება
ასაკისა და ნოზოლოგიების მიხედვით (ექსპერიმენტული ჯგუფი)

ნოზოლოგია	ასაკი			
	20–30	21-40	41-50	51-60
<i>ართრიტები</i>				
მხრის სახსრის	1	2	2	–
მუხლის სახსრის	–	1	–	–
მსხვილი სახსრების პოლიართრიტი	–	1	1	1
ბარძაყის სახსრის	1	1	–	1
<i>ნევრიტები</i>				
სამწვერა ნერვის	–	2	1	–
საჯდომი ნერვის (იშიასი, იშიალგია)	–	–	3	3
კეფის ნერვის	–	1	–	–
<i>რადიკულიტები</i>				
კისრის	2	1	2	1
გაგა-წელის	1	5	5	3
<i>კომბინირებული (ართრიტები და რადიკულიტი)</i>	1	–	1	–
სულ	6	14	15	9

ქრონიკული ტკივილის სინდრომის მქონე პაციენტების განაწილება
ასაკისა და ნოზოლოგიების მიხედვით (საკონტროლო ჯგუფი)

ნოზოლოგია	ასაკი			
	20–30	21-40	41-50	51-60
<i>ართრიტები</i>				
მხრის სახსრის	1	1	–	–
მუხლის სახსრის	–	–	–	–
მსხვილი სახსრების პოლიართრიტი	–	–	1	–
ბარძაყის სახსრის	–	–	–	1
<i>ნევრიტები</i>				
სამწვერა ნერვის	1	–	2	–
საჯდომი ნერვის (იშიასი, იშიალგია)	–	1	–	2
კეფის ნერვის	–	–	–	–
<i>რადიკულიტები</i>				
კისრის	1	1	1	–
გავა-წელის	–	–	–	2
<i>კომბინირებული (ართრიტები და რადიკულიტი)</i>	–	–	–	–
სულ	3	3	4	5

თალამუსის სპეციფიკური ბირთვებისა და თავის ტვინის ქერქის ტკივილზე მორეაგირე ნეირონების აქტივობა, აღირიცხებოდა უჯრედ-გარეთა მინის მიკროელექტროდებით, ამოვსებული კალიუმის ციტრატის 3 მოლ ხსნარით (წვერის დიამეტრი 0,5-1,0 მკმ, წინააღობა 5-6 მეგაომი). თალამუსის არასპეციფიკური (რბ, ცმბ, პარაფასკიკულური – პპზ) და სპეციფიკური (ვაბ და ვპმბ) ბირთვების, ცენტრალური რუხი ნივთიერების (ცრნ), ნათხემის ქერქისა და ქერქქვეშა წარმონაქმნების, დიდი ჰემისფეროების კორონალური ხვეულისა და სომატოსენსორული II ველის გამაღიზიანებლად ან დასაზიანებლად გამოიყენებოდა კონსტანტანის შეწყვილებული ელექტროდები 100-150 მკმ არა-იზოლირებული წვერით.

გაღიზიანება ტარდებოდა მაღალსიხშიროვანი გამოსავლის მქონე გენერატორის მართკუთხა იმპულსებით. არასპეციფიკური ბირთვებისა და ცრნ-ის დაზიანებას ვახდენდით, ჩანერგილ მაკროელექტროდებში მუდმივი დენის გატარებით 30 წამის განმავლობაში (5-10 მა), რაც საშუალებას იძლეოდა ცდის დასასრულს მორფოლოგიურად დაგვედგინა ელექტროდების ზუსტი ლოკალიზაცია. ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ ცხოველების ევტანაზიას ვახდენდით ნემბუტალის სასიკვდილო დოზის ინტრავენური ინექციით.

გაანალიზებულია თალამუსისა და თავის ტვინის ქერქის 268 ნეირონი.

ნეიროქიმიური ანალიზი

ნეიროქიმიური ანალიზისათვის გამოიყენებოდა მორფინი, ნალოქსონი (ოპიატური ანტაგონისტი), ფენტოლამინი, პროპრანოლოლი (ადრენობლოკატორები), მიანსერინი, პარაქლორფენილალანინი (სეროტონინის ანტაგონისტები), ჰალოპერიდოლი, კლოზაპინი β (დოფამინის ანტაგონისტები), პიკროტოქსინი (გამაამინოერბომუჟავას ანტაგონისტი), რომლებიც ცხოველებში შეგვეყავდა სხვადასხვა დოზითა და გზებით: ინტრავენურად, ინტრაპერიტონეულად, მიკროინექციით (ქემიტროდით), ინტრავენტრიკულურად და უშუალოდ თავის ტვინის ქერქზე აპლიკაციით.

ელექტროდების ლოკალიზაციის ვერიფიკაცია

ცხოველების თავის ტვინს ვაფიქსირებდით ინტრაკარდიალურად პერფუზირებული 36°C -მდე გამთბარი 4%-იანი პარაფორმალდეჰიდისა და 2,5%-იანი გლუტარალდეჰიდის ნარევით. პოსტფიქსაციის მიზნით პერფუზიის დაწყებიდან 30 წუთის შემდეგ ცხოველის თავის ტვინს 4 დღე-ღამის განმავლობაში ვათავსებდით ზემოაღნიშნულ ხსნარში. შემდგომ თავის ტვინს ვყოფდით ბლოკებად, რომლებიც შეიცავდა შესასწავლ სტრუქტურებს და ვაანალიზებდით მაკროსკოპულად.

ტკივილის ექსპერიმენტული მოდელი

მწვავე და შემდეგ ქრონიკული ტკივილის გამოყენებულ ექსპერი-

მენტულ მოდელს წარმოადგენდა “ფორმალინის ტესტი” [Tjolsen et al., 1992] – ცხოველის ერთ-ერთი თათის კანქვეშ ფორმალინის ხსნარის ინექცია (გამოიყენებოდა 0,05 მლ 2,5%-იანი ფორმალინის ხსნარი, დამზადებული 30%-იანი ფორმალდეჰიდის ხსნარიდან).

ადგილობრივი სისხლის ნაკადის გაზომვა თავის ტვინის

სტრუქტურებში

თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურებში ადგილობრივი სისხლის ნაკადის გაზომვა წარმოებდა წყალბადის კლირენსის მეთოდით [Aukland, 1968].

წყალბადის კლირენსის რეგისტრაციის ელექტრული წრედი შედგებოდა, 100 მკმ დიამეტრის ტეფლონირებული პლატინის ელექტროდისგან, ქლორირებული ვერცხლის ინდიფერენტული ელექტროდისგან (დიამეტრით 5 მმ) და პოლაროგრაფისგან, სარეგისტრაციო მოწყობილობით (Universal Polarograph OH-105, Radelkis, Budapest). პოლარიზაციის ძაბვა უდრიდა +250 მვ-ს.

ვირთაგვების მოძრაობითი აქტივობის დარღვევის შეფასება

ვირთაგვების მოძრაობითი აქტივობისა და მისი დარღვევის შეფასება ხდებოდა შიმოიამას და სხვ. [Shimoyama et al., 1999] მიერ მოწოდებული სკალის მიხედვით.

შიმოიამას სკალა

ქულები	ქცევა
0	ნორმალური
1	მცირე ატაქსია (დარღვეულია უკანა კიდურების ბალანსი)
2	ატაქსია
3	პოსტურალური რეფლექსის დაკარგვა
4	იმობილიზაცია (ტკივილზე რეაქცია შენახულია)
5	ანესთეზია (ტკივილზე რეაქცია არ არის)

ვირთაგების ემოციური ქცევის შეფასება

ცხოველთა ემოციური ქცევა შეისწავლებოდა პასიური განრიდების მეთოდით [Essman W.B., Alpern H.R., 1964], რომელიც დამყარებულია მღრღნელების ეტოლოგიურ თვისებაზე, გაერიდონ განათებულ გარემოს. საექსპერიმენტო საკანი შედგებოდა ორი განყოფილებისაგან: ნათელი (დიდი) და ბნელი (პატარა), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო 5 × 6 სმ-ის ხვრელით. ნათელ განყოფილებაში მოთავსებული ვირთაგა სწრაფად (3-8 ს) შედიოდა ხვრელით ბნელ საკანში, სადაც 5 სეკუნდის განმავლობაში მეტალის იატაკიდან წყვეტილად ღებულობდა ელექტროგალიზიანებას (60 ვ). ამ გზით ფორმირდებოდა შიშის ემოციური რეაქცია. ვირთაგვა სწრაფად გამორბოდა ნათელ განყოფილებაში და აღარ ბრუნდებოდა ბნელში.

შიშის რეაქციის შემონახვა (ანუ პასიური განრიდების პირობითი რეაქციის გამომუშავება) მოწმდებოდა 20 წუთის, 2, 4 და 24 საათის შემდეგ, და საჭიროებისამებრ მე-2, მე-4 და შემდგომ დღეებში. თუნათელ განყოფილებაში ჩასმული ვირთაგვა არ გადარბოდა ბნელში, ითვლებოდა, რომ შიშის ემოციური რეაქცია შემონახულია.

მეზ-ის რეგისტრაცია და ანალიზის მეთოდები

მეზ რეგისტრირდებოდა პაციენტის დვიდილის მდგომარეობაში. ფუნქციურ სინჯად გამოიყენებოდა ფოტოსტიმულაცია (3-27 ჰც-ის დიაპაზონი), ჰიპერვენტილაცია (3 წუთის განმავლობაში), სუნთქვის შეკავება (15-25 წამის განმავლობაში) ჰიპერვენტილაციის შემდეგ. პროცედურის საერთო ხანგრძლივობა იყო 25-35 წუთი.

მეზ-ის რეგისტრაცია ჩატარდა კომპიუტერული ენცეფალოგრაფით “Encephalan-131-03, professional version”, ელექტროდების ლოკალიზაცია 10-20 საერთაშორისო სისტემის მიხედვით. გამაძლიერებლების გატარების დიაპაზონი იყო 0,5-100 ჰც, სიხშიროვანი ფილტრაცია – 50 ჰც. ყველა გამოყვანის სიგნალები ციფრულ ფორმაში გადაიყვანებოდა on-line რეჟიმში, დისკრეტიზაციის სიხშირე 256 ჰც, გადაწყვეტილება 12 ბიტი, ელექტროდების წინაღობა არანაკლებ 5 კილომი.

არტეფაქტებისაგან გასუფთავებული მეზ-დან შემდგომი ანალიზისთვის გამოყენებული იყო 20-წამიანი ჩანაწერები, რეგისტრირებული მშვიდ მდგომარეობაში ღია და დახუჭული თვალებით, ფუნქციური

დატვირთვის ფონზე და მათი დამთავრებიდან 20 წამის შემდეგ (10-15 ფრაგმენტი ყოველი პაციენტისთვის).

ჩატარებულ იქნა ემბ-ის შემდეგი მაჩვენებლების ანალიზი:

- ემბ-ის პირველადი (დაუმუშავებელი) პატერნი ელექტროდების მონოპოლუსური და ბიპოლუსური ფიქსაციისას და გამოყვანების საშუალორეფერენტული (Common Average Reference) სქემის გამოყენებით ფონური აქტივობის თავისებურებების გამოსავლენად;
- ემბ-ის ყოველი გამოყვანისათვის ბერგ-ფურიეს გარდაქმნის შემდეგ გამოყოფილი სიხშიროვანი კომპონენტები: დელტა (0,5-4,0 ჰც), თეტა-1 (4-6 ჰც), თეტა-2 (6-8 ჰც), ალფა (8-13 ჰც), ბეტა-1 (13-24 ჰც) და ბეტა-2 (24-50,8 ჰც) დიაპაზონებში;
- სიმძლავრეების აბსოლუტური (მკვ²) და შედარებითი (%) მნიშვნელობები;
- ემბ-ის სპექტრის პარამეტრების მნიშვნელობების პატერნი ტვინის სხვადასხვა უბანში (Brain mapping technique) – გამოყოფილ სიხშიროვან დიაპაზონებში აქტივობის სივრცითი განაწილება თავის ტვინის კონვექსიტალური ზედაპირის გასწვრივ.

ცალკე გამოკვლევების დიზაინი

გლიის ინდექსის გამოთვლა

მორფოლოგიური გამოკვლევისთვის მასალას ვიდეზღოთ ინექციიდან 6 საათის, 1, 3 და 7 დღის შემდეგ. თავის ტვინის ფიქსაციის

შემდეგ ვაწარმოებდით მის დეჰიდრატაციას და ვაყალიბებდით პარაფინში. 15-20 მკმ სისქის ანათლები იღებებოდა კრეზილ-ვიოლეტით ნისლის მეთოდით.

ექსპერიმენტები ჩატარდა ცხოველების 2 ჯგუფზე. ეთერის მსუბუქი ნარკოზის ქვეშ მყოფი პირველი ჯგუფის ცხოველებს (16 ვირთაგვა) უკეთდებოდა ფორმალინის ტესტი, მეორე ჯგუფი შეადგინა ინტაქტურმა ცხოველებმა (4 ვირთაგვა). ტვინის ფიქსაციის შემდეგ რაოდენობრივი გამოკვლევა ტარდებოდა ბინოკულარული სინათლის მიკროსკოპით (გადიდება: ობ. $\times 40$, ოკ. $\times 16$). გამოყენებული იყო $0,13 \times 0,13$ მმ ზომის მორფომეტრიული ბადე. ქერქვეშა წარმონაქმნებისათვის გამოთვლა ჩატარდა 30 შემთხვევით არჩეულ მხედველობის არეში, ხოლო ქერქული სტრუქტურისათვის 30 სვეტში, რომლებიც შეიცავდა ყველა შრეს; თითოეული სვეტი ჩვენ შემთხვევაში, როგორც წესი, შედგებოდა მხედველობის 8 არისაგან.

დათვლილი იყო ნეირონებისა და მაკროგლიური უჯრედების რაოდენობა, აგრეთვე განვსაზღვრეთ გლიის ინდექსი (გლიის უჯრედების რაოდენობის შეფარდება ნეირონების რაოდენობასთან).

ცენტრალური რუხი ნივთიერების როლის გამოკვლევა ნათხემისა და პიპოთალამუსის სტრუქტურით გამოწვეული აგრესიული ქცევის რეგულაციაში

ცდები ჩატარდა 12 კატაზე, ქრონიკული ექსპერიმენტის პი-

რობებში. ელექტროდები ჩანერგილი იყო დიდი ტვინისა და ნათხემის ქერქსა და ქერქქვეშა წარმონაქმნებში. ოპერაციიდან 10-14 დღის შემდეგ ცხოველებზე დაკვირვება ხდებოდა მცირე ზომის ეკრანირებულ, გამჭვირვალე კედლებიან საკანში (1,5 × 1,0 × 1,0 მ), რომელშიც შესაძლებელი იყო თავის ტვინის სტრუქტურების სტიმულაცია და ელექტრული აქტივობის რეგისტრაცია. პარალელურად ელექტროენცეფალოგრაფზე აღირიცხებოდა გულისცემის სიხშირე.

ცხოველთა ქცევაზე მიდაზოლამის გავლენის გამოკვლევა

ცხოველთა ემოციური ქცევა შეისწავლებოდა პასიური განრიდების მეთოდით [Essman W.B., Alpern H.R., 1964]. პასიური განრიდების რეაქციის განხორციელებისას აღირიცხებოდა დეფეკაციის, ურინაციის, გრუმინგისა და ვერტიკალურად წამოდგომის რაოდენობა, დროის გარკვეულ მონაკვეთში. ამით განრიდების მეთოდიკაში შეგვქონდა “ღია ველის” ტესტირების ელემენტები.

ცდების პირველ სერიაში 24 ცხოველი დაყოფილი იყო ოთხ ჯგუფად (6-6 თითოეულში). ვირთაგვებს per os ეძლეოდათ სხვადასხვა დოზით 0,6; 1,2; 2,5; 5 მგ/კგ მიდაზოლამი (0,5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში გახსნილი და დაწვეთებული მყარი, გრანულირებული საკვების ერთ გრანულაზე). წამლის მიღებიდან 15 წუთის შემდეგ ცხოველს ვათავსებდით საექსპერიმენტო საკანში და 60-120 წუთის განმავლობაში ვაკვირდებოდით მის ქცევას მიდაზოლამის დოზის

შესარჩევად, რომელიც არ აფერხებს მოძრაობით აქტივობას.

ექსპერიმენტის მეორე სერიაში შესწავლილ იქნა მიდაზოლამის გავლენა ცხოველთა შიშის ემოციურ რეაქციაზე. ცდები ჩატარდა ცხოველთა 3 ჯგუფზე: ორი საექსპერიმენტო (12-12 თითოეულში) და მესამე – საკონტროლო (6 ცხოველი).

პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველებს მიეცათ მიდაზოლამი დოზით 2,5 მგ/კგ, მეორე საექსპერიმენტო ჯგუფის ცხოველებს – 5 მგ/კგ. მიდაზოლამის მიღებიდან 30 წუთის შემდეგ ვირთაგვები ჩასმულ იქნა ნათელ განყოფილებაში და მათ ჩაუტარდათ პასიური განრიდების ტესტის სრული პროცედურა.

ცხოველთა ქცევაზე და თავის ტვინის ადგილობრივ სისხლის ნაკადზე კეტამინის მოქმედების გამოკვლევა

წინასწარ ცდებში ფიზიოლოგიურ ხსნარში გახსნილი კეტამინი 30, 60, 100 და 150 მგ/კგ დოზით (მოცულობით 0,5 მლ/100 გ) ცხოველებში შეგვეყავდა პერორალურად სპეციალური პოლიეთილენის კათეტერით. კეტამინის მიცემისთანავე აღინიშნებოდა სედატიური მოქმედების ქცევითი გამოვლინებანი. ფორმალინის ინექციის შემდეგ ცხოველს ვათავსებდით ქცევით საკანში და შემდგომი 60 წუთის განმავლობაში ვაკვირდებოდით მის მოძრაობით აქტივობას (შეფასება ხდებოდა შიმოიამასა და სხვ. [Shimoyama et al., 1999] მიერ მოწოდებული სკალის მიხედვით).

წინასწარ ცდებში მიღებული მონაცემების გათვალისწინებით გამოკვლევაში შერჩეული და გამოყენებული იყო კეტამინის უმცირესი (30 მგ/კგ) და უმაღლესი (150 მგ/კგ) დოზები.

ძირითადი ცდები ჩატარდა ცხოველთა 12 ჯგუფზე (თითოეულ ჯგუფში 6-6 ვირთაგვა), რომელთა შორის 8 ჯგუფი იყო ექსპერიმენტული და 4 – საკონტროლო.

ცხრილი 4

კეტამინის სინჯის დროს ელექტროდების ლოკალიზაცია

თავის ტვინის სტრუქტურა	ელექტროდის ლოკალიზაცია
ცენტრალური რუხი ნივთიერება	A -6,8; H 5,5; L 0,6
კუდიანი ბირთვი	A +0,7; H 5,5; L 3,0
სარტყლის ხვეული	A -0,3; H 1,5; L 0,4
ფრონტო-პარიეტული ქერქი	A -1,3; H 5,5; L 3,0

ფორმალინის ტესტი ტარდებოდა კეტამინის (ექსპერიმენტული ჯგუფი) და ფიზიოლოგიური ხსნარის (საკონტროლო ჯგუფი) per os შეყვანიდან 90 წუთის შემდეგ.

თავის ტვინის ზემოაღნიშნულ უბნებში ელექტროდების იმპლანტაციიდან მესამე-მეოთხე დღეს (ცხოველის მდგომარეობის შესაბამისად) ვირთაგვებს ვათავსებდით ქცევით კამერაში და ვატარებდით ადგილობრივი სისხლის ნაკადის ფონურ გაზომვას. შემდეგ ექსპერიმენტულ ცხოველებს პერ ოს ეძლეოდა კეტამინი,

საკონტროლოს კი – ფიზიოლოგიური ხსნარი. აღნიშნული ნივთიერებების შეყვანიდან პირველ და მეათე წუთზე ტარდებოდა თავის ტვინში ადგილობრივი სისხლის ნაკადის გაზომვა და ფასდებოდა ცხოველის ქცევა შიმშიამას სკალით. კეტამინის შეყვანიდან 90-ე წუთზე უკანა თათში კანქვეშ შეგვეყავდა 0,05 მლ 2,5%-იანი ფორმალინი ან 0,05 მლ ფიზიოლოგიური ხსნარი და ინექციიდან მეორე და მე-60 წუთზე ხელახლა ვახდენდით ადგილობრივი სისხლის ნაკადის გაზომვას.

5-ოქსიტრიპტოფანის მოქმედების შეფასება აგრესიულ ქცევაზე

ბუნებით აგრესიული და არააგრესიული ცხოველები შერჩეულ იქნა კარლი-ს მეთოდით [Karli P., 1956].

ექსპერიმენტებში გამოყენებულ იქნა 64 ცხოველი, რომლებიც დაყოფილი იყო 4 ჯგუფად (16-16 ვირთაგვა): 1) ბუნებით აგრესიული, 2) ბუნებით არააგრესიული, 3) ვირთაგვები, რომლებმაც აგრესიულობა დაკარგეს კასტრაციის შემდეგ, 4) ვირთაგვები, რომლებიც აგრესიული გახდნენ ტესტოსტერონის გავლენით.

ცხოველების აგრესიულობა დგინდებოდა “ღია ველის” და პასიური განრიდების რეაქციის პირობებში რეგისტრირებული ქცევის პატერნით [Берадзе Г., Берелашვილი Т. и др., 2004; Barkaia Lela, Barkaia Lali et al., 1998; Надарейшвили К.Ш., Иорданишвили Г.С. и др., 1991].

0,1 მლ 1%-იანი ტესტოსტერონის პროპიონატი შეგვეყავდა ინტრაპერიტონეულად დღე-ღამეში ორჯერ, 12-საათიანი ინტერვალით.

ფარმაკოლოგიური ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა 5-ოქსიტრიპტოფანი (30 მკგ/კგ ინტრავენურად), ნორადრენალინი (50 მკგ/კგ ინტრაკრანიალურად), პროპრანოლოლი (2 მკგ/კგ ინტრავენურად). საკონტროლო ცხოველები იღებდნენ ფიზიოლოგიურ ხსნარს.

ქლომიპრამინის მოქმედების ეფექტების გამოკვლევა ქრონიკული ტკივილის სინდრომის დროს

რეპროდუქციული ასაკის ყველა პაციენტს, მენსტრუაციამდე 15, 5 დღით ადრე და მენსტრუაციიდან 5 დღის შემდეგ უტარდებოდა ტესტირება სპილბერგ-ხანინისა და O₃ბ (თვითშეგრძნება, აგრესიულობა, გუნებ-განწყობა) კითხვარების გამოყენებით [Карелина А.А., 1999], რომელთა საფუძველზე გამოითვლებოდა რეაქტიული და პირადი შფოთვის მაჩვენებლები. ამასთან ერთად პაციენტები ახასიათებდნენ ტკივილის ინტენსივობას ციფრული რეიტინგის სკალის მიხედვით [Джеймисон Р.Н., 1998]. კლიმაქტერული ასაკის ქალებს უტარდებოდათ გამოკითხვა იგივე სქემით, ხოლო ტესტირების ვადა განისაზღვრებოდა ანამნეზის მონაცემებზე დაყრდნობით.

ზემოხსენებული ტესტების კომპლექსი ჩატარდა სამჯერ: მკურნალობამდე, მკურნალობის პროცესში და მკურნალობის შემდეგ.

წინასწარი გასინჯვის შემდეგ ყველა პაციენტს ენიშნებოდა ქრონიკული ტკივილის სინდრომის დროს რეკომენდირებული სქემით მკურნალობა [Шиман А.Г., Сайкова Л.А., Кирьянова В.В., 2001; Осипова Н.А.,

Новиков Г.А., Прохоров Б.М., 1998] ინდივიდუალური სიმპტომატიკის გათვალისწინებით.

ქლომიპრამინი ინიშნებოდა მენსტრუაციამდე 14-15 დღით ადრე საწყისი დოზით 10-25 მგ საღამოს, ძილის წინ. შემდგომში დღე-ღამის დოზას ვზრდიდით, ყოველ 3-5 დღეში ორჯერ. მენსტრუაციამდე 5 დღით ადრე სადღეღამისო დოზა შეადგენდა 75-100 მგ-ს. მენსტრუაციის შემდეგ დოზას თანდათან ვამცირებდით, მენსტრუაციიდან მე-5 – მე-6 დღეს პრეპარატის მიცემა წყდებოდა.

მონაცემების სტატისტიკური დამუშავება

მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS (ვერსია 11.5), MS Excel (MS Office 2000 Professional Package, v. 9.0.3821-SR1) და Biostat კომპიუტერული პროგრამებით. შედეგები მიიღებოდა საშუალო და საშუალო სიდიდეების სტანდარტული ცდომილების სახით. ჯგუფებს შორის სხვაობა ანალიზდებოდა კრიუსკალ-ვოლისის (ANOVA, One way) მეთოდით, ჯგუფებს შიგნით ვილკონსონის მეთოდით, ხოლო სხვაობა საშუალო სიდიდეებს შორის ფასდებოდა სტიუდენტის t კრიტერიუმით. ამორჩევების მონაცემების არაპარამეტრული მეთოდებით დამუშავებისას გამოიყენებოდა მან-უიტნის U კრიტერიუმი.

ყველა შემთხვევაში სტატისტიკური სარწმუნოობა განისაზღვრებოდა $P < 0,05$ -ით.


მიღებული შედეგები და მათი განხილვა

თალამუსის როლი ნოციციკლების რეგულაციაში


თალამუსის ანტინოციციკლური სისტემა

ნოციციკლური და კონვერგენტული (ნეირონები, რომლებიც რეაგირებენ როგორც უმტკივნეულო, ისე მტკივნეულ გაღიზიანებაზე) ნეირონების გამოწვეული აქტივობის ფონზე, თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების (ცენტრომედიალური, რეტიკულური, პარაფასციკულური) და თალამუსის სპეციფიკური მედიალური ბირთვების გაღიზიანებით ითრგუნებოდა ნოციციკლური ნეირონული აქტივობა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ თალამუსში ფუნქციონირებს ანტინოციციკლური სისტემა [საყვარელიძე ზ., 1999; Лиманский Ю.П., 1986], რომელიც თავის ამ გავლენას ახდენს როგორც აღმაავალი, ისე დაღმაავალი მიმართულებით.


თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების დაღმაავალი ანალგეზიური მოქმედება, სამწვერა ნერვისა და ნაკერის ბირთვებზე, გარდა პირდაპირი გავლენის, ცრნ-ის მეშვეობითაც ხორციელდება, რადგან ცრნ-ის ელექტროლიზური დაზიანების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა თალამუსის შემაკავებელი მოქმედება ამ ბირთვების ნეირონების ნოციციკლურ აქტივობაზე. იგი სრულიად მოისპო ნალოქსონის შეყვანით, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ცრნ-ის ანალგეზიური გავლენა ოპიოიდური ბუნების უნდა იყოს.




სურ. 3. მტკივნეულ გაღიზიანებაზე მოპასუხე ნეირონების რაოდენობრივი განაწილება თალამუსში.




სურ. 4. თალამუსის ცენტრომედიალური ბირთვის ნოციციკტური და კონვერგენტული ნეირონების აქტივობა მორფინის ინექციის შემდეგ. ა – თალამუსის ცენტრომედიალური ბირთვის, ნოციციკტური ნეირონის აქტივობა კბილის პულპის გაღიზიანებაზე; ბ – იგივე ნეირონის რეაქცია მორფინის შეყვანის შემდეგ; გ – კონვერგენტული ნეირონის აქტივობა თვალბუდის ქვედა ნერვის ზეზღურბლოვან გაღიზიანებაზე; დ – იგივე ნეირონის რეაქცია მორფინის შეყვანის შემდეგ თვალბუდის ქვედა ნერვის ზეზღურბლოვან გაღიზიანებაზე. დრო – 20 მს.




სურ. 5. მტკივნეულ გაღიზიანებაზე მოპასუხე ნეირონების რაოდენობრივი განაწილება ცრნ-ში, ნღბ-სა და სნბ-ში.




სურ. 6. ცრნ-ის ნოციცეპტური (ა) და კონვერგენტული (ბ) ნეირონის რეაქცია კბილის პულპის (1), თვალბუდის ნერვის ზეზღურბლოვანი (2) და ზღურბლოვანი (3) ძალით გაღიზიანებისას.




სურ. 7. სნბ-ის ნოციცეპტური ნეირონის რეაქცია იპსილატერალური ზედა (ა) და ქვედა (ბ), კონტრალატერალური ქვედა (გ) ეშვების პულპის და თვალბუდის ნერვის ზეზღურბლოვანი (დ) და ზღურბლოვანი (ე) გაღიზიანების საპასუხოდ.




სურ. 8. სნბ-ის კონვერგენტული ნეირონის რეაქცია იპსილატერალური ზედა (ა) და ქვედა (ბ), კონტრალატერალური ქვედა (გ) ეშვების პულპის და თვალბუდის ნერვის ზეზღურბლოვანი (დ) და ზღურბლოვანი (ე) გაღიზიანების საპასუხოდ.



სურ. 9. სამწვერა ნერვის ბირთვის ნეირონის ნოციცეპტური აქტივობის ცვალებადობა, ცრნ-ის ვენტრალური უბნის მაკონდიცირებელი გალიზიანებით. ა - ნეირონის პოსტსტიმულაციური პისტოგრამა და ოსცილოგრამა მტკივნეულ გალიზიანებაზე, ბ - ნეირონის პასუხი მაკონდიცირებელ და ტესტურ გალიზიანებაზე, გ - ნეირონის პასუხი მაკონდიცირებელ და ტესტურ გალიზიანებაზე ნალოქსონის (0,3 მგ/კგ) შეყვანის შემდეგ. პისტოგრამები - სპაიკების რიცხვი / 10 მს.




სურ. 10. სამწვერა ნერვის ბირთვის ნეირონის ნოციცეპტური აქტივობის ცვალებადობა, ცრნ-ის დორსომედიალური უბნის მაკონდიციონირებელი გაღიზიანებით. ა - ნეირონის პოსტსტიმულაციური ჰისტოგრამა და ოსცილოგრამა მტკივნეულ გაღიზიანებაზე, ბ - ნეირონის პასუხი მაკონდიციონირებელ და ტესტურ გაღიზიანებაზე, გ - ნეირონის პასუხი მაკონდიციონირებელ და ტესტურ გაღიზიანებაზე ნალოქსონის (0,3 მგ/კგ) შეყვანის შემდეგ. ჰისტოგრამები - სპაიკების რიცხვი / 10 მს.




სურ. 11. ნაკერის დორსალური ბირთვის ნოციცეპტური ნეირონის პასუხი, კბილის პულპის და თალამუსის ცენტრომედიალური ბირთვის გალიზიანებისას, ოპიატური და ადრენობლოკატორების ინექციის ფონზე. ა - ნღბ-ის ნოციცეპტური ნეირონის პასუხი, კბილის პულპის გალიზიანებაზე, ბ - ნღბ-ის ნოციცეპტური ნეირონის პასუხი, თალამუსის ცენტრომედიალური ბირთვის (მაკონდიცირებელი) და კბილის პულპის (მატესტირებელი) გალიზიანებისას, გ - ნღბ-ის ნოციცეპტური ნეირონის პასუხი, თალამუსის ცენტრომედიალური ბირთვის (მაკონდიცირებელი) და კბილის პულპის (მატესტირებელი) გალიზიანებისას ნალოქსონის შეყვანის შემდეგ, დ - ნღბ-ის ნოციცეპტური ნეირონის პასუხი, თალამუსის ცენტრომედიალური ბირთვის (მაკონდიცირებელი) და კბილის პულპის (მატესტირებელი) გალიზიანებისას ნალოქსონისა და პროპრანოლოლის ერთდროული შეყვანისას. დრო - 20 მს.




სურ. 12. ნაკერის დორსალური ბირთვის ნოციცეპტური ნეირონის რეაქცია, მტკივნეულ გაღიზიანებაზე: ა - მაკონდიცირებელი ზეგავლენის გარეშე, ბ - ცრნ-ის მაკონდიცირებელი ზეგავლენით, გ - ცრნ-ის მაკონდიცირებელი ზეგავლენით ნალოქსონის (0,3 მგ/კგ) შეყვანის შემდეგ.



სურ. 13. ცენტრალური რუხი ნივთიერების ტეტანური გაღიზიანების გავლენა სამწვერა ნერვის ბირთვის ნეირონების აქტივობაზე. ნეირონების პასუხი კბილის პულპის (1), თვალბუდის ნერვის ზეზღურბლოვან (2) და ზღურბლოვან (3) გაღიზიანებაზე. ა – ტეტანიზაციამდე, ბ – ტეტანიზაციის შემდეგ. ამპლიტუდა – 250 მკვ, დრო – 150 მს.



სურ. 14. თალამუსის ცენტრომედიალური და რეტიკულური ბირთვების გაღიზიანების გავლენა, ცენტრალური რუხი ნივთიერებისა და ნაკერის დორსალური ბირთვის ნეირონებზე. ა – ცენტრალური რუხი ნივთიერების ნოციცეპტური ნეირონის აქტივობა; ბ – ცენტრალური რუხი ნივთიერების ნოციცეპტური ნეირონის აქტივობა ცენტრომედიალური ბირთვის (მაკონდიცირებელი და კბილის პულპის (მატესტირებელი) გაღიზიანებისას; გ – ნაკერის დორსალური ბირთვის ნოციცეპტური ნეირონის აქტივობა; დ – ნაკერის დორსალური ბირთვის ნოციცეპტური ნეირონის აქტივობა რეტიკულური ბირთვის (მაკონდიცირებელი) და კბილის პულპის (მატესტირებელი) გაღიზიანებისას. დრო – 20 მს.



სურ. 15. სამწვერა ნერვის ბირთვის ნეირონების საპასუხო რეაქცია კბილის პულპის (ა), თვალბუდის ნერვის ზეზღურბლოვან (ბ) და ზღურბლოვან (გ) გალიზიანებაზე. 1 - ცენტრალური რუხი ნითიერების ტეტანურ გალიზიანებამდე, 2 - ცენტრალური რუხი ნითიერების ტეტანური გალიზიანების შემდეგ, 3 - ნალოქსონის ინტრავენური შეყვანის შემდეგ. ამპლიტუდა - 250 მკვ, დრო - 60 მს.

რაც შეეხება თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების ანალგეზიური მოქმედების ბუნებას, აღმოჩნდა, რომ ცმბ ადრენერგული მექანიზმით თრგუნავს ნოციციკლურ აქტივობას, რადგანაც ადრენობლოკატორების (ფენტოლამინი, პროპრანოლოლი) შეყვანით იხსნება ცმბ-ის დამთრგუნველი მოქმედება როგორც აღმაგალი, ისე დაღმაგალი მიმართულებით.

თალამური რბ-ის ანალგეზიურ მოქმედებაზე გავლენას არ ახდენდა არც ნალოქსონის, არც პარაქლორფენილალანინის (სეროტონინის ანტაგონისტი) და არც ადრენობლოკატორების შეყვანა ცხოველებში. ეს გვაფიქრებინებდა, რომ რბ-ის ანტინოციციკლური გავლენა გაემერგული ბუნების უნდა იყოს. შემდგომი ნატიფი ცდებით, სადაც დოზირებულად იყო გამოყენებული პიკროტოქსინი, რომელმაც მოხსნა რბ-ის შემაკავებელი ეფექტი თავის ტვინის ქერქისა და თალამუსის სპეციფიკური ბირთვების გამოწვეულ ნოციციკლურ აქტივობაზე, დადასტურებულ იქნა ვარაუდი რეტიკულური ბირთვის გაემერგული ბუნებისა ანტინოციციკლიაზე. მიანსერინის გავლენით იზოლირებულად მოიხსნა ვმმბ-ის, ხოლო ჰალოპერიდოლით პვზ-ის დამთრგუნველი გავლენა, ე.ი. უნდა ვიფიქროთ, რომ ვმმბ-ის ანტინოციციკლური ეფექტი სეროტონინერგული, პვზ-ის კი დოფამინერგული მექანიზმებით ხორციელდება.

მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ თავის ტვინის

სხვადასხვა უბნებში განთავსებულ ტკივილის მარეგულირებელ და მაკონტროლებელ სტრუქტურებს გააჩნიათ სპეციფიკური ნეიროქიმიური და მორფოლოგიური ორგანიზაცია და მულტიფუნქციური თავისებურებებით ხასიათდებიან.

თალამუსის ანტინოციცეპტური სისტემის ნეიროქიმიური მექანიზმები

თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების, დაღმავალ სტრუქტურებზე, ანტინოციცეპტური მოქმედების გზების გამოსავლენად ელექტროლიზურად დაზიანებულ იქნა ცრნ. 2 საათის შემდეგ სნბ-ის და ნღბ-ის ნეირონების გამოწვეული აქტივობა, ნაკლებად ითრგუნებოდა თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების გაღიზიანებით (სურ. 11). აღნიშნული მონაცემები გვაფიქრებინებს იმაზე, რომ, პირდაპირ გზებთან ერთად, თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების შემაკავებელი მოქმედება, სნბ-ის და ნღბ-ის ნოციცეპტურ ნეირონებზე რეალიზდება ცრნ-ის საშუალებითაც.

შემდგომ ექსპერიმენტებში ჩატარებულ იქნა ნეიროფარმაკოლოგიური ანალიზი. ნალოქსონის (ოპიატური რეცეპტორების ანტაგონისტი) შეყვანის შემდეგ, ცრნ-ის შემაკავებელი ეფექტი მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს ფაქტი მოსალოდნელი იყო, რადგან ცნობილია, რომ ცრნ, ცნს-ის მთავარი ანალგეზიური სტრუქტურა, თავის ანტინოციცეპტურ გავლენას უზრუნველყოფს ოპიატური მექანიზმით [Neto F., Castro-Lopes I., 2000; Сакварелидзе З.А., 1995; Hsieh J., Belfrage M. et al.,

1995; Yang S., Foelett K. et al., 1993; Абзианидзе Е.В., 1990.; Лиманский Ю.П., 1986].

ნალოქსონის ფონზე, პროპრანოლოლის (ადრენობლოკატორი) შეყვანით სრულიად მოიხსნა ცმბ-ის შემაკავებელი ეფექტი სნბ-ის და ნღბ-ის ნოციციკტურ ნეირონებზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ ბირთვებზე ცმბ-ის დადმავალი ანტინოციციკტური მოქმედება ოპიატური ბუნებისაა, თუ ხორციელდება ცრნ-ის საშუალებით, და ადრენერგულია, თუ რეალიზდება პირდაპირი გზით.

სნბ-ის და ნღბ-ის ნოციციკტურ ნეირონებზე, რბ-ის ანტინოციციკტური გავლენის რეალიზაციაში ასევე მონაწილეობს ოპიატური მექანიზმი, ცრნ-ის საშუალებით, პირდაპირი გავლენა კი ბამმერგულია, რადგან რბ-ის პირდაპირი დადმავალი ანტინოციციკტური მოქმედება ბლოკირდება პიკროტოქსინით (ბამმ-ბლოკატორი).

ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში გამოკვლეულ იქნა, თალამუსის არასპეციფიკური ანტინოციციკტური გავლენა ჰიპოთალამუსის ნოციციკტურ ნეირონებზე. მტკივნეული პერიფერიული გაღიზიანებისა და სნბ-ის სტიმულაციისას, ჰიპოთალამუსის ნოციციკტური ნეირონების გამოწვეული აქტივობა ითრგუნებოდა ცმბ-ის და რბ-ის გაღიზიანებით, ხოლო ის ნეირონები, რომლებიც დათრგუნული იყვნენ მტკივნეული სტიმულაციის გამო, თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების გაღიზიანებისას გადადიოდა ტონური აქტივაციის რეჟიმში.



სურ. 16. ა - სნბ-ის ნოციცეპტური ნეირონის პასუხი მტკივნეულ გაღიზიანებაზე; ბ - ნოციცეპტური პასუხის დათრგუნვა ცმბ-ის წინმსწრები გაღიზიანებით; გ - ცმბ-ის შემცირებული შემაკავებელი ეფექტი ცრნ-ის დაზიანების შემდეგ.


თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების, ჰიპოთალამურ ნოციციტურ ნეირონებზე ანტინოციციტური მოქმედების გზებისა და მექანიზმების გამოსაკვლევად ელექტროლიზურად დაზიანებულ იქნა ცრნ და ნღბ. შემდომში ჩატარებული იყო ნეიროფარმაკოლოგიური ცდები. გამოირკვა, რომ ცმბ-ის გაღიზიანება თრგუნავს ჰიპოთალამუსის უკანა ბირთვის, სუპრაოპტიკური და პარავენტრიკულური ბირთვების ნოციციტური ნეირონების აქტივობას, რომელიც გამოიწვევა სნბ-ის სტიმულაციით. ეს შემაკავებელი გავლენა მნიშვნელოვნად მცირდება ცრნ-ის და ნღბ-ის დაზიანების შემდეგ.

ნალოქსონის, პროპრანოლოლისა და მიანსერინის (სეროტონინის ანტაგონისტი) გამოყენებით დადგინდა, რომ ცმბ-ით, ჰიპოთალამუსის ნოციციტური ნეირონების დათრგუნვა, ხორციელდება სხვადასხვა გზებითა და მექანიზმებით: პირდაპირი გავლენა ადრენერგული ბუნებისაა, რეგულაცია ცრნ-ის საშუალებით – ოპიატური, ხოლო ნღბ-ის საშუალებით – სეროტონინერგული მექანიზმით ხორციელდება.

რბ-ის გაღიზიანებით ითრგუნება ჰიპოთალამუსის ვენტრომედიალური ბირთვი, პროპტიკური ზონა და წინა ლატერალური ზონა.

რბ-ის დამთრგუნველი გავლენა ნაწილობრივად ხორციელდება ცრნ-ის საშუალებით (რადგან ცრნ-ის დაზიანების შემდეგ რბ-ის შემაკავებელი ეფექტი მცირდება), ამ შემთხვევაში მოქმედებს ოპიატური მექანიზმი.

თავის ტვინის ანტინოციცეპტური სტრუქტურების ნეიროქიმიური კავშირები



რბ-ის პირდაპირი, ანტინოციცეპტური გავლენა კი ბამმერგულია, რადგან არ იცვლება ნალოქსონის, მიანსერინისა და პროპრანოლოლის შეყვანის შემდეგ, მაგრამ პიკროტოქსინის გამოყენებით იხსნება.

თავის ტვინის ქერქის კორონარული ხვეულის გამოთიშვის შედეგად (ქლორეთილით გაციების გამო) თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების (ცმბ და რბ) ანტინოციცეპტური ეფექტი მნიშვნელოვნად კლებულობდა. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ბირთვების გავლენა ნაწილობრივ რეალიზდება თალამოკორტიკო-კორტიკოფუგალური პროექციების საშუალებითაც.


თავის ტვინის ანტინოციცეპტური სტრუქტურების დადგენილი ნეიროქიმიური კავშირების სქემა წარმოდგენილია სქემა 1-ზე.

ნოციცეპციის თალამო-კორტიკული რეგულაცია


თავდაპირველად იდენტიფიცირებულ იქნა ნოციცეპტური ნეირონები სომატოსენსორული (II) ქერქიდან (25) და თალამუსის სპეციფიკური ბირთვებიდან (54) (ვაბ, ვპლზ, ვპმბ), რომლებიც გააქტიურებით პასუხობდნენ კბილის პულპისა და თვალბუდის ქვედა ნერვის ზეზღურბლოვან გაღიზიანებაზე. სომატოსენსორული ქერქის 11 ნოციცეპტური და 7 კონვერგენტული ნეირონი, აგზნებით რეაგირებდა თალამუსის უკანა მედიალური ბირთვის გაღიზიანებას. როგორც ქერქიდან (26), ისე თალამუსის არასპეციფიკური ბირთვებიდან (15) აღირიცხა კონვერგენტული ნეირონები, რომლებიც არამტკივნეულ გაღიზიანებაზეც რეაგირებდნენ.

სხვადასხვა ცხოველებზე ჩატარებული ცდებით გამოირკვა, რომ თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების (CMB და რბ) წინმსწრები გალიზიანებით კავდება, სპეციფიკური ბირთვების ნოციციკპტური ნეირონების გამოწვეული აქტივობა, იმ დროს როდესაც კონვერგენტული ნეირონის პასუხი თვალბუდის ქვედა ნერვის არამტკივნეულ გალიზიანებაზე ცვლილებას არ განიცდის. ეს მონაცემები პირდაპირ მიანიშნებს თალამური არასპეციფიკური ბირთვის ანტინოციციკპტურ მოქმედებაზე თალამუსის დონეზე. თალამუსის სპეციფიკური ბირთვების ნეირონების ნოციციკპტური აქტივობა შენარჩუნებული იყო, CBN-ის ელექტროლიზური დაზიანების შემდეგაც, მაგრამ საგრძნობლად კლებულობდა თავის ტვინის ქერქის სენსომოტორული უბნის დროებით ქლორეთილით გაციებისას. თალამური არასპეციფიკური სტრუქტურები, მათი სტიმულაციისას, ერთი მხრივ, პირდაპირი კავშირებით და, მეორე მხრივ, ცნობილი თალამო-კორტიკო-თალამური გზებით [Mountcastle V., Powell T., 1959] თრგუნავენ სპეციფიკური ბირთვების ნეირონებში აღმოცენებულ ნოციციკპტურ აქტივობას.

მაშასადამე, თალამუსში წარმოდგენილია არა მარტო ნოციციკპტური აფერენტაციის მიმღები სტრუქტურები, არამედ ამ წარმონაქმნების ტკივილდამთრგუნველი უბნები (ძირითადად არასპეციფიკურ ბირთვებში), რომელთა ურთიერთობა განაპირობებს თალამუსის დონეზე ნოციციკპტური ინფორმაციის მოდულაციას და არეგულირებს თავის ტვინის ქერქისაკენ მათ გაგზავნას.



სურ. 17. თალამუსის ცენტრომედიალური და რეტიკულური ბირთვების გაღიზიანების გავლენა თალამუსის სპეციფიკური ბირთვების, პარაფასციკულური ბირთვის ნეირონებზე. ა - თალამუსის წინა ვენტრალური ბირთვის ნეირონის პასუხი ნოციცეპტურ გაღიზიანებაზე; ბ - თალამუსის წინა ვენტრალური ბირთვის ნეირონის აქტივობა ცენტრომედიალური ბირთვის (მაკონდიცირებელი) და კბილის პულპის (მატესტირებელი) გაღიზიანების საპასუხოდ; გ - თალამუსის პარაფასციკულური ბირთვის ნოციცეპტური ნეირონის გამოწვეული აქტივობა; დ - პარაფასციკულური ბირთვის ნოციცეპტური ნეირონის აქტივობა თალამუსის რეტიკულური ბირთვის (მაკონდიცირებელი) და კბილის პულპის (მატესტირებელი) გაღიზიანებისას. დრო - 20 მს.



სურ. 18. მეორადი სომატოსენსორული ქერქის, ნოციცეპტური ნეირონის პასუხი, თალამუსის სპეციფიკური ვენტროპოსტერომედიალური და არასპეციფიკური ცენტრომედიალური ბირთვის გალიზიანებაზე ფენტოლამინის შეყვანამდე და შეყვანის შემდეგ. ა - ქერქული ნოციცეპტური ნეირონის პასუხი თალამუსის სპეციფიკური ვპმბ-ს გალიზიანებაზე, ბ - იგივე ნეირონის პასუხი ცმბ-ს (მაკონდიცირებელი) და თალამუსის სპეციფიკური ვპმბ-ს (მატესტირებელი) გალიზიანებაზე, გ - იგივე ნეირონის პასუხი ცმბ-ს (მაკონდიცირებელი) და თალამუსის სპეციფიკური ვპმბ-ს (მატესტირებელი) გალიზიანებაზე ფენტოლამინის შეყვანის შემდეგ. დრო - 20 მს.

თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების (ცმბ და რბ) გაღიზიანებამ მთლიანად შეაკავა სენსომოტორული ქერქის ნოციციკპტური ნეირონების გამოწვეული აქტივობა, აღმოცენებული როგორც პერიფერიული მტკივნეული გაღიზიანების, ისე თალამუსის ვპმბ-ის გაღიზიანების საპასუხოდ. ეს მონაცემები კი გვაფიქრებინებს, რომ თალამუსის არასპეციფიკური ბირთვების ანალგეზიური მოქმედება, ქერქულ ნოციციკპტურ ნეირონებზე, ხორციელდება არა მარტო თალამურ გადამრთავ ნოციციკპტურ გზებზე, არამედ უშუალოდ ქერქულ ნეირონებზე ზემოქმედებით [Labakhua T., Butkhuzi S. et al., 2000].

**მტკივნეული გაღიზიანების აღქმაში მონაწილე ქერქის,
გაზალური ბირთვებისა და მეზენცეფალური წარმონაქმნების
იდენტიფიკაცია**


თავის ტვინის ნოციციკპტურ ქერქულ უბნებში, მტკივნეული გაღი-
ზიანების (ფორმალინის ტესტის) შემდეგ, განვითარებული ციტოლო-
გიური ცვლილებების რაოდენობრივი ანალიზის შედეგები წარმოდ-
გენილია სურ. 19, 20, 21, და 22-ზე. სურათებიდან ჩანს, რომ თავის
ტვინის ქერქის შესწავლილი უბნები და ქერქქვეშა წარმონაქმნები
ინტაქტურ ვირთაგვებშიც განსხვავდება არა მხოლოდ ნეირონების,
არამედ გლიის უჯრედების განაწილების პატერნით. ეს მონაცემები
კიდევ ერთხელ ადასტურებს მკვლევარების უმრავლესობის აზრს
გლიის ზონურ არაერთგვაროვნებაზე მორფოლოგიური, ბიოქიმიური და
ფარმაკოლოგიური თვალსაზრისით [Лазриев И.Л., Костенко Н.А. и др.,
2000; Hashizume H., DeLeo J.A. et al., 2000; Ройтбак А.И., 1993; Лордкипанидзе
Т.Г., Лазриев И.Л. и др., 1991; Garey L.J., Leuba G.A., 1986]. გლიის ზონური
სპეციფიკურობის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან,
თავის ტვინის ფუნქციონირების თეორიის შექმნისა და მისი
დარღვევების მექანიზმების გარკვევისას, ტვინი უნდა განვიხილოთ
როგორც ნეირონო-გლიური სისტემა, და არა მხოლოდ როგორც
ნეირონების ანსამბლი.

ცნობილია, რომ გლიის უჯრედების რეაქცია გამღიზიანებელზე


შენელებულია (ნეირონების რეაქციასთან შედარებით). ამის გათვალისწინებით შერჩეულ იქნა მასალის პოსტინექციური გამოკვლევის ვადები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა შესწავლილ სტრუქტურაში ფორმალინის კანქვეშა ინექცია არ იწვევდა ნეირონთა რაოდენობის ცვლილებას (სურ. 19, 20, 21, 22), გლიის რეაქცია კი სხვადასხვანაირი იყო. თავის ტვინის ყველა უბანში ფორმალინის ინექციიდან 6 საათის შემდეგ, გლიის უჯრედების რიცხვი მხედველობის არეში არ განსხვავდებოდა საკონტროლო მასალის ციფრებიდან. 1, 3 და 7 დღის შემდეგ კი ყველაზე გამოხატული რეაქცია აღინიშნებოდა ცრნ-სა და ფრონტოპარიეტულ ქერქში (შპქ), რაც გამოიხატებოდა მაკროგლიოციტების რიცხვის მატებაში. მათი რიცხვი მაქსიმუმს აღწევდა მე-3 დღეს, მე-7-დღეს კი იგივე დონეზე რჩებოდა. კერძოდ, ცნრ-ში ინექციიდან პირველ დღეს გლიის უჯრედების რაოდენობა 22%-ით იზრდებოდა, მე-3 დღეს – 41%-ით, მე-7 დღეს სხვაობა საწყის დონესთან შედარებით 37% იყო (1 და მე-7 დღეებს შორის სხვაობა არასარწმუნოა). შპქ-ისათვის იგივე მაჩვენებლებია 16%, 26% და 24%, შესაბამისად.


ცნობილია, რომ რაოდენობრივი გამოკვლევებისას გლიის ინდექსის განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ცდომილება მხოლოდ ნეირონების ან მხოლოდ გლიის უჯრედების დათვლისას.




სურ. 19. ქერქის ფრონტოპარიეტული ზონა. ქერქის სვეტებში ნეირონებისა და გლიის უჯრედების რაოდენობა და გლიური ინდექსი ფორმალინის ინექციამდე და ინექციის შემდეგ. * – $p < 0,05$ კონტროლთან შედარებით, ** – $p < 0,01$ კონტროლთან შედარებით.



სურ. 20. ცენტრალური რუხი ნივთიერება. მხედველობის არეში ნეირონებისა და გლიის უჯრედების რაოდენობა და გლიური ინდექსი ფორმალინის ინექციამდე და ინექციის შემდეგ. დანარჩენი აღნიშვნები იგივეა, რაც სურ. 19-ზე.



სურ. 21. ქერქის სარტყლის სვეული. ქერქის სვეტებში ნეირონებისა და გლიის უჯრედების რაოდენობა და გლიური ინდექსი ფორმალინის ინექციამდე და ინექციის შემდეგ. დანარჩენი აღნიშვნები იგივეა, რაც სურ. 19-ზე.



სურ. 22. კუდიანი ბირთვი. მხედველობის არეში ნეირონებისა და გლიის უჯრედების რაოდენობა და გლიური ინდექსი ფორმალინის ინექციამდე და ინექციის შემდეგ. დანარჩენი აღნიშვნები იგივეა, რაც სურ. 19-ზე.

ასეთი ცდომილება წარმოიქმნება მასალის ჰისტოლოგიური დამუშავების პროცესში (ფიქსაცია, დეჰიდრატაცია, პარაფინში ჩამოყალიბება და სხვ.), შეიძლება, განპირობებული იყოს ანათლების სისქის ვარიაბელობით. შესაბამისად, გლიის ინდექსის განსაზღვრით მიღებული მონაცემები უფრო ობიექტურია.

ცრნ-ში გლიის ინდექსი, ინექციიდან პირველ დღეს იზრდებოდა 22%-ით, მე-3 და მე-7 დღეს – 30%-ით, შპქ-ისათვის იგივე მაჩვენებლები იყო 19%, 30% და 30%.

დიდი ჰემისფეროების ქერქის სარტყლის ხვეულში, გლიის უჯრედების რეაქცია უფრო სუსტად იყო გამოხატული, გლიოციტების რიცხვი, მხედველობის არეში, ფორმალინის ინექციის შემდეგ, პირველ დღეს იზრდებოდა 12%-ით, მე-3 დღეს – 17%-ით, მე-7 დღეს – 19%-ით. გლიის ინდექსის მატება შეადგენდა 12%, 19% და 19%, შესაბამისად.

თავის ტვინის შესწავლილი წარმონაქმნებიდან გამონაკლისია კუდიანი ბირთვი (კბ), რადგან ფორმანილის ინექცია არ იწვევს გლიის უჯრედებისა და გლიის ინდექსის სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებას.

თანამედროვე მონაცემებით, თავის ტვინის ასტროციტებსა და მაკროგლიოციტებს შეუძლია მდგრადი ტკივილის სტატუსის შენარჩუნება. პათოგენებით (ვირუსები, ბაქტერიები) და აფერენტული ტერმინალებისა და ტკივილის იმპულსაციის გამტარი ნეირონებით (pain

transmission neurons) გამოყოფილი ნივთიერებები (სუბსტანცია P, აზვ, ბრადიკინინი, ქოლეცისტოკინინი, NO, პროსტაგლანდინები და სხვ.) იწვევს გლიოციტების აქტივაციას.

გლიის უჯრედები, თავის მხრივ, გამოყოფენ შემდეგ ნეიროაქტიურ ნივთიერებს, როგორცაა NO [Saha R.N., Pahan K., 2006], გლუტამატი [Matute C., Domercq M. et al., 2006], ასპარტატი [Rao T.S., Lariosa-Willingham K.D., 2003], ცისტეინი [Reymond I., Almarghini K. et al., 1996], ნერვის ზრდის ფაქტორი (NGF) [Ramer M.S., Kawaja M.D. et al., 1998], სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი (TNF) [Stellwagen D., Malenka R.C., 2006], ინტერლეიკინები (IL-1, IL-6) [Fu D., Guo Q. et al., 2006], ჟანგბადის რეაქტიული ფორმები და სხვ. ეს ნივთიერებები აძლიერებენ ტკივილს აფერენტული ნერვული ბოჭკოებიდან ამაგზნებელი ამინომჟავების, სუბსტანცია P-ს გამოყოფის სტიმულაციით და ტკივილის გამტარი ნეირონების რეაქტულობის გაძლიერებით.

ქრონიკული ტკივილით მიმდინარე პროცესებში, გლიის უჯრედების მონაწილეობის პირველი ექსპერიმენტული დამტკიცება მიღებულ იქნა ზურგის ტვინის შესწავლის დროს [Watkins L.R., Milligan E.D. et al., 2001a; Watkins L.R., Milligan E.D. et al., 2001b].

მტკივნეული გაღიზიანებისას (ფორმალინის ინექციის შედეგად) ზურგის ტვინის ასტროციტებისა და მიკროგლიოციტების რეაქცია აღინიშნება დაახლოებით ინექციიდან 6 საათის შემდეგ, მე-3 დღეს

მიაღწევს მაქსიმუმს და შემდგომში თანდათანობით მცირდება [Fu K-Y., Light A.R. et al., 1999; Sweitzer S.M., Colburn R.W. et al., 1999].

ასე, მაგალითად, ფორმალინის ინექციიდან მე-3 დღეს ზურგის ტვინის მიკროგლიოციტების აქტივობა იზრდება 300%-ით. ჩვენი მონაცემებით კი თავის ტვინის სხვადასხვა წარმონაქმნების გლიოციტების რეაქცია გამოხატულია შედარებით სუსტად.

ეს შეგვიძლია ავხსნათ იმით, რომ პერიფერიული მტკივნეული გაღიზიანებისას, ტკივილის პირველადი დამუშავება და მოდულაცია ხორციელდება ზურგის ტვინში.

თავის ტვინის სხვა შესწავლილ უბნებთან შედარებით ცრნ-ისა და შპქ-ში გლიოციტების უფრო გამოხატული რეაქცია ვითარდება იმის გამო, რომ ეს წარმონაქმნები აქტიურად მონაწილეობენ მტკივნეული იმპულსაციის დამუშავებისა და მოდულაციის პროცესებში.

ნათხემის როლი ნოციცეკატურ პროცესებში

ნათხემის ნოციცეკატური სტრუქტურები

გამომდინარე იქიდან, რომ განრიდების რეაქციისას აქტივირდება მეზენცეფალური რეტიკულური ფორმაციის მხოლოდ ნოციცეკატური ნეირონები [Бутхузи и др., 1985] და ნათხემის ჭიის გარკვეული უბნის გაღიზიანება იწვევს შიშის და განრიდების რეაქციას, ხოლო ნათხემის ჭიის სხვა უბნის ელექტრული სტიმულაცია თრგუნავს განრიდების რეაქციას, გამოწვეულს ნათხემის ან უკანა ჰიპოთალამუსის გაღიზიანებით, ჩავატარეთ სპეციალური კვლევა ტკივილის მექანიზმებში ნათხემის როლის განსაზღვრის მიზნით.


სხვადასხვა მოდალობის პერიფერიული გაღიზიანების საპასუხოდ ნათხემში, ისევე როგორც ცნს-ის სხვა სტრუქტურებში ნანახი იქნა, ორი ტიპის ნეირონები: ნოციცეკატური და კონვერგენტული. კერძოდ, ნოციცეკატური და კონვერგენტული ნეირონების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა (48% და 52%) აღვრიცხეთ ნათხემის ჭიის ნაქში, პირამიდასა და ფასტიგიალურ ბირთვში. ნათხემის სტრუქტურებში საპასუხოდ რეაქცია ტკივილზე, მცირე ფარული პერიოდის შემდეგ (2-6 მს) აღმოცენდებოდა, ხოლო უმტკივნეულო გაღიზიანებაზე 8-20 მს შემდეგ. ეს მონაცემები მიუთითებენ ნათხემის მონაწილეობაზე ნოციცეკატური ინფორმაციის მოდულაციაში.

ცენტრალური რუხი ნივთიერების როლი ნათხემის გაღიზიანებით


გამოწვეული აგრესიული ქცევის რეგულაციაში

პალეოცერებელუმისა და ფასტიგიალური ბირთვის სხვადასხვა პარამეტრებით გაღიზიანებისას, შესაძლებელია არა მხოლოდ გაქცევის, არამედ მთელი რიგი დაყურადების, საორიენტაციო-კვლევიითი, აგრესიულ-თავდაცვითი და ეპილეფსიური რეაქციის გამოწვევა.

ქცევითი რეაქციების მრავალფეროვნების მიუხედავად, ჩვენს ცდებში მოხერხდა პალეოცერებელუმის იმ უბნების განსაზღვრა, რომელთა წერტილოვანი გაღიზიანება გააფთრების რეაქციის განვითარებას იწვევდა. კერძოდ, ნათხემის ჭის კვანძის (nodulus, X წილაკი) და, აგრეთვე, ფასტიგიალური ბირთვის მედიალური უბნის, დაბალი ინტენსივობით ელექტროსტიმულაციისას კატა დებულობდა თავდასხმისათვის მზადყოფნის პოზას, იწყებდა შიშინს, აღინიშნებოდა პილოერექცია, გუგების გაფართოება, გულის რიტმის ცვალებადობა (ბრადი- ან ტაქიკარდია), ჰიპოკამპური თეტა რიტმის სინქრონიზაცია. აღსანიშნავია კვებითი ქცევის შეკავება – მშიერი ცხოველი თავს ანებებდა ჭამას და შორდებოდა საკვებს. გაღიზიანების შეწყვეტისთანავე კატა სწრაფად წყნარდებოდა, გულის რიტმი საწყის მაჩვენებელს უბრუნდებოდა, თეტა რიტმი სწრაფად ითრგუნებოდა. გაღიზიანების ინტენსივობის შემდგომი, უმნიშვნელო მატებით, აგრესია უკვე აქტიურ, როგორც გამიზნულ, ისე უმიზნო თავდასხმაში გამოიხატებოდა.



სურ. X. ნათხემის ანტინოციცეპტური, შიშის, გააფთრებისა და მათი დათრგუნვის უბნები.



სურ. 23. ცრნ-ის საშუალებით პიპოთალამუსის და ნათხემის უბნების გალიზიანებით გამოწვეული აგრესიული ქცევის კონტროლი.



სურ. 24. კატა აგრესიულ მდგომარეობაში.

კატას შეეძლო თავს დასხდომოდა კაბინაში მეოფ სხვა ცხოველს, ან საერთოდ არ მიექცია ყურადღება მეორე ცხოველისთვის და გაშმაგებით გადამხტარიყო წინ. გუგები ძლიერ გაფართოებული იყო, თვალები უბრწყინავდა, კლანჭები გამოწეული ჰქონდა. ამ დროს ჰიპოკამპში აღინიშნებოდა რეგულარული თეტა რიტმის ამპლიტუდის ხანგრძლივი, სტაბილური ზრდა, ხოლო თავის ტვინის ახალ ქერქში – დესინქრონიზაცია. გულისცემა მკვეთრად გახშირებული იყო. გალიზიანების შეწყვეტისთანავე, თავდასხმის აგრესიული რეაქცია წყდებოდა, ცხოველი მშვიდდებოდა ან შეშინებული კუთხეში, კაბინის კედელთან იყუჩებოდა.

გააფთრების, აგრესიის ემოციური რეაქციის განვითარებაში თავის ტვინის მთელი რიგი სტრუქტურები მონაწილეობს. ექსპერიმენტებით ნაჩვენებია, რომ ჰიპოთალამუსის ვენტრომედიალური ბირთვის, ნუშისებრი ბირთვის, სეპტუმის, ჰიპოკამპის, თალამუსის დორსომედიალური ბირთვისა და ცრნ-ის სტიმულაციით შესაძლებელია აგრესიის ემოციური რეაქციის გამოწვევა და/ან მისი დათრგუნვა [Parsey R., Oquendo M.A. et al., 2002; Kriegsfeld L., Eliasson M.K. et al., 1999; Russo Neustadt A., Cotman C.W., 1997; Копели А.Г., 1989; Spillantini M.G., Aloe L. et al., 1989]. ამ სტრუქტურათა შორის, ჰიპოთალამუსის ვენტრომედიალურ ბირვთან ერთად, წამყვან როლს ცრნ-ს მიაკუთვნებენ. ნაჩვენებია, რომ ცრნ-ის დაზიანების შემდეგ ჰიპოთალამუსის

ვენტრომედიალური ბირთვის გაღიზიანებით აგრესიული ქცევა აღარ გამოიწვევა [Spillantini M.G., Aloe L. et al., 1989; Ониани Т.Н., 1980].

ჩვენს ცდებში ჰიპოთალამუსის ვენტრომედიალური ბირთვის დაბალი ინტენსივობით გაღიზიანებისას, გამოვიწვიეთ გააფთრების რეაქციისათვის დამახასიათებელი საწყისი მდგომარეობა – თავდასხმისათვის მზადების იმიტაცია, რის შემდეგაც, ამ სტიმულაციის ფონზე, დაბალი ინტენსივობით გავაღიზიანეთ ნათხემის ჭიის კვანძი (რომლის იზოლირებული გაღიზიანება ქცევით მოქმედებას არ იწვევდა); კატებმა დაიწყეს შიშინი, აგრესიულად ხტებოდნენ წინ, თავს ესხმოდნენ “მეტოქეს” (რეალურს ან წარმოსახვითს). პრაქტიკულად მშვიდ მდგომარეობაში მყოფი კატების ჰიპოთალამუსის ვენტრომედიალური ბირთვის “ქვეზღურბლოვანი” სტიმულაციის ფონზე, ნათხემის ჭიის კვანძის სუსტმა გაღიზიანებამ მათში გამოხატული აგრესიული რეაქცია გამოიწვია. საინტერესოა, რომ საკმარისი იყო ერთ-ერთი გაღიზიანების გამორთვა, რომ ცხოველები მაშინვე წყნარდებოდნენ და მშვიდად წვებოდნენ. ასეთი ცდები მიუთითებს, აგრესიული ემოციური ქცევის გამოწვევაში, ნათხემისა და ჰიპოთალამური სტრუქტურების შეუღლებულ მოქმედებაზე.

ნათხემის “ემოციოგენური” უბნების პარალელურად, ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა ნათხემის უბნები, რომელთა მეშვეობით ითრგუნებოდა ან საგრძნობლად მცირდებოდა გამოწვეული აგრესიული


რეაქცია. კერძოდ, ნათხემის პირამიდისა (VIII წილაკი) და პარამედიაანური წილაკის სტიმულაციით ადვილად ითრგუნებოდა ჰიპოთალამუსის, ნათხემისა და თავის ტვინის სხვა “ემოციოგენური” სტრუქტურების გაღიზიანებით გამოწვეული გააფთრების ემოციური რეაქცია. საკმარისი იყო ნათხემის “ანტიემოციური” უბნების გაღიზიანების შეწყვეტა, რომ ემოციური უბნების გაღიზიანების პირობებში აგრესიული ქცევისათვის დამახასიათებელი ყველა კორელატი ვლინდებოდა, თავდაპირველი ინტენსივობით.

ესე იგი, პალეოცერებელუმის სტრუქტურები (ჭიის კვანძი, ფასტიგიალური ბირთვი, პირამიდა, პარამედიაანური წილაკი) შეიძლება ჩართულ იქნას თავის ტვინის იმ სტრუქტურათა კომპლექსში, რომლებიც ინტეგრირებულად ახორციელებენ ცხოველთა აგრესიული ქცევის წარმოქმნას, მიმდინარეობასა და რეგულირებას.

ცდების შემდგომ სერიაში მოვახდინეთ ცრნ-ის მედიალური უბნის ელექტროლიზური დაზიანება. რამდენიმე დღის შემდეგ ვცადეთ ნათხემის “აგრესიის” უბნების სტიმულაცია ისეთი ინტენსივობით, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოხატულ აგრესიულ რეაქციას იწვევდა. ამჯერად, აგრესიული რეაქციის გამოწვევა ვერ მოხერხდა: ცხოველი ან თვლემდა ან უმოძრაოდ იწვა ღია თვალებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ნათხემის უბნების სტიმულაციით განპირობებული აგრესიული მოქმედება ხორციელდება ცრნ-ის საშუალებით.

ჩატარებული ექსპერიმენტებისა და არსებული მონაცემების [Parsey R., Oquendo M.A. et al., 2002; Russo Neustadt A., Cotman C.W., 1997; Husain R., Adhami V.M. et al., 1996; Muñoz Blanco J., Porras Castillo A., 1987] საფუძველზე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ნათხემის “აგრესიული” უბნების (ჭიის კვანძი, ფასტიგიალური ბირთვი) აღმავალი ბოჭკოები, ჰიპოთალამუსის ვენტრომედიალურ აფერენტებთან ერთად, მთავრდებიან აგრესიის რეაქციის მთავარ მარეგულირებელ წარმონაქმნში – ორნ-ში, სადაც ინტეგრირდება მოსული იმპულსაცია და, აქედან გამოსული ინფორმაციით, ხორციელდება აღწერილი აგრესიის ემოციური რეაქცია.

ორნ აგრეთვე არის ანტინოციცეპციის ერთ-ერთი წამყვანი მარეგულირებელი ორგანო. აგრესიული ქცევისა და ნოციცეპციის პროცესების ერთი და იგივე ცენტრიდან კონტროლი სასარგებლო მექანიზმად მიგვაჩნია, რადგან აგრესიის დროს ორგანიზმის შესაძლებელი დაზიანების შედეგად აღმოცენებულმა ჭარბმა ნოციცეპტურმა იმპულსაციამ, შესაძლოა ხელი შეუშალოს აგრესიული ქცევის მიზნების მიღწევას. ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების ერთ-ერთ სერიაში ეს ვარაუდი დადასტურდა ორნ-ის ნოციცეპტური (მხოლოდ ნოციცეპტური) ნეირონების აღმოჩენით, რომელთა აქტივობა იცვლებოდა (ითრგუნებოდა) ნათხემის სხვადასხვა სტრუქტურების გაღიზიანებით (სურ. 25).



სურ. 25. ნათხემის გაღიზიანების გავლენა ცრნ-ის ნოციცეპტურ ნეირონზე. 1 – ცრნ-ის ნეირონის პასუხი მტკივნეულ გაღიზიანებაზე, 2 და 3 – ცრნ-ის ნეირონის ნოციცეპტურ სტიმულაციაზე პასუხის დათრგუნვა ნათხემის ბორცვისა და პირამიდის მაკონდიცირებელ გაღიზიანებზე. დრო - 40 მს.

აგრესიისა და ნოციციკლების დარღვევები აღინიშნებოდა თავგებში ერთ-ერთი გენის მუტაციის დროს [De Felipe C., Herrero J.F., 1998]. ადამიანებში აღწერილია კლინიკური შემთხვევები, როდესაც ტკივილის შეუგრძნობელობა შერწყმული იყო თვითაგრესიასთან [Emad Y., El Yasaki A. et al., 2006]. დადგინდა ტკივილისადმი დაბალი მგრძნობელობისა და სტაბილური აგრესიულობის კავშირი ბავშვებში [Seguin J.R., Pihl R.O. et al., 1996]. ჩვენი ელექტროფიზიოლოგიური ექსპერიმენტების შედეგები ადასტურებენ აღნიშნულ კონცეპციას და მიუთითებენ აგრესიისა და ანტინოციციკლების ერთ-ერთ შესაძლებელ მაკონტროლებელ ცენტრზე.

სეროტონინის მოქმედება ტესტოსტერონით გამოწვეული აგრესიის დროს

ცნობილია, რომ აგრესიის დროს ორგანიზმში ვითარდება ბიოქიმიური ცვლილებები, რაც განპირობებულია ბიოგენური ამინების, მედიატორული ამინომჟავებისა და სხვა მედიატორების (მათ შორის სეროტონის) დონის ცვალებადობით [Tamaki T., Shiraishi T. et al., 2003; Николайшвили М.И., 1998; Blanchard D.J., Sakai R.R. et al., 1998; Надарейшвили К.Ш., Иорданишвили Г.С. и др., 1991]. სეროტონინი მონაწილეობს ანტინოციციკტური სტრუქტურების ნეიროქიმიური ურთიერთკავშირების ფუნქციონირებაში. ამავე დროს ცრნ-ის, დადგენილი აგრესიის

მაკონტროლებელი გავლენიდან გამომდინარე, საინტერესოდ ჩავთვალეთ სეროტონინის გავლენის შესწავლა ბუნებით აგრესიულ და არააგრესიულ, კასტრაციის შედეგად აგრესიადაკარგულ და ტესტოსტერონის გავლენით გააგრესიულებულ ვირთაგვებში.

ცდების პირველ სერიაში 6-დან 5 ვირთაგვას, რომლებიც არააგრესიული გახდნენ კასტრაციის შემდეგ, კასტრაციიდან მე-2 დღეს, ტესტოსტერონის შეყვანის შემდეგ, “ღია ველში” აღენიშნათ აგრესიის გამოსატული ეტოლოგიური ნიშნები. ინექციიდან 48 ± 12 საათის შემდეგ ცხოველების ქცევა საწყის (კასტრაციამდელ) მაჩვენებელს დაუბრუნდა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურებულ იქნა ტესტოსტერონის როლი აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებაში. ცდების მეორე სერიაში 6 ჰორმონდამოკიდებულ და 6 ბუნებით აგრესიულ ვირთაგვაში ინტრავენურად შეყვანილ იქნა 5-ოქსიტრიპტოფანის ხსნარი. შეყვანიდან 10-20 წუთის შემდეგ ცხოველების აგრესია მოიხსნა. პირველადი აგრესიული ეტოლოგიური მაჩვენებლები აღდგა $6,5 \pm 2,2$ საათში. საყურადღებოა, რომ 6 აგრესიულ ვირთაგვაში, რომელთაც ადრე შეყვანილი ჰქონდათ 5-ოქსიტრიპტოფანი, ტესტოსტერონი არ იწვევდა აგრესიულ ქცევას.

ტესტოსტერონისა და ნორადრენალინის ურთიერთკავშირზე აგრესიული ქცევის რეალიზაციის დროს მიუთითებს შემდეგი მონაცემები.

6 ბუნებით არააგრესიულ და 6 კასტრაციის შემდეგ აგრესიად-
კარგულ ვირთაგვებში ნორადრენალინის ინტრავენტრიკულური შეყვანა
20-30 წუთის შემდეგ იწვევდა აგრესიისთვის დამახასიათებელ ნიშნებს,
ეფექტი აღინიშნებოდა $8,4 \pm 2,3$ საათის განმავლობაში. ცდების ბოლო
სერიაში როგორც ბუნებით აგრესიულ (6), ასევე ჰორმონდამოკიდებულ
(6) ცხოველებში, პროპრანოლოლის (ადრენობლოკატორის) ინტრა-
ვენური შეყვანის შემდეგ აგრესია მოიხსნა $6,4 \pm 2,4$ საათით.
ვირთაგვები არააგრესიული გახდნენ, რაც დადასტურებულ იქნა
ეტოლოგიური მაჩვენებლებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა საკონტროლო ცხოველს ფიზიო-
ლოგიური ხსნარის შეყვანის შემდეგ აღვნიშნებოდა ქცევის უმნიშ-
ვნელო ცვლილებები, მაგრამ თავისი ჯგუფის ნორმის ფარგლებში.

ნეიროქიმიური გამოკვლევები მოწმობს, რომ სხვადასხვა ფარმა-
კოლოგიური პრეპარატებით (პარაქლორფენილალანინი, ფენამინი, პი-
ლოკარპინი) გამოწვეული აგრესიულობის დროს თავის ტვინის
სხვადასხვა სტრუქტურებში (ამიგდალა, ჰიპოკამპი, ჰიპოთალამუსი,
ენოსვითი ბოლქვები) აღინიშნება სეროტონინის კონცენტრაციის
დაქვეითება. ამასთან ერთად, იზრდება შეფარდება ნორადრენალინი /
სეროტონინი, რის გამოც ამაგზნებელი ამინომჟავები (ასპარტატი,
გლუტამატი) სჭარბობენ შემაკავებელ ამინომჟავებს (ასპარაგინი,
გლუტამინი, ბაჰმ, გლიცინი) [Kindlundh A.M., Lindblom J. et al., 2003;

Grimes J.M., Melloni R.H. Jr., 2002; Lindqvist A.S., Johansson-Steensland P. et al., 2002; Микиашвили Н.А., Гогоадзе Р.П. et al., 1995; Надарейшвили К.Ш., Иорданишвили Г.С. и др., 1991].

როგორც არააგრესიული, ასევე ექსპერიმენტულ პირობებში აგრესიადაკარგული ვირთაგვების თავის ტვინის სტრუქტურებში ჭარბობს შეკავების პროცესები. ეს დასტურდება შემდეგ ნივთიერებათა შეფარდებების შემცირებით: ამიაკი / გლუტამატი, გლუტამინის მჟავა / გლუტამატი, გლუტამინის მჟავა / ბაჰმ, ნორადრენალინი / სეროტონინი [Tamaki T., Shiraishi T. et al., 2003; Николайшвили М.И., 1998; Blanchard D.J., Sakai R.R. et al., 1998; Микиашвили Н.А., Гогоадзе Р.П. и др., 1995; Надарейшвили К.Ш., Иорданишвили Г.С. и др., 1991; Valzelli L., 1982].

ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებისას ტესტოსტერონი მონაწილეობს ბიოგენური ამინებისა და მედიატორული ამინომჟავების ცვლაში. ტესტოსტერონის ნორადრენალინზე გავლენაზე მიუთითებს ჩვენი ექსპერიმენტები, რომლებშიც ჰორმონდამოკიდებულ ვირთაგვებში ადრენობლოკატორის, პროპრანოლოლის შეყვანა ხსნის ცხოველების აგრესიას.

5-ოქსიტრიპტოფანის ინექციის ფონზე ტესტოსტერონით დავთვითვა არ იწვევს არააგრესიული ვირთაგვების გააგრესიულებას, ამ ნივთიერების შეყვანა კი ბუნებით აგრესიულ ცხოველებში და ცხოველებში, რომლებიც აგრესიული გახდნენ პარაკლორფენილა-

ნინისა და ტესტოსტერონის გავლენით, აბლოკირებს აგრესიის ქცევით გამოვლინებებს. ეს ფაქტი ძალზე საინტერესოა, რადგან, ერთი მხრივ, სეროტონინი ანტინოციცეპტური სისტემის ერთ-ერთი მედიატორია, და მეორე მხრივ, ტესტოსტერონის გამოყენებით იზრდება მტკივნეული გაღიზიანების ზღურბლი [Barkaia Lela, Barkaia Lali et al., 1998], ანუ გამოიწვევა ანტინოციცეპტური სისტემის მექანიზმების აქტივაცია.

ფარმაკოლოგიური ანტინოციცეპციის მექანიზმები

კეტამინის ანტინოციცეპტური ეფექტი


ფორმალინის ინექცია, ვირთაგვის უკანა კიდურში მტკივნეული გაღიზიანების გამო, იწვევდა ქცევის ორფაზიან რეაქციას, თათის შეკუმშვის სახით. ფორმალინის ტესტამდე, 90 წუთით ადრე, 30 მგ/კგ დოზით შეყვანილი კეტამინი, ტკივილის ქცევით გამოვლენაზე არსებით ზეგავლენას არ ახდენდა, რეაქციის როგორც პირველ, ასევე მეორე ფაზაში. მაგრამ მისი მაღალი დოზის (150 მგ/კგ) გამოყენებით თათის შეკუმშვათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა მტკივნეული რეაქციის ორივე ფაზაში (სურ. 26). ცრნ-ში, სარტყელის ხვეულში (სხ), კბ-სა და ქერქის თხემის წილში (ძოწ), ადგილობრივი სისხლის ნაკადის გაზომვის მონაცემები, ექსპერიმენტის ყველა ეტაპზე და ცხოველების ყველა ჯგუფში მოყვანილია ცხრილ 5-ში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფიზიოლოგიური ხსნარი არ იწვევდა ასნ-ის სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებს არც ერთ შესწავლილ ტვინის სტრუქტურაში. კეტამინის შეყვანის ფონზე თავის ტვინში აღინიშნებოდა ასნ-ის დონის ორფაზიანი რეაქცია. პირველივე წუთზე თავის ტვინის ყველა შესწავლილ სტრუქტურაში რეგისტრირდებოდა ასნ-ის მკვეთრი შემცირება, მე-10 წუთამდე – ნაწილობრივი კომპენსაცია, შემდეგ კი ასნ-ის დონე ყველა წარმონაქმნში იზრდებოდა, თუმცა სხვადასხვა ხარისხით. კერძოდ, კეტამინის მცირე

დოზით შეყვანის შემდეგ ერთ წუთში ასნ შემცირდა ცრნ-ში 25%-ით, სხ-ში – 22%-ით, კბ-ში – 28%-ით და ძმწ-ში – 34%-ით. სხვაობა საწყის მონაცემებთან შედარებით ყველა შემთხვევაში იყო სარწმუნო ($p < 0,01$).

10 წუთის შემდეგ იგივე სტრუქტურებში სხვაობა შეადგენდა 14%, 11%, 13% და 9%-ს, შესაბამისად. კეტამინის მაღალი დოზის (150 მგ/კგ) შედეგად 1 წუთში ასნ შემცირდა ცრნ-ში 46%-ით, სხ-ში – 49%-ით, კბ-ში – 43%-ით და ძმწ-ში – 45%-ით. ამ შემთხვევაშიც მონაცემები სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდებოდნენ საწყისი მაჩვენებლებისაგან ($p < 0,01$). 10 წუთის შემდეგ ასნ-ის დონე ნორმასთან შედარებით შემცირებული იყო 24%, 30%, 22% და 23%-ით, შესაბამისად. ცხოველების საკონტროლო ჯგუფებში ფორმალინის ტესტის ჩატარებისას ასნ-ის მომატება ინექციიდან მე-2 წუთზე სარწმუნო იყო მხოლოდ ძმწ-ში ($p < 0,05$), 75-ე წუთზე – ცრნ-ში ($p < 0,01$) და ძმწ-ში ($p < 0,01$). სხვა სტრუქტურებში ასნ-ის ცვლილება აღინიშნებოდა, მაგრამ სარწმუნო არ იყო.

ფორმალინის ტესტამდე 90 წუთით ადრე სხვადასხვა დოზით შეყვანილი კეტამინის ფონზე, ფორმალინის ინექციიდან 2 წუთის შემდეგ, საცდელი ჯგუფების ვირთაგვების თავის ტვინის ყველა სტრუქტურაში აღინიშნებოდა ასნ-ის მატების ტენდენცია, მაგრამ სტატისტიკურად სარწმუნო მაჩვენებლები დაფიქსირდა მხოლოდ ძმწ-ში, იმ ცხოველებში, რომლებმაც მიიღეს კეტამინის მაღალი დოზა.



სურ. 26. თათის კრუნჩხვათა რაოდენობა 0,05 მლ 2,5%-იანი ფორმალინის ხსნარის ინექციის შემდეგ, 90 წუთით ადრე ფიზიოლოგიური ხსნარის ან კეტამინის (30 ან 150 მგ/კგ) per os შეყვანის (0,5 მლ / 100 გ) ფონზე.

კეტიამინის გავლენა თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურების

ადგილობრივ სისხლის ნაკადზე (მლ/100 გ/წთ)*

თავის ტვინის სტრუქტურა	ასნ-ის საწყისი დონე	შეყვანილი ნივთიერება	ასნ-ის დონე ნივთიერების შეყვანის შემდეგ		ასნ-ის დონე ფორმალინის ტესტის შემდეგ	
			1 წუთში	10 წუთში	2 წუთში	75 წუთში
ცენტრალური რუხი ნივთიერება	68 ± 5,3	ფიზ. ხსნარი (n = 6)	66 ± 6,8	70 ± 4,9	74 ± 6,1	110 ± 7,2
		კეტიამინი 30 მგ/კგ (n = 6)	51 ± 4,4	59 ± 5,5	62 ± 6,6	98 ± 7,6
		კეტიამინი 150 მგ/კგ (n = 6)	37 ± 3,3	52 ± 4,1	60 ± 7,2	95 ± 6,9
სარტყლის ხვეული	78 ± 6,1	ფიზ. ხსნარი (n = 6)	75 ± 6,5	77 ± 5,2	88 ± 6,1	85 ± 5,3
		კეტიამინი 30 მგ/კგ (n = 6)	61 ± 5,1	70 ± 6,3	75 ± 5,9	81 ± 7,7
		კეტიამინი 150 მგ/კგ (n = 6)	40 ± 5,2	55 ± 5,7	62 ± 5,5	66 ± 7,1
კუდიანი ბირთვი	73 ± 4,2	ფიზ. ხსნარი (n = 6)	70 ± 4,6	71 ± 5,8	76 ± 4,8	84 ± 5,5
		კეტიამინი 30 მგ/კგ (n = 6)	53 ± 5,0	64 ± 5,7	70 ± 6,6	77 ± 6,8
		კეტიამინი 150 მგ/კგ (n = 6)	42 ± 4,6	57 ± 6,2	64 ± 6,5	69 ± 6,6
ქერქის თხემის წილი	90 ± 3,4	ფიზ. ხსნარი (n = 6)	92 ± 6,3	91 ± 5,1	120 ± 7,8	140 ± 8,2
		კეტიამინი 30 მგ/კგ (n = 6)	60 ± 4,9	82 ± 6,2	88 ± 5,7	101 ± 6,5
		კეტიამინი 150 მგ/კგ (n = 6)	50 ± 6,6	70 ± 5,6	100 ± 8,2	110 ± 7,8

* გაზომვები ხორციელდებოდა კონტრალატერალურ მხარეს, კეტიამინის ან ფიზიოლოგიური ხსნარის შეყვანისა და ფორმალინის ტესტის ჩატარების შემდეგ.

ფორმალინის ინექციიდან 75-ე წუთზე ასნ-ის სარწმუნო მატება დაფიქსირდა ცრნ-ში ($p < 0,001$) და ძმწ-ში ($p < 0,01$), კეტამინის ორივე დოზის გამოყენებით. ყველა სხვა შემთხვევაში ასნ-ის მატების ტენდენცია სარწმუნო არ იყო.

ფორმალინის ტესტიდან მე-2 და 75-ე წუთზე მიღებულ ასნ-ის მონაცემებს შორის სხვაობა კეტამინის ორივე დოზისთვის სარწმუნო აღმოჩნდა მხოლოდ ცრნ-ისათვის ($p < 0,01$).

ქირურგიული ოპერაცია, როგორც წესი, იწვევს ორფაზიან მტკივნეულ სტიმულაციას. ოპერაციის პროცესში ქსოვილების ტრავმატიზაციის გამო, აღმოცენდება მტკივნეული ნოციციკპტური იმპულსები. ოპერაციის შემდეგ კი დაზიანებულ ქსოვილებში ვითარდება ანთებითი პროცესი, რომელიც ასევე გენერირებს მტკივნეულ იმპულსებს. ორივე ეს პროცესი იწვევს ტკივილის გამტარი გზების სენსიტიზაციას. ეს ხდება როგორც პერიფერიის დონეზე, სადაც ვითარდება ნოციციკპტორების აგზნებადობის ზღურბლის შემცირება, ასევე ცენტრალურ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს ტკივილის იმპულსების გატარებაში მონაწილე ზურგის ტვინის ნეირონთა აგზნებადობის გაზრდას.

ტკივილის მექანიზმების დასადგენად წარმოებულ გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ პროცესების შესწავლას, რომლებიც მოქმედებენ ზურგის ტვინის უკანა რქების დონეზე. ცნობილია, რომ ქსოვილების ტრავმატიზაციისას აღინიშნება გაძლიერებ-

ული პასუხი ნორმალურ, უვნებელ მექანიკურ გამაღიზიანებლებზე (ალოდინია), რის გამოც უშუალოდ დაზიანების ადგილის გარემომცველ დაზიანებულ ქსოვილში ჩამოყალიბდება მეორადი ჰიპერალგეზიის ზონა [Iadarola M., Berman K. et al., 1998]. ითვლება, რომ მოცემული ცვლილებები არის იმ პროცესების შედეგი, რომლებიც ხორციელდება ზურგის ტვინის უკანა რქებში, ქსოვილების დაზიანების საპასუხოდ. ეს ფენომენი (ცენტრალური სენსიტიზაცია) აკონტროლებს უკანა რქებში მიმდინარე სხვა პროცესებსაც. კერძოდ, აღინიშნება ნეირონების რეცეპტორული ველის გაფართოება. ზურგის ტვინის ნეირონი უკვე პასუხობს იმ ნოციციტურ სტიმულებზე, რომლებიც ნორმალურ პირობებში მისი “კომპეტენციის” ზონაში არ იყო.მატულობს ნეირონის პასუხის ინტენსივობა და ხანგრძლივობა ზედღურბლოვან გამაღიზიანებლებზე. მცირდება აგზნებადობის ზღურბლი, და გამაღიზიანებლები, რომლებიც ბუნებრივად არ აღიქმება როგორც მტკივნეული, იწვევენ ნოციციტური ნეირონების აქტივაციას.

ამ ცვლილებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც მწვავე ტკივილის (მაგალითად, ოპერაციისშემდგომი ტკივილი), ასევე ქრონიკული ტკივილის დროს. ფარმაკოლოგიური ექსპერიმენტებით იდენტიფიცირებულ იქნა ბევრი ნეიროტრანსმიტერი და ნეირომოდულატორი, რომლებიც მონაწილეობენ უკანა რქებში მიმდინარე მტკივნეულ გაღიზიანებასთან დაკავშირებულ პროცესებში. ზოგ

ნაშრომში ნახვენებია NMDA რეცეპტორებზე მოქმედი ამაგზნებელი ამინომჟავების როლი ცენტრალური სენსიტიზაციის, ნეირონთა პერიფერიული რეცეპტორული ველის გაფართოებასა და ზურგის ტვინის ნეირონების აქტივობის გაძლიერებაში. NMDA რეცეპტორის აქტივაციის გამო უჯრედში, კალციუმის იონების შესვლის შედეგად წარმოიქმნება NO. ამიტომ NMDA რეცეპტორის აქტივაციასთან დაკავშირებული პროცესები შეიძლება ნაწილობრივად განპირობებული იყოს აზოტის ოქსიდის ეფექტებით.

კეტამინი (NMDA რეცეპტორების არაკონკურენტული ანტაგონისტი) მოქმედებს ფენილციკლიდინის რეცეპტორზე, რომელიც წარმოადგენს N-მეთილ-D-ასპარტატის (NMDA) კომპლექსის ნაწილს. კეტამინის მოქმედება მუსკარინის რეცეპტორებზე შესწავლილ იქნა დურექსის მიერ [Durieux M., 1995] იმ პირობებში, როდესაც დაცული იყო კეტამინის თერაპიული კონცენტრაცია პლაზმაში. პრეპარატი აბლოკირებს M1 რეცეპტორებით სიგნალების გატარებას. მაგრამ საეჭვოა, რომ მისი ანალგეზიური თვისებები ანტიქოლინერგული ეფექტით იყო განპირობებული, რადგან ანტინოციციკტური ეფექტი გამოიწვევა, ზურგის ტვინში მუსკარინის რეცეპტორებით სიგნალების გატარების სტიმულაციისას და არა ინჰიბირების დროს.

ადამიანებში ჩატარებულმა გამოკვლევამ [Arendt-Nielsen I., Petersen-Felix S. et al., 1995] გვიჩვენა, რომ კეტამინს მნიშვნელოვანი ჰიპო-

ალგეზიური ეფექტი გააჩნია მაღალი ინტენსივობის მექანიკური და ელექტრული ნოციცეპტური გაღიზიანების დროს.

კეტამინი არის არაკონკურენტული ანტაგონისტი, რომელიც აბლოკირებს NMDA რეცეპტორთან დაკავშირებულ იონურ არხს და მოქმედებას იწყებს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც არხი იხსნება პირველადი ნოციცეპტური ფაქტორით. ზემოხსენებული მექანიზმით შეიძლება ავსნათ კეტამინის სუსტი ანალგეზიური ეფექტი მწვავე და ფაზური ტკივილის დროს (სურ. 26), ასევე ცენტრალური ნეირონების ჰიპერაგზნებადობის მნიშვნელოვანი შემცირებით და ზურგის ტვინის უკანა რქების ნეირონების აგზნებადობის მატების შეკავებით.

ჩვენს ექსპერიმენტებში, კეტამინის ეფექტი, ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მტკივნეული რეაქციის მეორე ფაზაში. ცნობილია, რომ ანთებითი პასუხის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ანთებით პროცესში ჩართული დაზიანებული უჯრედებიდან (მაკროფაგები, ლიმფოციტები) ციტოზოლის კომპონენტების უჯრედგარეთა სივრცეში გასვლა. ნოციცეპტური სტიმულაციით ნეიროგენული ანთებითი პასუხიც გამოიწვევა, რომელსაც თან ახლავს ვაზოდილატაცია და პლაზმის ცილების გადასვლა ინტერსტიციაში. უჯრედებიდან გამოიყოფა მთელი რიგი ანთების მედიატორები, როგორცაა: სეროტონინი, ბრადიკინინი, სუბსტანცია P, ჰისტამინი, არაქიდონის მჟავის მეტაბოლიზმის ციკლო-ოქსიგენაზური და ლიპოოქსიგენაზური გზების პროდუქტები და სხვ.

პერიფერიული სენსიტიზაციის აღნიშნული მოვლენები ვითარდება ქსოვილის დაზიანების შედეგად, რომელიც ხასიათდება გაძლიერებული პასუხით ქსოვილის დესტრუქციის ადგილიდან გამომდინარე ნოციციტურ სტიმულებზე. პერიფერიული სენსიტიზაციის ფენომენის ეფექტის შემცირებისათვის საჭიროა ზემოაღნიშნული ქიმიური მედიატორების აქტივობის დათრგუნვა. ასეთი მექანიზმით მოქმედებს მთელი რიგი ფარმაკოლოგიური პრეპარატებისა, როგორცაა არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, ოპიოიდები, ადგილობრივი ანესთეტიკები და სხვ. ცნობილია, რომ ანთებით განპირობებული პერიფერიული ტკივილის მდგომარეობა გავლენას ახდენს ჰემატოენცეფალური ბარიერის როგორც ფუნქციურ, ასევე მოლეკულურ მახასიათებლებზე [Huber J.D., Witt K.A. et al., 2001] და ზრდის მის შეღწევადობას. ამ ფაქტის გათვალისწინებით ჩვენს მიერ დარეგისტრირებული კეტამინის შეყვანით გამოწვეული თავის ტვინის ასნ-ის ცვლილება ძალზე მნიშვნელოვანი ფენომენია. გარდა არასტეროიდული ანალგეტიკისა და NMDA რეცეპტორის ბლოკატორის სხვა აღნიშნული თვისებებისა, კეტამინი იწვევს ასნ-ის დონის ორფაზიან ცვლილებას ტვინის სხვადასხვა სტრუქტურებში. როგორც ჩვენმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, კეტამინის შეყვანიდან პირველივე წუთზე ასნ შემცირდა 22-34%-ით პრეპარატის დაბალი დოზით, ხოლო 43-49%-ით – პრეპარატის მაღალი დოზით გამოყენებისას.

მე-10 წუთზე აღინიშნებოდა კეტამინის ეფექტის ნაწილობრივი კომპენსაცია, დაბალი დოზის შემთხვევაში ასნ-ის სტაბილიზაცია ხდება 9-14%-ის დონეზე, მაღალი დოზის შემთხვევაში – 22-23%-ის დონეზე. კეტამინით გამოწვეული ასნ-ის ბიფაზური ეფექტი შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ მისი საწყისი მკვეთრი დაქვეითებით, არსებითად მცირდება პრეპარატის ტრანსპორტირება თავის ტვინში, რის გამო ნაწილობრივად აღდგება ასნ-ის დონე.

დარღვეული ჰემატოენცეფალური ბარიერის პირობებში ასნ-ის შემცირება ცერებროპროტექტორულ როლს თამაშობს. უნდა აღვნიშნოთ, რომ კეტამინის თუნდაც სუბანესთეტიკური დოზა (10 მგ/კგ), რომელიც ცვლის ასნ-ის დონეს, ამასთან ერთად მკვეთრად, 42%-მდე, ზრდის ჟანგბადის მოხმარებას [Bjurkman S., Akesson J. et al., 1992]. აქედან გამომდინარე, სისხლის მომარაგების შემცირება არ იწვევს ჰიპოქსიურ მოვლენებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხოველის თათში ფორმალინის კანკეშა ინექცია იწვევს გლუტამატისა და ასპარტატის გამოთავისუფლებას დორსალურ რქებში [Skilling S.R., Smulli D. et al., 1988]. ნორმალურ ფიზიოლოგიურ პირობებში გლუტამატის დონე ერთი და იგივე დონეზე რჩება, მაგრამ პათოლოგიურ მდგომარეობებში მნიშვნელოვნად იზრდება, რაც განაპირობებს უჯრედული დარღვევების მთელი სპექტრის განვითარებას [Квривишвили Г.Г., Митагвария Н.П., 1999; Regan R.F., Choi

D.W., 1991; Choi D.W., 1989]. საფუძვლიანია მოსაზრება, რომ გლუტამატით განპირობებული ნეიროტოქსიურობა შესაძლოა განხორციელდეს აზოტის ოქსიდით [Garthwaite J., 1991]. სხვა მხრივ, გამოთქმულ იქნა ჰიპოთეზა გლუტამატის ნეიროპროტექტორული როლის შესახებ, რომელიც მდგომარეობს NMDA რეცეპტორების შესაძლებელ ინჰიბიციციაში, მათი აქტივობის დაქვეითებაში და NMDA რეცეპტორებზე NO-ს პირდაპირი გავლენით ნეიროტოქსიურობის შემცირებაში [Jantzen J., 1994]. ამ ასპექტში კეტამინის, როგორც NMDA რეცეპტორების არაკონკურენტული ბლოკატორის, როლი ძალზე მნიშვნელოვანია.

მიდაზოლამის ანტინოციცეპტური ეფექტი

პირველი სერიის ცდებით დადგინდა, რომ მიდაზოლამის უმცირესი დოზა (0,6 მგ/კგ) ცხოველებზე სედატიურ გავლენას არ ახდენს. გაორმაგებულმა დოზამ 5 ცხოველში (84,4%), პრეპარატის შეყვანიდან 30-ე წუთზე, გამოიწვია გამოხატული ატაქსია (2 ქულა), ხოლო ერთში (16,6%) სუსტი ატაქსია (1 ქულა). შემდგომი დოზის მოქმედებით 5 ცხოველს 30-ე წუთზე გამოეხატა ატაქსია (2 ქულა), ხოლო ერთს, მცირე დროით, დაეკარგა პოსტურალური რეფლექსი (3 ქულა), რის შემდეგაც ჩამოყალიბდა ატაქსია (2 ქულა). 5 მგ/კგ დოზამ ყველა ცხოველში გამოიწვია ძლიერი ატაქსია პოსტურალური რეფლექსის დაკარგვით (3 ქულა), რომელიც პრეპარატის შეყვანიდან

30-ე და მე-60 წუთებზე ფასდებოდა 2-3 ქულით და მხოლოდ 90-ე წუთისათვის ატაქსიის დონე დაქვეითდა 1 ქულამდე.

მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა ქცევით აქტებში, ყველა ვირთაგვას პრაქტიკულად შენარჩუნებული ჰქონდა მოძრაობითი აქტივობა. ისინი თავისუფლად გადაადგილდებოდნენ საკანში, თუმცა ერთგვარად შენელებული მოძრაობა აღინიშნებოდა იმ ცხოველებში, რომლებსაც მიეცათ მიდაზოლამის უმაღლესი დოზა.

საკონტროლო ჯგუფის 4 ვირთაგვას (რომლებსაც ქცევითი აქტივობა აღერიცხებოდა ფიზიოლოგიური ხსნარის მიცემის შემდეგ) ქცევითი გამოვლინებები შეუცვლელი ჰქონდათ. ჩვენს მიერ ნახმარი მიდაზოლამის დოზები მნიშვნელოვნად არ აფერხებდა ვირთაგვების ლოკომოციურ აქტივობას. ექსპერიმენტის შემდეგ ეტაპზე შესწავლილი იქნა მიდაზოლამის გავლენა ცხოველთა შიშის ემოციურ რეაქციაზე.

საკონტროლო ცხოველებზე ჩატარებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ შიშის ემოციური რეაქცია, გამომუშავებული პასიური განრიდების მეთოდით, ვირთაგვებს შემონახული ჰქონდათ $24 \pm 5,2$ საათის განმავლობაში (ხანგრძლივი მეხსიერება).

პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველები (მიდაზოლამის დოზა 2,5 მგ/კგ) პასიური განრიდების ტესტის ჩატარებიდან 20 წუთის შემდეგ 7 ± 3 სეკუნდის დაყოვნებით შედიოდნენ ბნელ საკანში. ასევე იქცეოდნენ 2 და 4 საათის შემდეგ. მტკივნეული გაღიზიანებიდან ოთხი

საათის შემდეგ ცხოველები მართალია, ნათელ განყოფილებაში ჩასმის შემდეგ (10-12 სეკუნდის განმავლობაში) შედიოდნენ ბნელ განყოფილებაში, მაგრამ მალევე ($5,5 \pm 2,1$ ს) ბრუნდებოდნენ ნათელ განყოფილებაში და ასე რამდენჯერმე.

პასიური განრიდების ტესტირებიდან, 24 საათის შემდეგ, 12 ვირთაგვიდან მხოლოდ ერთი შევიდა ბნელ განყოფილებაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიდაზოლამის გავლენით თავდაპირველად დათრგუნა შიშის მარეგულირებელი სტრუქტურების აქტივობა, მაგრამ ემოციური რეაქცია კვალის სახით დარჩა მესსიერებაში და პრეპარატის სედატიური მოქმედების გავლის შემდეგ (24 საათი) ცნს-ის შიშის ემოციურ რეაქციაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების აგზნებადობა დაუბრუნდა პირვანდელ დონეს, ამოქმედდა ხანგრძლივი მესსიერების მექანიზმი და ცხოველი არ შევიდა “სახიფათო” გარემოში. მიდაზოლამმა მხოლოდ დროებით დათრგუნა შიშის ემოციური რეაქცია.

